სახელმწიფო მინისტრი

მსოფლიო ბანკის კრედიტის მიღებას საფრთხე არ ემუქრება



საქართველოს ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მსოფლიო ბანკი იმედს გამოთქვამს, რომ ქვეყნის ხელისუფლება დათქმულ ვადაში შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ეს კი შესაბამისად შესაძლებელს გახდის საქართველოს ბიუჯეტმა სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტის „საკ-3"-ისათვის გამიზნული 80 მილიონი ლარის ოდენობის ტრანშები მიიღოს, – ამის შესახებ 7 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრს გიორგი არსენიშვილს აცნობა ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო ბანკის მუდმივმა წარმომადგენელმა ტეუიკ იაპრაკმა.

იხ. მე-2 გვ.

კანონმდებლები

ლევან ძნელაძეს კიდევ ერთმა კომიტეტმა დაუჭირა მხარი

7 სექტემბერს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მოისმინა და მხარი დაუჭირა პრეზიდენტის მიერ საგადასახადო შემოსავლების მინისტრის თანამდებობაზე ლევან ძნელაძის კანდიდატურას.

მინისტრობის კანდიდატმა კომიტეტის წევრებს გააცნო თავისი სამოქმედო პროგრამა და ის ამოცანები, რომელთა განხორციელებასაც აპირებს იგი საგადასახადო შემოსავლების მინისტრად დანიშვნის შემთხვევაში. ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ლევან ძნელაძე საგადასახადო ბაზის გაფართოებას მიიჩნევს, იგი შეეხო ძირითად პრიორიტეტებს და აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონებთან კონსტრუქციულ თანამშრომლობას, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას არსებული გაუგებრობა ცენტრალურ უწყებებსა და რეგიონებს შორის.

იხ. მე-2 გვ.

ანონსი

ხვალ გაზეთში წაიკითხავთ:

- იუსტიციის საბჭოს წევრის თედო ნინიძის გამოსვლას მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე.
- გაგრძელებას გელა ლეჟავას განსჯისა – „ღვთიურ მცნებებზე დირებული კაცობრიობას არაფერი შეუქმნია".

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

ოთხ დღეში გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 11584 მკითხველი. მათ შორის, 52% აშშ-დან, 23% – გერმანიიდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..." ე. შევარდნაძე

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №222 (3963) შაბათი. 8 სექტემბერი. 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

პარლამენტის თავმჯდომარე

ზურაბ ჟვანიამ ოპოზიციას დაასწრო

7 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას კაბინეტის წარმომადგენელმა, დეპუტატმა პეტრე ცისკარიშვილმა პარლამენტის საკადრო დეპარტამენტს გადასცა ზურაბ ჟვანიას განცხადება, რომელშიც იგი თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით ოპოზიციას ხელმოწერების შეგროვებას სთავაზობს. პარლამენტის თავმჯდომარემ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი მისი გადადგომის საკითხს, თავად მიიღო გადაწყვეტილება და ოპოზიციას პროცედურები გაუადვილა.

საქინფორმი.

ვიზიტი

ედუარდ შევარდნაძე: ეს ვიზიტი იყო ახალი მოვლენა საქართველოს ევროპულ პოლიტიკაში



თვითმფრინავში ტრადიციული ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დაიწყო იმით, რომ „უკვდავების წყალი" – ჩაი შესთავაზა ჟურნალისტებს.

ზრდილობიანმა ჟურნალისტებმა არც „ჰო" თქვეს და არც „არა".

თუმცა ამას უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან პრეზიდენტმა შევარდნაძემ ურთიერთობის ტრადიციული დებიუტით განმუხტა ბრიფინგისწინა დაძაბულობა და თავისუფალი საუბრისათვის განაწყო ორიგინალური და ელექტრონული პრესის წარმომადგენლები.

ვისარგებლოთ ამ სიტუაციით:

„საქართველოს რესპუბლიკა": – ბატონო პრეზიდენტო, რუმინეთის რესპუბლიკაში თქვენ პირველად ჩახვედით მაშინ, როდესაც ეს ქვეყანა კატასტროფის წინაშე თუ არა, ბედტეხილთან იდგა, და, გარკვეულწილად, მის მომავალზე იქონიეთ გავლენა. შემდეგი თქვენი ვიზიტები, უკვე საქართველოს პრეზიდენტის რანგში დაკავშირებული იყო საქართველო-რუმინეთის ურთიერთობის საფუძვლების ჩაყრასთან და, უწინარესად, გლობალურ პროექტში – „დიდი აბრეშუმის გზა" – თანამშრომლობის დაწყებასთან.

იხ. მე-2 გვ.

შევეწიოთ!

სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

შპს „მაგოილი" – 26 ლარი და 65 თეთრი;
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 500 ლარი;
შპს „ალმაშენებელი" – 10 ლარი;
ნუგზარ ჩოგოვაძე – 50 ლარი;
მარიამ ჩახალიძე – 30 ლარი;
საბა გეგუჩაძე – 30 ლარი;
გივი გიორგაძე – 10 ლარი;
ქრისტეფორე ჩუმაშვილი – 200 ლარი.

გიხაროდენ!

ვაჟიანობა ქართველს მუდამ ახარებდა.

– გოგო თუ ბიჭი? – ბჭობდა ჩვენი ოჯახი.

– სულ ერთია, ოღონდ კი კარგად მოილოგინოსო, ვნატრობდით. ჩემი რძლის ორსულობა რთულად მიმდინარეობდა, ამიტომ ვღელავდით.

– ბიჭი გვარის გამგრძელებელია, გოგონა ნატვრის ახდენაა. იყოს ისე, როგორც უფალი ინებებს, – ვეთანხმებოდით ყველა ერთმანეთს. ამ დღეებში ლალიმ მშვიდობით იმშობიარა, ბიჭი შეეძინა, ჩვენი გვარის გამგრძელებელი, ვაჟიანობა ხომ ქართველებს მუდამ გვიხარია...

– სახელიც შეირჩა, ბიჭს ბაბუის სახელი – ოთარი დაარქვეს. ახალგაზრდა ოჯახს ხელს შევუწყობთ. თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ ვიცი, ჩემი ოჯახის სიხარულს გაიზიარებთ, – გვითხრა რედაქციაში მოსულმა ოთარ კიღურაძემ.

ვულოცავთ. მის ოჯახს სიხარული არ მოშლოდეს.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

სიტუაცია

მძიმე საუბარი

ეჭვით და შიშით ნაკარნახევი წერილი განათლების მინისტრს ალეკო კარტოზიას

ღაე, წარმატებული და იმედის მომცემი ყოფილიყოს ახალი სასწავლო წლის დაწყება ჩვენი ქვეყნისთვის, ყველა ჩვენგანისთვის, მომავალი თაობისთვის.

კაცს რომ შიში და ეჭვი შეეპარება, კარგის მომასწავებელი არ არის, მაგრამ ამდენ რეფორმებსა და გარდაქმნებს შეჩვეულ ქვეყანაში, მე მგონი, გასაკვირი არაფერი უნდა იყოს.

კარგა ხანია ვიკავებდი თავს, თუთამხიასავით არაფერში არ ჩავერევი-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ბოლომდე ვერ გავუძელი ცდუნებას და გადავწყვიტე პირველად განათლების მინისტრისთვის გამეზდო გულისნადები. ჩვენი შეხედრები ადრეც გამოირჩეოდა უშუალობითა და პირდაპირობით, ამჯერადაც მაქვს ურთიერთგაგების იმედი.

განათლების სფეროში მოძალებულ პრობლემათა შორის ჩვენს ცნობიერებას ყველაზე მძიმე ტვირთად ის საკითხი აწევს, რომელსაც ქართველი კაცის უფაქიზეს ნერვთან აქვს კავშირი.

იხ. მე-4 გვ.

კორუფციის წინააღმდეგ

ჩვენი უბედურება სათავეს იმ საბედისწერო შეცდომებისაგან იღებს, რომლებიც თავის დროზე დავუშვით

საქართველოს გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის გამოსვლა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 2001 წლის 4 სექტემბერს

შეძლებისდაგვარად მოკლედ მოგახსენებთ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ეროვნულ ანტიკორუფციულ პროგრამას უკავშირდება და რომელთა განხორციელებასაც ბევრი ობიექტური თუ სუბიექტური სიძნელე ახლავს.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, დღეს ყურადღებას არ გავამახვილებ ისეთი კატეგორიის დანაშაულობებზე, როგორიცაა პირადი ქონების ქურდობა, ყაჩაღობა, სხეულის განზრახ დაზიანება, მკვლელობა და სხვა, ვინაიდან ამ სახის სამართალდარღვევებს სახელმწიფო სტრუქტურები უმკლავდებიან და, ასე თუ ისე, მეტნაკლებ სტაბილურობას აღწევენ, თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მე მინდა ვისაუბრო იმ უმძიმეს ავადმყოფობაზე, რომლის მეტასტაზებმაც მოიცვეს ქვეყნის ყველა სახელისუფლებო რგოლი და რომელსაც სახელად ყველასათვის ცნობილი სიტყვა „კორუფცია" ჰქვია.

ალბათ, საჭიროა აუცილებელი დაზუსტებაც. უპირველესად, საზოგადოების, მასმედიისა და ზოგიერთ პოლიტიკოსთა საყურადღებოდ. კორუფცია სამოხელეო დანაშაული გახლავთ და სრულიად გაუმართლებელია აჟიოტირება, ამ ტიპის დანაშაულის იარლიყის ჩამოკიდება ნებისმიერ წვრილმან სამართალდარღვევაზე. შესაბამისად, ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ თუ კორუფციაზე ვიწყებთ საუბარს, მით უმეტეს, როცა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება გამოხატავს ამ მოვლენასთან რადიკალური დაპირისპირების პოლიტიკურ ნებას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, ამ შემთხვევაში, ყველა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, პარლამენტარი და ნებისმიერი ჩინოვნიკი მზად უნდა იყოს, პასუხი აგოს თავის ყველა ქმედებაზე არსებული კანონმდებლობის საზომებით.

ფაქტია ერთი რამ: თავად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების პირველმა სიგნალებმა დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. ზოგმა წინდახედულმა ჩინოსანმა უკვე დაიწყო ზრუნვა ხელშეუხებლობის იმუნიტეტის მოსაპოვებლად.

იხ. მე-3 გვ.

წარდგინება

„ვისაც რომ ქვეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია..."

– თავისი საქმის უსაზღვროდ პატივისმცემელი და ერთგული, სიმართლისათვის ხმალშემართული კარგად იცნობს მოსახლეობის ფსიქოლოგიას, ალბათ, ამიტომაც ასე კარგად ფლობს სიტუაციას. ზურაბი ყოჩაღი მეურნე, არაჩვეულებრივი მამა და მეუღლეა, – ასე დაიწყო ჩემთან საუბარი კახეთის გუბერნატორმა ბიძინა სონღულაშვილმა.

იხ. მე-4 გვ.

ახალი სეზონი

თეატრის იუბილე გადაიდო...

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს დაარსებიდან 150 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღის ღირსეულად აღნიშვნას თეატრის მესვეურნი, ხელოვნების მოღვაწენი და თაყვანისმცემლები მოუთმენლად ელოდნენ... იმედებითა და დაპირებებით, ახალი იდეებითა და საზეიმო განწყობილებით... შემართებით... ამ გაჭირვების ჟამს თეატრის დღესასწაული უნდა გამართულიყო, შეიქმნა კიდეც საიუბილეო პროგრამა, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით, სანახაობებით იქნებოდა დამშვენებული, დახუნძლული, გაცოცხლებული და მაყურებელთა მიერ მრავალმხრივ სიამოვნებად აღქმული, წინასაიუბილეო მზადება, ბუნებრივია, კარგა ხნის დაწყებული უნდა ყოფილიყო და დღე-დღეზე დასრულებულიც, მაგრამ...

იხ. მე-2 გვ.

ყოველდღიური გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელმოწერა ვადით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

ინფორმაცია

მზად ვართ ხელშეკრულების გასაფორმებლად

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის კახა სიხარულიძის ინფორმაციით, ქართული მხარე მზად არის რუსეთ-საქართველოს ყოვლისმომცველი დოკუმენტის თაობაზე საბოლოო მოლაპარაკებისათვის. ეს საქართველომ რუსეთს საგანგებოდ გაგზავნილი ნოტით აუწყა.

ხელშეკრულების თავისი ვარიანტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე დიდი ხანია ქვეყნის შესაბამის ყველა უწყებას გაუგზავნა, რომელთაგანაც მიიღო პასუხები და დასკვნები.

რუსი პოლიტიკოსი მხარს გვიჭერს

„რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო უშიშროებისათვის საარსებო მნიშვნელობა ენიჭება ერთიან და ძლიერ საქართველოს, რომელიც სრულად გააკონტროლებს ქვეყნის შიგნით არსებულ სიტუაციას და, რომელსაც არ შეაწუხებს სეპარატიზმი", – ეს განაცხადა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი რაგოზინმა ამ დღეებში თბილისში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელთან – ირაკლი მენაღარიშვილთან გამართულ შეხვედრაზე.

რუსმა პოლიტიკოსმა ქართულ მხარეს აღნიშნული პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის დონეზე შესაძლებელი მაქსიმალური დახმარება აღუთქვა.

მიურატებმა მოსწავლეებს საჩუქრები გადასცეს

ზუგდიდის მე-11 საშუალო სკოლის ფრანგული ენის შემსწავლელ ბავშვებს პრინცმა და პრინცესა მიურატებმა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საჩუქრად სასკოლო ნივთები გადასცეს, რომლებზეც წარწერილი იყო: „წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ პრინცი და პრინცესა მიურატები". მიურატები მოხარული არიან, რომ მოსწავლეებს ფრანგული ენის შესწავლის სურვილი აქვთ. ისინი ბავშვებს შეპირდნენ, რომ მომავალშიც დაასაჩუქრებენ.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

უკანასკნელ საათს

რფ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გუშინ კისლოვოდსკში, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ დამთავრდა სამიტინგო დემოკრატიის დრო და ახლა აღმშენებლობას უნდა შევუდგეთ.

ამასთან, პრეზიდენტმა მზადყოფნა გამოთქვა ჩეჩენ მეამბოხეებთან მოლაპარაკების თაობაზე, მხოლოდ იარაღის დაყრისა და ფედერაციის შემადგენლობაში ჩეჩნეთის ერთ-ერთ სუბიექტად დარჩენის პირობით.

იაპონიის უზენაესმა სასამართლომ ყოფილ პრემიერ-მინისტრს აკეჟან კაჟეგელდინს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა დაუსწრებლად. კაჟეგელდინი აცხადებს, რომ იგი მზადაა დაბრუნდეს ქვეყანაში და უარყოს ბრალდებები, მაგრამ იგი ითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს ევროპის საბჭოსგან.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში:	ღამით +18+23;	დღისით +23+28;
მთაში:	ღამით +14+18;	დღისით +19+24.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში:	ღამით +16+21;	დღისით +26+31.
მთაში:	ღამით +11+16;	დღისით +22+27.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა.
ღამით: +19+21; დღისით: +29+31.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

8 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.0143	ლარი
გერმანული მარკა	1	0.9463	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0700	ლარი
ევრო	1	1.8508	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0703	ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

ვარ აფხაზეთის ომის მონაწილე, შრომის II ჯგუფის ინვალიდი, 36 წლის.

გთხოვთ განმიმარტოთ, რა შეღავათები მეკუთვნის კომუნალური მომსახურების გადასახადების გადახდის დროს?

დავით ბესიკაშვილი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აფხაზეთის ომის მონაწილეები სარგებლობენ 50 პროცენტის შეღავათით კომუნალური გადასახადების (წყალი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, საცხოვრებელი ფართობის ქირა და სხვ.) გადასახადების გადახდის დროს, ხოლო რაც შეეხება ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათს, იგი განისაზღვრება თვეში მხოლოდ 30 კვტ/სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას 45 კვტ/სთ-ის ოდენობით.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

ინტერპანორამა

უზენაესმა სასამართლომ, რომელიც კოსოვოში გაეროს ეგიდით მუშაობდა, დაადგინა, რომ კონფლიქტის დროს იუგოსლავიის ჯარების მოქმედება არ კვალიფიცირდება, როგორც გენოციდი. სასამართლოს განცხადებით, ჯარები სჩადიოდნენ სამხედრო დანაშაულობებს, მაგრამ მათი მიზანი არ ყოფილა ალბანელების, როგორც ეროვნების მოსპობა.



ბარენცის ზღვაში განახლდა ოპერაცია, რომლის მიზანიც წყალქვეშა ნავ „კურსკის" წინა ნაკვეთურის მოხსნაა. ხელისუფლება „კურსკის" მთლიანად ამოღებას ზამთრის შტორმების დაწყებამდე იმედოვნებს.

ნატოს ხელმძღვანელობის თქმით, ალბანელი მეამბოხეებისგან იარაღის ამოღების ოპერაცია გართულებლად მიმდინარეობს. სკოპიეს ჩრდილოეთით 200-მდე მოთარეშემ ჩააბარა იარაღი და ტანკი.

„საქართველოს რესპუბლიკა" – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 222, შაბათი, 8 სექტემბერი, 2001 წელი

ვიზიტი

ქართველი და რუმინელი ხალხების სულიერი ერთიანობა

ბუქარესტი, საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი ციური ბაჯელიძე. „ჩვენს ხალხებს სულიერად აერთიანებს მართლმადიდებლობა", — განაცხადა 6 სექტემბერს რუმინეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან თეოქტისტესთან შეხვედრისას. მისი უწმინდესობა მიესალმა საქართველოს ლიდერს და რწმენა გამოთქვა, რომ ორი ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიები მჭიდროდ ითანამშრომლობენ, მით უმეტეს, რომ ამ ტრადიციას ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო გამოჩენილი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და განმანათლებელი ანთიმოზ ივერიელი, რომელმაც თავიც კი შესწირა რუმინული ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს, დიდი წვლილი შეიტანა რუმინული სალიტერატურო ენის განვითარებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში. რუმინეთში კარგად ახსოვთ სახელი და ღვაწლი ამ დიდი და ნათელი პიროვნებისა და ფაქიზად უვლიან მისი სახელობის ეკლესიას.

რუმინეთის პრეზიდენტმა იონ ილიესკუმ განაცხადა: „ჩვენი ხალხების დამოკიდებულება ურთიერთპატივისცემაზეა აგებული, მას მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ თვალსაზრისით უპრიანია, გავიხსენოთ უდიდესი ჰუმანისტი, რუმინეთში წმინდანად შერაცხული ანთიმოზ ივერიელი, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა მე-17-18 საუკუნეების რუმინული კულტურის განვითარებაზე, იგი თავდადებით იბრძოდა რუმინული ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის. სიამოვნებით შევიტყვე, რომ 2000 წლის 27 სექტემბერს თბილისში დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ანთიმოზ ივერიელი", ხოლო წლეულს, 26 ივნისს გაიმართა ფილმის „ანთიმოზ ივერიელის" პრემიერა, რომლის კადრები რუმინეთშიც გადაიღეს. ჩვენ განვიხილავთ ასეთი ორგანიზაციის შექმნის საკითხს, რომელიც უთუოდ შეუწყობს ხელს რუმინელი და ქართველი ხალხების კიდევ უფრო მეტად დაახლოებას, ჩვენი ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებას.

7 სექტემბერს, დილით გაიმართა საქართველოსა და რუმინეთის პრეზიდენტების საქმიანი საუბრე. შემდეგ საქართველოს ლიდერი შეხვდა რუმინეთის რესპუბლიკის პრემიერმინისტრს ადრიან ნესტასეს. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო კონსტანცა-ბათუმის საბორნე ხიდის გახსნას, რომელსაც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ერთ-ერთი ხიდი უწოდეს. თანამოსაუბრეებმა არანაკლები მნიშვნელობა მიანიჭეს ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის შექმნის იდეასაც, რომელსაც უახლოეს მომავალში შეესხმება ხორცი და რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროებში.

ამავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა დაათვალიერა ყოფილი სამეფო სასახლეთა კომპლექსი.

7 სექტემბერს, საღამოს საქართველოს პრეზიდენტი სამშობლოში გამოემგზავრა. გვიან ღამით იგი ბათუმში ჩამოვიდა, სადაც 8 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებს ბათუმი-ქობულეთის დამაკავშირებელი გვირაბის მშენებლობის დაწყების ცერემონიაში, ეწვევა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

შეხვედრა რუმინეთის პატრიარქთან.

(პირველი გვერდიდან)

ეს ვიზიტი, ისე ჩანს, უფრო სიღრმეებისკენ არის მიმართული, კონკრეტიკისაკენ. სწორია ასეთი შეფასება, თუ ეს მაინც პირველ შთაბეჭდილებად შეიძლება მივიჩნიოთ?

— ჩემი დასკვნა ასეთია: რუმინეთს დასჭირდა რამდენიმე წელიწადი, სრულად რომ გაეგო დანიშნულება იმ იდეისა, რომელსაც „დიდი აბრეშუმის გზა" ჰქვია, დაენახა მთელი მისი სარგებელი, ის, თუ რა როლი უნდა შეასრულონ მის სარეალიზაციოდ მან და მისმა მეზობლებმა.

დღეს, ყოველ შემთხვევაში, რუმინეთის პრეზიდენტთან ილიესკუსთან საუბრის დროს, პრემიერ-მინისტრთან ნასტასესთან შეხვედრისას, მე ერთაზროვნად (და არა ცალსახადო, — იუმორით შენიშნა პრეზიდენტმა. — ა. ს.), დავრწმუნდი, რომ რუმინეთმა შეაფასა მთელი ის სიკეთე, რომელიც შეიძლება მოუტანოს მას „აბრეშუმის გზის" მატერიალიზაციამ ყველა მიმართულებით, და თავისი ადგილიც განსაზღვრა ამ გლობალურ პროექტში, — ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი. პრეზიდენტმა ილიესკუმ და სხვებმაც განაცხადეს, რომ როგორც ევროპის მიმართულებით რუმინეთია ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა, ასევე სამხრეთ კავკასიისკენ და ცენტრალური აზიის გავლით — აღმოსავლეთისკენ ცენტრალური როლი საქართველოს განეკუთვნება.

ეს არის, ჩემი აზრით, პრინციპული მიდგომა: რუმინელმა მეგობრებმა, ვიმეორებ, ამ პროექტში დაინახეს თავიანთი ქვეყნის ძალიან დიდი მომავალი.

აბა წარმოიდგინეთ „აბრეშუმის გზა", როგორი წარმატებულიც უნდა იყოს, შეწყდეს შუა წელზე, სადღაც ბალკანეთის საზღვრებთან და არ გაგრძელდეს დასავლეთისკენ რუმინეთის ტერიტორიაზე გავლით, ისევე, როგორც, ვთქვათ, ბულგარეთზე, ან უკრაინაზე გავლით.

რუმინეთი ამ მხრივ წამყვანი ქვეყანა არის თავისი შესაძლებლობებით, კომუნიკაციების განვითარების სხვადასხვა ვარიანტებით და იმით, რომ მან უკვე შეიცნო და გაიაზრა, რა დიდი რეზერვია ჩადებული და როგორი ეფექტი შეიძლება მიიღოს მან ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით.

ეს ერთი.

მეორე დასკვნა ის არის, რომ რუმინეთი გამოკვეთილად უსვამს ხაზს პრინციპს ერთიანი ევროპის შესახებ: არავითარი აღმოსავლეთი ევროპა, არავითარი დასავლეთი ევროპა. მხოლოდ ერთიანი ევროპა.

ჩვენი აზრები დაემთხვა ერთმანეთს: ევროპა უნდა იყოს ერთიანი და მისი განუყოფელი შემადგენელი ნაწილი — სამხრეთ კავკასია.

ჩვენი დაკვირვებული მკითხველი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ორი ქვეყნის ლიდერების ეს პოზიცია სრულიადაც არ არის (არც შეიძლება იყოს) ეგზერსისები გეოგრაფიული ტერმინოლოგიის დადგენის თემაზე. ეს არის პრინციპულად ახალი პოლიტიკური მიდგომა იმ საზოთირო საკითხისადმი, რომელზეც არავინ ლაპარაკობს, მაგრამ რომელიც არსებობს.

ეს არის ერთგვარი დისკრიმინაციული მიდგომა, მკაცრია ეს განსაზღვრა (დისკრიმინაცია) და უფრო რბილად ვთქვათ, — განსხვავების ხაზგასმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და დანარჩენთა შორის, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოიაზრება.

ახლა მე ტერმინების ევოლუციას მივაქცევ თქვენს ყურადღებას, იმ ტერმინებისა, რომლებითაც ჩვენ და სხვებს მოგვიხსენიებდნენ: პოსტსაბჭოთა, პოსტტოტალიტარული, ახალი დემოკრატიის და ა. შ. ქვეყნები.

თანდათან ევროპამ პარტნიორებად აღგვიქვა, ახლა კი დგება ახალი ეტაპი, როდესაც ჩვენც და სხვებსაც სრული უფლება გვაქვს ერთიან ევროპაზე ვილაპარაკოთ, კერძოდ, საქართველო, როგორც ერთიანი ევროპის სრულუფლებიანი წევრი, მისი შემადგენელი ნაწილი აქედან გამომდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგებით.

ჩავთვალოთ ის, რაც ესესაა წაიკითხეთ, სახელდახელო კომენტარად, რადგან პრინციპულად ახალი მიდგომა, რომლის ავტორი პრეზიდენტი შევარდნაძეა, უფრო ღრმა და ყოველმხრივ განხილვას საჭიროებს უკვე სპეციალისტების მხრიდან.

ახლა კი კვლავ მოვუსმინოთ საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც უპასუხებს მის მიერვე დასმულ კითხვას: — რატომ აღიარებს რუმინეთი ერთიანი ევროპის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად საქართველოს? პატივს სცემს და უყვარს საქართველო, თუ ამასთან ერთად, ხედავს უფრო შორს მიმავალ პერსპექტივას და გეგმებს?

— რუმინეთმა ბოლოს და ბოლოს დაინახა, რომ სამხრეთ კავკასიის მეშვეობით, საქართველოს დახმარებით იგი შეაბიჯებს არა მარტო კასპიისპირა ქვეყნებში, არამედ უფრო შორსაც — ცენტრალური აზიის ქვეყნების გავლით ჩინეთსაც მისწვდება.

დიდი ქვეყანაა რუმინეთი და დიდი გეგმები განსაზღვრა პრეზიდენტმა ილიესკუმ ამ მიმართებით.

თქვენ ალბათ შენიშნეთ (მიმართა ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტებს. — ა. ს.), რომ ილიესკუსთან საუბრისთვის განსაზღვრული იყო ერთი საათი და ფაქტობრივად ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩვენი შეხვედრა, რომელზეც სწორედ ასეთი, კონცეპტუალური საკითხები განვიხილეთ. ეს, ერთი მხარე.

მეორე კი ის, რომ უნდა ვიყოთ უფრო კონკრეტული. რაკი პრინციპულ საკითხებზე შევთანხმდით, მოვილაპარაკეთ და ვხედავთ პერსპექტივას, უნდა ამუშავდეს სამთავრობათაშორისო კომისია, უნდა შეიქმნას სპეციალური კომისიები. მე ისიც ვუთხარი, რომ დაბრუნებისთანავე გამოვცემ განკარგულებას, რათა ჩვენი საქმიანობა წარვმართოთ შეთანხმების ყველა მუხლის უპირობოდ შესასრულებლად.

ამ მხრივ, მე მგონი, ეს ვიზიტი და მისი შედეგები იყო ახალი მოვლენა საქართველოს ევროპულ პოლიტიკაში, მე ხშირად ვხმარობ ამ შეფასებას, — ფანჯრის გაჭრა ევროპისაკენ.

ფანჯარა შეიძლება ბულგარეთიდანაც გაიჭრას, უკრაინიდანაც, მაგრამ ყველაზე მოკლე, მნიშვნელოვანი და პერსპექტიული დამაკავშირებელი დუნაისპირა ქვეყნებთან და ატლანტიკის ნაპირებამდეც კი, — ეს გახლავთ რუმინეთზე გამავალი გზა.

მე, რა თქმა უნდა, სერიოზულად ვემზადებოდი ვიზიტისათვის, მაგრამ აქ გამართული საუბრების დროს ვიგრძენი, რომ ჩამოყალიბდა ახალი ხედვა: ისინი ასე ხედავენ თავიანთ მომავალს და საქართველო-რუმინეთის ურთიერთობას.

საქართველოს ტელევიზია, პირველი არხი: — თქვენ და გორბაჩოვმა ყველაზე ბოლოს ნახეთ ნიკოლაე ჩაუშესკუ, რას გაიხსენებთ ამასთან დაკავშირებით?

— თუ არ ვცდები, 1989 წლის დასაწყისი იყო, ან ცოტა უფრო ადრე, როდესაც ყრილობა ჩაატარა ჩაუშესკუმ. ყრილობას მოჰყვა, როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე, — სკანდალი (**შევარდნაძე მნიშვნებით იღიმება. — ა. ს.**) ორ ხელმძღვანელს, ორ ლიდერს შორის. გორბაჩოვმა და ჩაუშესკუმ დავაში თეთრად გაათენეს ღამე — რა არის დემოკრატია, რა არის ნამდვილი სოციალიზმი, რა არის საჯაროობა და გარდაქმნა და რამდენად ცდება გორბაჩოვი. გორბაჩოვი სრულიად საწინააღმდეგოს უმტკიცებდა: — თქვენ ამ გზით ვერ ივლით, ამ გზით რუმინეთი დაიქცევა.

მე ბევრი შეხვედრა არ მქონია ჩაუშესკუსთან — სულ რამდენიმე, მათ შორის, ერთი — საქართველოში.

(აქ თავს უფლებას მივცემ ერთი შტრიხი ჩავამატო. შევარდნაძე ჩაუშესკუს თბილისის აეროპორტში არ შეხვედრია, თუმცა, ალბათ, ეკუთვნოდა. შეხვდნენ სხვები და ცენტრალურ კომიტეტში გამოუძღვნენ.

ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, მე, ამ სტრიქონების ავტორს, ახალგაზრდა კაცს მაძლევენ დავალებას — დახვდი ჩაუშესკუს ცკ მთავარ შემოსასვლელთან და აიყვანე მესამე სართულზეო.

დავხვდი.

ეს დიდი გაკვირვების საგანი გახდა არა მარტო მაღალი სტუმრისათვის — ვიდაც სექტორის გამგე ეგებება, არამედ იმ ჩვენი მაღალი თანამდებობის პირებისათვის, ვინაც იგი აქამდე მოიყვანა.

რა თქმა უნდა, ასეთ დემარშს ედუარდ შევარდნაძის მხრიდან სერიოზული მიზეზები ჰქონდა, მაგრამ კიდევ სხვა რაღაც რომ ყოფილა, ამას პრეზიდენტი შევარდნაძე თავად გვეტყვის ჟურნალისტებს).

— ძალიან თავისებური კაცი იყო. არ მახსოვს, რომ თვალი გაესწორებინოს: გელაპარაკება, გელაპარაკება და არ გიყურებს. ხანდახან გულზე ხარ გახეთქილი — რატომ, კაცო?! ასწიე თავი და ისე მელაპარაკე! მაგრამ წასულებზე არ ლაპარაკობენ...

ამ დილით ტელეინტერვიუ მქონდა რუმინეთის ეროვნულ ტელევიზიასთან, სიენ-ენის რუმინულ განყოფილებასთან. საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი იყო, რომლის დროსაც გავიხსენე 1989 წელი, თოვლით დაფარული და განკებით გატენილი ბუქარესტის ქუჩები. აჯანყება ჩაუშესკუს წინააღმდეგ უკვე დაწყებულია. ჩაუშესკუ დაპატიმრებულია და სახალხო გამოსვლის მოთავე იონ ილიესკუ ზის ბუნკერში, სადღაც ერთი პატარა, ერთსართულიანი სახლის სარდაფში. როგორც იქნა, მივაგენი. ერთი-ორი საათი ვისაუბრეთ. მაშინ დავრწმუნდი, რომ იგი არ არის ორდინარული პიროვნება, მას არ ეშინია, თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა. მან შესანიშნავად იცოდა, რომ ჩაუშესკუს დაქირავებული ჰყავდა არაბები, მთელი არმიები, მას დიდი სამხედრო ძალა ჰქონდა, და თუ ის გაიმარჯვებდა, ილიესკუს თავი უეჭველად გაგორდებოდა. ასეთი ფინალი ასპროცენტიანი იყო. მაგრამ მან გასწირა თავი მხოლოდ და მხოლოდ იმის იმედით, რომ ექნებოდა ხალხის მხარდაჭერა. მართლაც ასე მოხდა: ხალხი აღდგა ფაქტობრივად ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

მართალია, იმ კაცმა ძალიან ბევრი ააშენა, ნუ დაეუკარგავთ (თუმცა ახლა საქართველოში მშენებლობები მოდაში არ არის, — **კვლავ ხუმრობს ედუარდ შევარდნაძე. — ა. ს.**), მაგრამ ახლაც მიკვირს — სად მოულობდა ამ ფულს? ეტყობა, თავისი ხალხის ხარჯზე აშენებდა, თავის ხალხს აძრობდა ტყავს. სხვაგვარად ამის გაკეთება შეუძლებელია.

მიმაჩნია, რომ რუმინელმა ხალხმა დიდი სიბრძნე გამოიჩინა, როდესაც, ახლა უკვე მეორედ, ილიესკუს პრეზიდენტობას მისცა ხმა. იგი არის ძალიან გამოცდილი მოღვაწე, მოქნილი პოლიტიკოსი, რომელმაც შესანიშნავად იცის, რა არის რუმინეთი და ხედავს მის ახალ პერსპექტივას.

დარწმუნებული ვარ, რუმინეთი გახდება ძლიერი, თანამედროვე ქვეყანა.

თქვენ იცით, რომ მე იგი მოვიწვიე საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად. შევთანხმდით, რომ აპრილში ან მაისში ჩამოვა და ჩვენს საუბრებს **სუამის** შესახებ, რომელსაც ამჯერად დაწვრილებით არ შევეხებივართ, გავაგრძელებთ თბილისში.

— იქნებ მაინც შევეხოთ სუამთან და ნატოსთან თანამშრომლობას? („რუსთავი-2").

— ჩვენ ვისაუბრეთ სასაზღვრო ჯარებს შორის ურთიერთობაზე, სამხედრო თანამშრომლობის ზოგიერთ ასპექტზე. მოგეხსენებათ, სამხედრო თანამშრომლობის თვალსაზრისით, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ რუმინეთი, რაც შეიძლება, სწრაფად გახდეს ევროკავშირის წევრი და დაუახლოვდეს ნატოს.

— და კიდევ ერთი — ზურაბ ჟვანიას განცხადებაა, რომ თუ 100 პარლამენტარის ხმა შეგროვდება მის წინააღმდეგ, იგი მზადაა გადადგეს პარლამენტის თავმჯდომარეობიდან...

— თბილისში ჩასვლამდე ვერაფერს გეტყვით. ახლა განცხადებების მოდაა. შეიძლება, მართალიც იყოს. შეიძლება, ზურაბ ჟვანიამ იანგარიშა, შეგროვდება თუ არ შეგროვდება ხმების ეს რაოდენობა, შეიძლება გადაწყვიტა, რომ ასე გააკეთოს. არა მგონია, რომ მას შეცდომა დაეშვა.

— ეს თქვენთან შეთანხმებული არ ყოფილა?

— ახლა მოდაში არ არის პრეზიდენტთან შეთანხმება... **(რა თქმა უნდა, ხუმრობს, იცინის. კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორი შესანიშნავი იარაღია იუმორი იმის ხელში, ვინც იცის მისი გამოყენება — ა. ს).**

— რა თემაზე უნდა ისაუბროთ ბათუმში ბატონ ასლან აბაშიძესთან? (მეცხრე არხი).

— ჩავალთ და ვნახავთ. ჩვენი საუბრები ძალიან მრავალფეროვანია ხოლმე და არცთუ ისე მოკლე.

ვფიქრობ, საუბარი უნდა იყოს იმაზე, თუ როგორ უნდა ვიდგეთ ერთად, არის ზოგიერთი გაუგებრობა, რომლებიც რეგიონის თავისებურებასთან არის დაკავშირებული. ვისაუბრებთ, თუ როგორ უნდა დავძლიოთ ნაბიჯ-ნაბიჯ და შევთანხმდეთ, ცალკეული ფაქტების, გამონათქვამების დრამატიზება არ მოხდეს, და საქართველოს ერთიანობას გავუფრთხილდეთ.

სხვათა შორის, ბათუმში ძალიან კარგი დელეგაცია ჩამოდის თურქეთიდან. ეს ის ხალხია, ვინც გვირაბში უნდა გაიყვანოს გზა. ყველაზე საპატიო სტუმარი არის სულეიმან დემირელი.

მან დამირეკა. მკითხა, რომ თუ მაქვს სურვილი შეხვდე მას ბათუმში, დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდა.

(ბათუმში ჩასულია ჟურნალისტების დიდი ჯგუფი. მათ მიერ მოწოდებულ მასალებს ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ. — ა. ს.).

* * *

სულეიმან დემირელი თურქეთის პრეზიდენტად ყოფნის დროს პრეზიდენტ შევარდნაძეს ყოველთვის თვითმფრინავის ტრაპამდე აცილებდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროტოკოლით გათვალისწინებული არ იყო.

პრეზიდენტი ილიესკუ ედუარდ შევარდნაძეს თვითმფრინავის ტრაპთან დაემშვიდობა, თუმცა ეს არც რუმინეთშია პროტოკოლით გათვალისწინებული.

თქვენ, რა თქმა უნდა, ხვდებით, როდის და რატომ არღვევენ ოფიციალურ წესებს პრეზიდენტები.

არმაზ სანებლიძე,
„სრ" სპეც. კორ.

სურათებზე: შეხვედრები პრეზიდენტ ილიესკუსთან და პრემიერ-მინისტრ ნასტასესთან.

საქინფორმის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

ედუარდ შევარდნაძე: ეს ვიზიტი იყო ახალი მოვლენა საქართველოს ევროპულ პოლიტიკაში

სახელმწიფო მინისტრი

მსოფლიო ბანკის კრედიტის მიღებას საფრთხე არ ემუქრება

(პირველი გვერდიდან)

იაპრაკის თქმით, იმის მიუხედავად, რომ აგვისტოს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მონაცემები არცთუ სახარბიელოა, მისი შესრულების თვალსაზრისით კი გარკვეული გარღვევაც არის, საქართველოს ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებმა სტრუქტურული გარდაქმნების კრედიტის მისაღებად მაინც შეძლეს მსოფლიო ბანკის მიერ წამოყენებული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილის ტექნიკური შესრულება. კერძოდ, „საკ-3"-ის მეორე ტრანშისათვის დასახული ყველა პარამეტრი შესრულებულია. რაც შეეხება მესამე ტრანშის მიღებას, იაპრაკის თქმით, ეს დამოკიდებულია სექტემბრის ბიუჯეტის სრულფასოვან შესრულებაზე, ლიცენზირების შესახებ კანონის დროულ მიღებასა და მსოფლიო ბანკის მიერ დასახელებულ საწარმოებში პრივატიზების პროცესის დასრულებაზე. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტრომ უკვე დაასრულა მუშაობა ლიცენზირების შესახებ კანონპროექტზე, რომელსაც პარლამენტი უახლოეს მომავალში განიხილავს, ხოლო მსოფლიო ბანკის მიერ დასახელებული 29 საწარმოდან 19-ში უკვე დამთავრდა პრივატიზების პროცესი. „შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმების პირობები თითქმის შესრულებულია", — განაცხადა ტეფიკ იაპრაკმა.

შეხვედრაზე გიორგი არსენიშვილმა და ტეფიკ იაპრაკმა იმსჯელეს დაცული ტერიტორიების რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტის შესახებ, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყულევის ტერმინალის მშენებლობასა და კოლხეთის ეროვნული პარკის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. სახელმწიფო მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო მიწის მართვის სახელმწიფო კომისია, რომლის თავმჯდომარეც გიორგი არსენიშვილია, ყულევის ტერმინალზე რკინიგზის მშენებლობის ნებართვას მხოლოდ მსოფლიო ბანკის ექსპერტების სათანადო რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში გასცემს.

საქინფორმი.

კანონმდებლები

ლევან ძნელაძეს კიდევ ერთმა კომიტეტმა დაუჭირა მხარი

(პირველი გვერდიდან)

ლევან ძნელაძე მიიჩნევს, რომ საფინანსო სისტემაში არსებული მდგომარეობა, ეტაპობრივად, მაგრამ მაინც პოზიციურად იცვლება. მისი თქმით, ფინანსურ სფეროში წესრიგის დასამყარებლად აუცილებელია საგადასახადო სამსახურის მოწესრიგება და მისი საქმიანობის მობილიზება.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ განაცხადა, ბევრს აქვს იმის შიში, რომ ლევან ძნელაძეს გაუჭირდება ახალ თანამდებობაზე მუშაობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კომიტეტი ნდობას უცხადებს მას და წარმატებებს უსურვებს მომავალ თანამდებობაზე.

ლევან ძნელაძეს მომავალ კვირაში საპარლამენტო ფრაქციებიც მოუსმენენ და შემდეგ მის საკითხს პარლამენტის პლენარული სხდომა განიხილავს.

საქინფორმი.

ახალი სეზონი

თეატრის იუბილე გადაიდო...

(პირველი გვერდიდან)

„1998 წელს მთავრობის დადგენილებით შემუშავებული საიუბილეო პროგრამა ითვალისწინებდა თეატრის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, ახალი წარმოდგენების დადგმას, ცნობილი მოღვაწეებისა და ჩვენი თანამემამულეების მოწვევას, კონკურსების გამართვას, გამოფენების მოწყობას, წიგნების გამოშვება-პრეზენტაციას... საკმაოდ ფართო პროგრამა შეიქმნა, მაგრამ 1999 წლის სეკვესტრირებულმა ბიუჯეტმა და ოპერის დღემდე გადაუხდელმა ვალებმა ძირს დაგვცა. ამიტომ ასეთ ვითარებაში არც ფინანსური შესაძლებლობა გვაქვს და არც სადღესასწაულო განწყობა. საზეიმო აღნიშვნა მომავალი სეზონისთვის გადავდეთ. იმედია, ღამსახურებულად ვიდღესასწაულებთ", — ამბობს თეატრის გენერალური დირექტორი ზურაბ ლომიძე.

მიუხედავად სიდუხჭირისა, თეატრი მაყურებელს საკმაოდ საინტერესო სეზონს სთავაზობს, რომელიც დღეს, 8 სექტემბერს იხსნება ტრადიციულად ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერით". მასში თეატრის სოლისტებთან ერთად ვიხილავთ დებიუტანტებსაც. ესენი არიან: ფერიდე ჯინჯიხაძე, ირინე ბერძენიშვილი, გივი ჭიჭინაძე. სპექტაკლში პირველად წარმოჩნდებიან ლელა გოცირიძე, გია მახარაძე, მამუკა ტეუნაძე. სექტემბრის თვეშივე თეატრი ჩვენს ცნობილ თანამემამულეს ლადო ათანელიშვილს (ათანელს) მასპინძლობს ჯ. პუჩინის ოპერა „ტოსკაში". შუა რიცხვებში კი სცენა დაეთმობა ჯ. გერშვინის ორმოქმედებიან განახლებულ საბალეტო დადგმას „პორგი და ბესი".

„ნოემბრის ბოლოსაც პრემიერა გვექნება. საქართველოში საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩის მირეი მიუსონსა და კულტურის ატაშეს პასკალ დიუსტის პატრონაჟით დაიდგმება დელიბის ბალეტი „კოპელია", რომელშიც იცეკვებს ცნობილი ფრანგი ბალერინა ვილფრიდა პიოლე. მაყურებელს ჩვენი თეატრი კიდევ სხვა სიახლეებს შესთავაზებს. სიამოვნებით წარუდგენს როგორც ჩვენს საამაყო მამულიშვილებს, ისე თეატრში მოღვაწე ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებსაც ვცდილობთ ელემენტარული პირობები შევუქმნათ და ხელი შევუწყოთ მუშაობაში. მე ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო კომპანია „შევრონის" ხელმძღვანელობას — რიჩარდ მაცკეს და მენეჯერ დავით ხუროძეს თეატრის შენობის გათბობის სისტემის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე, ევროკავშირის ტექნიკურ პროგრამა „ტასის", რომელმაც გათბობა-ვენტილაციის სისტემის განახლებაზე იზრუნა და თბილისის მერიას, რომელმაც 2000 წელს 700 მ სიგრძის მაგისტრალი გაიყვანა და თეატრი მოამარაგა ბუნებრივი აირით", — დაასრულა ბატონმა ზურაბ ლომიძემ.

მზეხა მახარაძე.

კონტაქტები

გერმანელი ექსპერტების მონაწილეობით

დღეს საქართველოს ეწვევა გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და რეაქტორთა უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს ექსპერტთა ათკაციანი ჯგუფი. ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიის დაბინძურების მდგომარეობის შესწავლის მიზნით გერმანელი სპეციალისტები დაათვალიერებენ ამ ტერიტორიას.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

კორუფციის წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

მე, როგორც ქვეყნის გენერალური პროკურორი, თავს ვალდებულად ვთვლი, განვაცხადო, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზიდან გამომდინარე, სამართალდამცველი სტრუქტურები იძულებული ხდებიან, ებრძოლონ ამ უმძიმესი მოვლენის — კორუფციის — შედეგებს, მაშინ, როცა ჩვენ ყველანი მოვალე ვართ ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტას სათავეებიდანვე ჩავუღრმავდეთ.

ბევრისათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა სირთულეები სდევს თან ისეთი დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენასა და გამოძიებას, როგორიცაა მექრთამეობა. წლეულს ოპერატიული სამსახურების მიერ არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი მექრთამეობის, ქრთამის დიდი ოდენობით გამოძალვის არც ერთი ფაქტი. ზედმეტია იმის თქმაც, რომ მექრთამეობაში არ უმხილიათ არც ერთი მაღალი თანამდებობის პირი. ქრთამის სახით აღებული თანხის რაოდენობა სულ რაღაც 50-დან 300 ლარის ფარგლებში მერყეობს, რაც, რაღა თქმა უნდა, არასაპატიმრო სასჯელების შეფარდების საფუძველი ხდება.

სამწუხაროდ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი სამართლებრივი შედეგების უკან თავად იმათი ინტერესი დევს, ვინც უკანონობას უნდა ებრძოლოს. უაღრესად გართულებული პროცედურები, მოკვლევისათვის უკიდურესად მწირი ვადები სამართალდამცველებს კურიოზულ ვითარებებსაც კი უქმნის. მაგალითად, შარშან, 22 ნოემბერს შინაგან საქმეთა ორგანოებმა ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს თბილისის ისანი-სამგორის საგადასახადო სამსახურის ინსპექტორი შ. ფირცხალაიშვილი, რომელმაც ერთ-ერთი სახადილოს მფლობელს 100 ლარი გამოსძალა. დაკავებისას მან წინასწარ ქიმიურად დამუშავებული კუპიურების გადაყლაპვა მოახერხა. ეჭვმიტანილის გადასარჩენად და აუცილებელი ნივთმტკიცების — 100 ლარის — ამოსაღებად თბილისის №1 საავადმყოფოში ძვირადღირებული ოპერაცია გაკეთდა: ეჭვმიტანილს კუჭიდან 100 ლარი ამოუღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიციელები პასუხს აგებდნენ პიროვნების უკანონო დაკავებისათვის და, რა თქმა უნდა, სამართალდამცველებს მასმედიისაგან განქიქება არ აცდებოდათ.

კორუფციული ხასიათის დანაშაულების გამოვლენასა და აღკვეთაში სრულიად არადამაკმაყოფილებელია საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონისა და საგადასახადო სამსახურების საქმიანობა. მიუხედავად მრისხანე სახელისა, დიდი უფლებების, მაღალი ანაზღაურებისა და ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, ამ სამსახურმა თავისი დანიშნულება ოდნავადაც ვერ გაამართლა. მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე შევჩერდები. არსებობის 10 თვის მანძილზე საგანგებო ლეგიონის 370 თანამშრომელზე ხელფასის სახით გაიცა 1 მილიონ 665 ათასი ლარი, მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში იგივე სამსახურმა მხოლოდ 586 ათას 995 ლარი ამოიღო, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, სამჯერ მეტი მოიხმარა, ვიდრე შემატა სახელმწიფოს. არადა, მისი უმთავრესი ფუნქცია ბიუჯეტის შევსება იყო. სწორედ ამიტომაც დაენიშნათ ლეგიონერებს მაღალი ანაზღაურება. 10 თვეში თითოეულ მათგანს 4 ათას 500 ლარი აქვს მიღებული ხელფასის სახით. ესე იგი თითოეულმა მათგანმა ამოღებულ თანხაზე 2 914 ლარით მეტი მიიღო. თუ ამას დავუმატებთ ლეგიონერების მივლინებების, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონებისათვის გაწეულ ხარჯებს, სახელმწიფოს ზარალი გაორმაგდება. სამწუხაროდ, იძულებული ვართ ხაზგასმით აღვნიშნოთ ის აჟიოტაჟი და ფართო პროპაგანდისტული მხარდაჭერა, რომელიც თან ახლდა ამ სამინისტროს შექმნას. არადა, მარტო საბაჟო დეპარტამენტის მოკვლევის 20-კაციანმა სამსახურმა, რომელიც ამ სამინისტროს შექმნამდე არსებობდა, 1999 წელს ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოიღო 925 ათას 794 ლარით მეტი, ვიდრე ლეგიონის 370 მუშაკმა მიმდინარე წლის 10 თვეში. ალბათ, ზედმეტია საუბარი იმაზეც, რომ ლეგიონერებს არ გამოუვლენიათ არც ერთი რეზონანსული დანაშაული, არადა, ყველასათვის ცხადია, რომ საგადასახადო და საბაჟო სფეროში მძიმე კატეგორიის სამართალდარღვევები საძებარი არ არის.

ხაზგასმით მინდა ვთქვა: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ნარკობიზნესის სატრანზიტო კორიდორი გახდა, ლეგიონის შექმნისთანავე გაუქმდა საბაჟო დეპარტამენტში პრეზიდენტის ბრძანებულებით ჩამოყალიბებული სპეციალური დანაყოფი. შედეგი? შედეგი ისაა, რომ საგანგებო ლეგიონს დღემდე არ გამოუვლენია ნარკოტიკების კონტრაბანდისა და ტრანზიტის არც ერთი ფაქტი. სამომხმარებლო ბაზარი კი თითქმის ბოლომდეა გაჯერებული კონტრაბანდული გზით შემოტანილი ნარკოტიკებით.

შემოსავლების სამინისტროს ხელმძღვანელობის დაჟინებული მოთხოვნით, საგანგებო ლეგიონის შექმნის შემდგომ უკიდურესად შეიზღუდა სახელმწიფო უშიშროებისა და პოლიციის ორგანოების უფლებები, ქვეყნის შიგნით კონტრაბანდასთან ბრძოლის გაძლიერებისა და კიდევ ზოგიერთი სხვა მოტივით ბევრგან გაუქმდა პოლიციის საგზაო და სხვა საგუშაგოები. მათ აეკრძალათ ტვირთიანი სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება და შემოწმება. ეს ფუნქცია მთლიანად აიღო თავის თავზე საგანგებო ლეგიონმა. ყველა რაიონის შემოსასვლელთან დადგა ლეგიონის სპეციალური მანქანები. მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი ბარიერებისა, სახელმწიფო უშიშროებისა და პოლიციის სამსახურებმა მაინც შეძლეს გამოევლინათ და აღეკვეთათ კონტრაბანდის 70-ზე მეტი დანაშაული. ლეგიონმა კი დაარსებიდან დღემდე, სასათბურე პირობების მიუხედავად, ვერც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ვერ გამოავლინა. ილუზიების ტყვეობაში ვერ ვიქნებით და გავიმეორებთ: *ეს მოვლენა აშკარად მიუთითებს ამ სამსახურის წარმომადგენლების კორუმპირებულობაზე.*

საფუძვლიან ეჭვს იწვევს საგანგებო ლეგიონის საქმიანობა ბაზრობებზე, სადაც, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ყოველდღიურად გროვდება და ცალკეული ჩინოვნიკების ჯიბეებში ილექება ათეულ ათასობით ლარი.

კიდევ უფრო საგანგაშოა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღკვეთის პრაქტიკა. *ლეგიონის მიერ გამოვლენილი 2 ათასზე მეტი სამართალდარღვევიდან აღძრულია მხოლოდ 155 სისხლის სამართლის საქმე. დანარჩენი, მათივე განმარტებით, გადაწყვეტილია ადმინისტრაციული წესით. რეალურად რასთან გვაქვს საქმე — კერძოდ დანაშაულთან თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან — ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, რადგან ლეგიონის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების უფლება პროკურორს არ გააჩნია. შედეგად მივიღეთ, რომ თავად კანონი უწყობს ხელს აშკარა უკანონობას, რომლის ძალითაც ბევრი დანაშაული ადმინისტრაციული წესით დასჯად ქმედებადაა შერაცხული.*

კონტრაბანდული საქონლის რეალური ღირებულებებით მანიპულირება, სრული უკონტროლობის პირობებში, ლეგიონს საშუალებას აძლევს მიჩქმალოს რეალურად არსებული დანაშაული, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ბიუჯეტს ათეული და შეიძლება ასეული მილიონი ლარითაც კი აზარალებს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ყველა უშედეგო შემოწმების მიღმა შემოწმებულის დანაშაულებრივი დაინტერესება ჩანს. ეს ყველაფერი კი გამოწვეულია რეფორმების ხელაღებით და მოუმზადებელი ჩატარებით, რამაც თავის მხრივ განაპირობა დაბალი კვალიფიკაციისა და არცთუ ისე იშვიათად არაკეთილსინდისიერი კადრების თავმოყრა უწყებაში.

ერთია ათეულმილიონიანი ბიუჯეტის კუთვნილი სახსრების მითვისება, მაგრამ კიდევ უფრო საგანგაშოა, როცა ასეთ ქმედებებში ეჭვმიტანილ პირებს ღიად ხელს აფარებენ და ლობირებენ ქვეყნის სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლები. წლეულს, 29 მაისს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის აქციზური მონიტორინგის სამმართველოს უფროსი ნ. ცაგურია და ამავე სამმართველოს განყოფილების უფროსი ო. რაფავა, რომლებმაც აზერბაიჯანიდან საწარმოო დანიშნულების ზეთის შემომტან 12 ფირმას უკანონოდ შეუცვალეს სასაქონლო ნომენკლატურის კოდი, რითაც ბიუჯეტს 388 ათასი ლარის ზარალი მიაყენეს. იგულისხმება, რომ ეს თანხები უგზოუკვლოდ არ დაკარგულა და სწორედ იმათ ჯიბეებში დაისადგურა, ვისაც ასე საჯაროდ ჯერჯერობით არ მოიხსენიებენ კორუმპირებულებად. მაგრამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად შორს წასვლა არ გვჭირდება...

მაშინ, როდესაც უკვე ცხადდებოდა ქრთამის აღებ-მიცემის ფაქტი და დამნაშავეთა მფარველები, 28 პარლამენტარის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლომ მათ აღკვეთის ღონისძიება — დაპატიმრება გაუსვლელობის ხელწერილით შეუცვალა. რა თქმა უნდა, დაიკარგა თანამდებობის პირთა მხრიდან ქრთამის გამოძალვაში მხილების პერსპექტივა. არადა, საქმე ეხებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხებს, რომელიც ბიუჯეტს დააკლდა. ბუნებრივია, ამ პირებს არც უფიქრიათ სახელმწიფოს ზარალის ანაზღაურება. ასეთი შესაძლებლობა თავად ჩვენმა კანონმდებლობამაც მისცა, როცა უარი ვთქვით ქონების კონფისკაციაზე სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

ჩვენი უბედურება სათავეს იმ საბედისწერო შეცდომებისაგან იღებს, რომლებიც თავის დროზე დავუშვით

საქართველოს გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის გამოსვლა მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 2001 წლის 4 სექტემბერს

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გამოიყურებოდეს, დამნაშავეთა მფარველებმა, ნებსით თუ უნებლიედ, აშკარად შეუწყვეს ხელი ათეულ ათასობით საბიუჯეტო სახსრების მიმთვისებლებს, გაქცეოდნენ დამსახურებულ სასჯელს.

ზემოთ მოტანილი მაგალითი ერთია ასეულობით შემთხვევიდან. სისტემატური ხასიათი აქვს გამოძიების საქმიანობაში უკანონო ჩარევასა და ზეწოლას, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ გამომძიებლები უმაღლესი სახელისუფლებო სტრუქტურებისა და მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენლის მუდმივი წნეხის ქვეშ არიან მოქცეული. გავიხსენებთ ასეთ საქმეს: დამნაშავეთა ორგანიზებულმა ჯგუფმა, შპს „მწყემსის" გენერალური დირექტორის გიზო შარვაშიძის, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტის დირექტორის გიორგი ჭუმბურიძისა და სხვების შემადგენლობით ტვირთების ჰუმანიტარული ხასიათის უკანონოდ ცნობით მიაღწია საბაჟო გადასახდელისაგან განთავისუფლებას, რის შედეგადაც მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა ბიუჯეტის კუთვნილი 1 მილიონ 600 ლარი.

გ. ჭუმბურიძის დაპატიმრებისთანავე მასმედიით, „რუსთავი-2"-ის გადაცემა „60 წუთით", ცილისწამების ნიაღვარი დაატყდა თავს ტრანსპორტის პროკურატურას, რომლის წარმოებაშიც იყო აღნიშნული საქმე. გ. ჭუმბურიძე დევნილად და წამებულად გამოცხადდა. მას სასწრაფოდ გვერდში ამოუდგა ერთ-ერთი პარლამენტარი, რომელმაც სპეციალური პრესკონფერენციაც კი მიუძღვნა პროკურატურის განქიქებას და ჭუმბურიძისა და სხვების უდანაშაულობის მტკიცებას; რა თქმა უნდა, აქაც იგივე განმეორდა. თბილისის საოლქო სასამართლოში საპატიმრო ვადის გაგრძელებისას შევიდა 40 პარლამენტარის მიერ ხელმოწერილი 5 შუამდგომლობა დაპატიმრების ბრძანების გაუქმების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღკვეთის ღონისძიება შეუცვალა ჭუმბურიძეს, შარვაშიძეს და სხვებს. მიაქციეთ ყურადღება: ა. შარვაშიძე 1980 წელს მსჯავრდებული იყო ყაჩაღობის, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის, იარაღის უკანონო ტარებისათვის და მისჯილი ჰქონდა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. 1990 წელს გ. შარვაშიძე განთავისუფლდა პატიმრობიდან. 1997 წელს მან კვლავ ჩაიდინა დანაშაული — მიითვისა საჭვრო ფირმა „ამირანის" კუთვნილი 101 ათასი ლარი... კრწანისის სასამართლომ მაშინ მას არასაპატიმრო ღონისძიება შეუფარდა. აი, ასეთ პირებს შუამდგომლობს საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი წევრი. თუ ასე გაგრძელდა, ყოველგვარ აზრს დაკარგავს პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს საქმიანობა. *მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი პირები პარლამენტართა შუამდგომლობების რეკორდულ რაოდენობას აგროვებენ. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი სამსახურის ყოფილმა უფროსმა 104 პარლამენტარის ხელმოწერილი შუამდგომლობა „დაიმსახურა".*

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება ლტოლვილთა შემწეობების დატაცების ფაქტზე. ირკვევა, რომ ეს „საფოსტო ბანკის" აფხაზეთის ფილიალში არსებულმა განუკითხაობამ გამოიწვია. დღეისათვის დადგენილია 2 მილიონ ლარზე მეტი შემწეობის დატაცება. ამ საქმეზე უკვე 1 000 ტომზე მეტი შეიქმნა, გამოძიება კიდევ გრძელდება.

გენერალურ პროკურატურაში შემოსული მასალები ცხადყოფს, რომ საქართველოს „საფოსტო ბანკი" სხვა ახალ „სიურპრიზებსაც" გვთავაზობს. ბანკის ინიციატივით, ზოგიერთი პარლამენტარისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩინოვნიკთა თანადგომით, ინტენსიურად ინერგება სახელმწიფო ქონების მითვისებისა და გაფლანგვის ახალი ფორმები და მეთოდები.

ნათქვამი უფრო ნათელი რომ გახდეს, მოვიყვან მაგალითს. ამას წინათ, საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიიდან გენერალურ პროკურატურაში შემოვიდა მასალები, რომლის მიხედვით ირკვევა: 1999 წლის 5 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფოსტო ბანკსა" და „კახეთის პურს" შორის გაფორმდა ხელშეკრულება 705 ათასი დოლარის, როგორც სააქციო საზოგადოება „კახეთის პურის" მიმართ არსებული ბიუჯეტის დავალიანების „საფოსტო ბანკზე" გადაცემის შესახებ. ეს მაშინ, როდესაც „კახეთის პურს" თავად ჰქონდა ბიუჯეტის დავალიანება 633 ათასი დოლარის ოდენობით. ფინანსთა სამინისტრომ ზემოთ აღნიშნული თანხის გაცემის დროს ურთიერთჩათვლა არ განახორციელა, ანუ „კახეთის პურმა" 705 ათასი დოლარი გადასცა „საფოსტო ბანკს", ხოლო რაც შეეხება თავის ვალს ბიუჯეტის მიმართ, ის არ გაუსტუმრებია.

ანალოგიური ოპერაციები განხორციელდა სააქციო საზოგადოება „ქართულ სახლსა" და შპს „რადიოცენტრს" შორის, რომლის დამფუძნებელია სახელმწიფო 100-პროცენტიანი წილით. ამ შემთხვევაში ბიუჯეტმა 1,4 მილიონი ლარი იზარალა. აქაც სხვებთან ერთად იმხილება „საფოსტო ბანკი". აღნიშნულ ოპერაციათა განხორციელების შედეგად, ორივე საწარმომ არსებობა შეწყვიტა.

როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას ყბადაღებული სილიკომანგანუმის ნარჩენების, ანუ წიდის კუთვნილებასთან დაკავშირებით. პრეზიდენტის არაერთი დავალების მიუხედავად, სახელმწიფო ქონების მართვის, იუსტიციის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებმა, პარლამენტის დარგობრივმა კომიტეტებმა, ცალკეულმა პარლამენტარებმა, ერთი სიტყვით, ყველამ, ვისაც არ ეზარებოდა, ყველაფერი გააკეთა, რათა ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეული პირთა გარკვეულ ჯგუფს ჩაეგდო ხელში. ამ მიზნით გაიცა უამრავი უკანონო აქტი და გაკეთდა არაერთი განმარტება, რომლითაც წიდა უპატრონო ქონებად გამოცხადდა. იუსტიციის მინისტრის მოადგილე ი. ოქრუაშვილი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე გ. ჭყონია, მოკლედ, ვინ არ ჩაერია...

ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტები ადასტურებს, რომ წიდის ერთადერთი მესაკუთრე სააქციო საზოგადოება „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა", რომლის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი სახელმწიფოა. შესაბამისად, დღეს მაინც უნდა დაესვას წერტილი ამ საქმეში არსებულ ქაოსს და განუკითხაობას, სახელმწიფო ქონების აშკარად და ღიად ძარცვა-გლეჯას. სახელმწიფოსათვის კუთვნილი სტრატეგიული მნიშვნელობის ნედლეული ხალხსა და ბიუჯეტს უნდა მოხმარდეს.

უმძიმესი შედეგები მოჰყვა სახელმწიფო ქონების უკანონო პრივატიზაციას. ყველა მიტაცებული ობიექტი დღეს დაკანონებულია სასამართლოს გადაწყვეტილებებით. მათი გაუქმება ან გადასინჯვა კი არსებული კანონით დადგენილი სამწლიანი ვადის ამოწურვის გამო შეუძლებელია. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებაში მოკალათებულმა ლობისტებმა შეძლეს თავიანთი კლანებისათვის ჩაეგდოთ ხელში დიდძალი სახელმწიფო ქონება და გადაეკეტათ ყველა საშუალება ამ ქონების კანონიერი მესაკუთრისათვის დასაბრუნებლად. ეს შეზღუდვა, ანუ პრივატიზაციის უკანონობის მოტივით გასაჩივრების სამწლიანი ვადა, დაწესდა 1997 წლის 30 მაისს მიღებული კანონით. ცხადია, რომ ამ პრობლემებს ვერანაირად მოევლება სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე. ეს კი შეუძლებელი იქნება, თუკი საქართველოს პარლამენტში — ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — წინა პლანზე არ წამოიწევს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების აუცილებლობის გაცნობიერება. ასეულობით ასეთი ფაქტის მოტანა შეიძლება, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება. ვერაფერს მივაღწევთ ცალკეულ პოპულისტთა დემაგოგიური გამოხდომებით, ვერაფერს გავაკეთებთ პრობლემისადმი ბოლშევიკური მიდგომით, რაც მთავარია, ნეგატიურ მოვლენათა შედეგებთან ბრძოლით. ვითარება რადიკალურად მხოლოდ მაშინ შეიცვლება, როდესაც ყველანი ერთად სერიოზულად ვიფიქრებთ იმაზე, თუ როგორ მოვიყვანოთ კანონები შესაბამისობაში რეალურ ვითარებასთან. თუ კანონებში ზუსტად იქნება გათვალისწინებული ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები და ქვეყნის განვითარების მოცემული ეტაპი, შემდგომ სათანადო ორგანოებს უნდა მივცეთ დავალება და მკაცრად მოვთხოვოთ კანონების ზუსტი და განუხრელი შესრულება. ჩვენი უბედურება სათავეს იღებს იმ საბედისწერო, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომებისაგან, რომლებიც თავის დროზე დავუშვით და ქვეყანა უმძიმესი სოციალური კატაკლიზმების რეალური საფრთხის წინაშე დავაყენეთ...

ამ დღეებში სიცოცხლეს გამოესალმა უნიჭიერესი იურისტი ედიშერ ჩარგაზია. როგორც მოგეხსენებათ, იგი უმძიმეს წლებში ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგებელი იყო. გმირობის გარდა, სხვა სიტყვებს ვერ ვუწოდებ იმ ძალისხმევას, რომელიც მაშინ გასწია ამ ახალგაზრდა და პერსპექტიულმა კაცმა. მან შეძლო რეგიონში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების განმუხტვა. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კი იგი იუსტიციის სამინისტროდან, სადაც ბოლო წლებში მუშაობდა, ყოველგვარი დამაჯერებელი არგუმენტაციის გარეშე გამოაძევეს. მასალები, რომელიც საფუძვლად დაუდეს სამსახურიდან ბატონ ედიშერ ჩარგაზიას განთავისუფლებას, ტელევიზიით მის განქიქებას და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით გენერალურ პროკურატურაში გადმოცემას, იმდენად უსუსური აღმოჩნდა, რომ ავტორებს უკანვე დაუბრუნდათ.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლით და საკუთარი რიგების წმენდით შენიღბული ნეობოლშევიკური დევნა არა მარტო ზნეობრივად ანგრევს ჩვენს საზოგადოებას, ფიზიკურად წირავს ცალკეულ ღირსეულ პიროვნებებს, არამედ გვაბრუნებს გასული საუკუნის 30-ანი წლების ვითარებაში, როდესაც შეგნებულად განადგურდა ერის საუკეთესო ნაწილი. ლოზუნგები კი მაშინაც ფრიად მომხიბვლელად ჟღერდა.

და ბოლოს. ქვეყნის წინსვლისათვის, კორუფციის დასამარცხებლად, ხალხის კეთილდღეობისათვის აუცილებელი პირობაა კანონის უზენაესობის პრინციპის განუხრელი დაცვა. ოღონდ, ეს კანონი მართლაც უნდა ემსახურებოდეს იმ მიზნებს, რისთვისაც მისი უზენაესობა არის აუცილებელი. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში გაიმარჯვებს კეთილგონიერება, მაგანი ჩაიცხრობენ ამბიციებს და ყველაფერი გაკეთდება ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

და კიდევ ერთი რამ. გუშინ შესრულდა უნიჭიერესი ქართველი ჟურნალისტის გიორგი სანაიას დაღუპვიდან 40 დღე. მე ვიცი, რაოდენ დიდია მთელი ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით მასმედიის ინტერესი ამ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. დიახ, ჩვენ, სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები არანაირ ინფორმაციას არ გავცემდით და არ გავცემთ, სანამ არ იქნება მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება. როდესაც ეს შემზარავი დანაშაული მოხდა, მე პირადად თხოვნით მივმართე მასმედიას და საზოგადოებას ამოგვდგომოდნენ გვერდში. შედეგი მივიღეთ აბსოლუტურად განსხვავებული. უნდობლობა, დაცინვა და გუშინ — კულმინაცია...

მე გეკითხებით, ბატონო იურისტებო, და გეკითხებით, ბატონებო და ქალბატონებო, რომელ ნორმალურ ქვეყანაში გინახავთ, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული გამოდიოდეს ტელევიზიით და მთელს ქვეყანას უყვებოდეს, რომ ის დაკითხეს სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით, რა საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს და რა მტკიცებულებები ამოიღო გამოძიებამ. ჩვენ თუ ასე გვინდა ამ საქმისათვის ფარდის ახდა, არ გამოვა. კანონის დაცვა ყველამ უნდა ვისწავლოთ, კანონის დაცვის მოთხოვნილება თითოეულ ჩვენგანში უნდა იყოს. ეს საქმე გაიხსნება, ეს ჩვენი ღირსების საქმეა, მაგრამ ამას უნდა კარგად მოფიქრება, ურთიერთგვერდში დგომა, და არა ის, რაზეც ახლა მქონდა საუბარი.

აღმასრულებელი ხელისუფლება

მშენებლობის სამინისტრომ დავალება შეასრულა

„ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 15 მარტის № 95 ბრძანებულების შესაბამისად, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიმდინარე წლის 1 ივნისამდე უნდა წარედგინა ინფორმაცია 1997 წლის 1 იანვრიდან აღნიშნულ ვადამდე ქვეყნის ტერიტორიაზე გაცემული მშენებლობების ნებართვის, აგრეთვე, უნებართვო ან საპროექტო პარამეტრების დარღვევით მიმდინარე ან განხორციელებული მშენებლობების თაობაზე. სამინისტრომ დავალება შეასრულა, მისი კონტროლი კი ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ განახორციელა, რომლის შესაბამის დასკვნაში ნათქვამია, რომ ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ინფორმაციით, 1997 წლიდან 2001 წლის ივნისამდე თბილისში სულ გაცემულია 1136 მშენებლობის ნებართვა. მათგან სრულყოფილადაა წარმოდგენილი 412, ხოლო დანარჩენ 724 ნებართვაზე მასალები ხარვეზებითაა წარმოდგენილი (მონაცემები გაუგებარია, ან არასრული). აქედან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის 65 პროცენტი არასრულყოფილია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მითითებული არ არის მშენებარე, ან აშენებული ობიექტის ზუსტი მისამართი, გაუგებარია მონაცემები ფართობის შესახებ, მისი საპროექტო ღირებულება და სხვა. გარდა ამისა, საკმაოდ დიდი სხვაობა აღმოჩნდა კომპიუტერით დამუშავებულ ინფორმაციასა და ტექსტის სახით წარმოდგენილ მასალებს შორის. კერძოდ, თბილისში კომპიუტერში აღრიცხულია 1501 მშენებლობა, ხოლო ტექსტურ ვარიანტში – 2179. მათ შორის, დარღვევითა და უნებართვოდ მიმდინარე მშენებლობა დისკეტურ ვარიანტში აღნიშნულია მხოლოდ 365, ტექსტურში კი – 463.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციიდან (სოროსის ფონდი) მიღებული გრანტის მეშვეობით თბილისში საველე კონტროლი ჩაატარა და, მათ მიერ მიღებული მონაცემებით, აღმოჩნდა, რომ 179 ინდივიდუალური სახლის მშენებლობა საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს თბილისის „არქმშენინსპექციიდან" მიღებულ მასალებში საერთოდ არ არის აღნიშნული.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ ანტიკორუფციულ ბიუროს წარუდგინა დასკვნა, რომელიც მთლიანად აბათილებს ასოციაციის მიერ წაყენებულ ყველა ბრალდებას. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ანტიკორუფციულ ბიუროში წარდგენილი ინფორმაციის დისკეტურ ვარიანტში, რომელიც შემდეგ ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას გადასცეს, უზუსტობა აღმოჩნდა. კერძოდ, დისკეტურ ვარიანტში, ტექსტის სახით წარმოდგენილ მასალასთან შედარებით მოცემული იყო დაახლოებით 600 ობიექტით ნაკლები, ანუ ამ ვარიანტში დაფიქსირებულია 2179-ვე ობიექტი. რაც შეეხება ასოციაციის მიერ საველე კონტროლის შედეგად უკანონო შენებარე ობიექტების აღმოჩენას, „არქმშენინსპექციის" უფროსის ზაურ კაპანაძის თქმით, შეუძლებელია ხუთი დღის განმავლობაში 179 ობიექტის დათვალიერება, მონაცემების შედარება ძირითად რეესტრთან და დასკვნის გამოტანა. სამინისტროს მთავარმა „არქმშენინსპექციამ" თბილისის „არქმშენინსპექციასთან" ერთად შეისწავლა კონტროლის მასალები, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ამ 179 ობიექტიდან 54 აღნიშნულია ანტიკორუფციული ბიუროსათვის გადაცემულ ინფორმაციაში, 88 ობიექტის მშენებლობა კი დაწყებულია 1997 წლამდე, ხოლო მათ აღრიცხვას პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება არ ითვალისწინებს და, ბუნებრივია, ვერც სამინისტროს მიერ გადაცემულ ინფორმაციაში იქნებოდა წარმოდგენილი, გარდა ამისა, 17 ობიექტი საერთოდ არ არსებობს, ხოლო 19-ის მიგნება ვერ მოხერხდა არასწორი მისამართის გამო. აღნიშნული ობიექტებიდან კი მხოლოდ ერთ ობიექტზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რასაც, მშენებლობის ნებართვა არ სჭირდება.

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ანტიკორუფციულ ბიუროსთან, რასაც მრავალი სასიკეთო ძვრა მოჰყვება – მიაჩნიათ ანტიკორუფციული ბიუროს წევრებს.

საქართველოს ანტიკორუფციულმა ბიურომ ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასა.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 222. შაბათი, 8 სექტემბერი, 2001 წელი.

სიტუაცია

მძიმე საუბარი

ეჭვით და შიშით ნაკარნახევი წერილი განათლების მინისტრს ალეკო კარტოზიას

(პირველი გვერდიდან)

დავიწყოთ უცხოეთთან ურთიერთობის რამდენიმე ასპექტით, კერძოდ, მათი ე.წ. დახმარებისა და სესხის თანამდევი პირობებით.

მოგეხსენებათ, ჩვენთან დაკავშირებული უცხოური ბანკები და ფონდები, როგორც წესი, ქველმოქმედ დაწესებულებებად იწოდებიან და ზოგჯერ, ალბათ, კიდეც ამართლებენ ამ მისიას, მაგრამ არ ვიცი, რა დავარქვა იმ მოთხოვნებს და დავალებებს, რომლებიც მუდამ ახლავს მათ ნაბოძებ ყოველ ცენტს?

საერთაშორისო ორგანიზაციების თბილისში აკრედიტებული წარმომადგენლები, ჩვენზე გაღებული სესხებისა და დახმარებების გამოყენების პროგრამებში (არა მარტო), პრინციპულად გამორიცხავენ პროფესიონალთა მონაწილეობას (?!). ჯერ ერთი, უცხოელი რატომ მიდგენს მე ნასესხები ფულის ხარჯვის პროგრამას? ნუთუ მე და ჩემი ხალხი იმ ჭკუაზე ვდგავართ, რომ მშიერი კუჭით შეიძლება პურს გვერდი ავუაროთ და კრიალოსანს ვეცეთ საყიდლად?! მეორეც, რომელი ფილოსოფიური მოძღვრების ნაყოფია იმის მტკიცება, რომ გამოცდილება და ოსტატობა ხელს უშლის სიახლის აღქმას?! განათლებულ საზოგადოებაში ასეთმა უხერხულმა დებულებამ არც უნდა გაიჟღეროს. საქმეში ჩაუხედავს ყოველგვარი ძველი და დრომოჭმული სიახლედ რომ მოეჩვენება, ეს ნათელია, მაგრამ ის, თუ ვის და რისთვის სჭირდება ხალხის ასე გაბრიყვება, უთუოდ დამეთანხმებით, ეჭვსაც იწვევს და შიშსაც.

ახლა, არ იკითხავთ, რა „ღრმამეცნიერულ" დებულებებს გვთავაზობენ მათ მიერ ორგანიზებული სემინარებისა და კონფერენციების ამსახველი მასალები, უცნობი ავტორების მეთოდიკური გამოცემები, რომლებიც ციმციმ უთარგმნიათ ამ საქმის კოორდინატორებს. თურმე ნუ იტყვით, მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება დიდად უწყობს ხელს მათ პროფესიულ დაოსტატებას; უსათუოდ უნდა უკუვაგდოთ სწავლების სტატისტიკური მეთოდი და მათგან ვისწავლოთ ამ საქმისადმი ახლებური, ე. ი. შემოქმედებითი მიდგომა. რაც შეეხება, მასალის ზეპირობას, ზუთხვას, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავანებოთ თავი მას, და გადავიდეთ გაუნობიერებულ სწავლებაზე, შემეცნებითი ინტერესის გაღვივებაზე და ასე შემდეგ...

ამგვარ სენტენციებზე აშენებულ საურთიერთობო პოლიტიკას დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ელემენტი რომ ახლავს, ეს ფაქტია, მაგრამ ჩემი და, ალბათ, ყველა ჩვენთაგანის თავში საცემი ის უფრო არის, რომ თურმე სწორედ მათ უნდა შეგვიდგინონ საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა მიხედვითაც ძირფესვიანად გარდაიქმნება ქვეყნის განათლების სისტემა. აქ უკვე ეჭვი აღარ არის, შიშით ფართოდ გახელილი თვალები შემოგვცქერიან, მაგრამ ჩვენ ჯიუტად ვდუმვართ, ხმას არ ვიღებთ.

ცხოვრების გამოცდილებამ კარგად გაგვარკვია უცხოელთა ფსიქოლოგიაში. მათ კაპიტალისტური ანგარიშიანობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი და ნურავინ დაიჯერებს, ერთი ცენტიც კი გაიღონ იქ, სადაც არც ფინანსური უკუგებაა და არც პოლიტიკური ინტერესი. ხომ უნდა დავფიქრდეთ, რატომ გვახვევენ თავს თავიანთ ექსპერტებს, რომელთაც სწორედ იმ სესხიდან ვუხდით უზარმაზარ ჰონორარს?! ისეთი რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ ყველაფერში სხვისი რჩევა-დარიგება გვჭირდება?! ყველა, ყველა, მაგრამ მონტენეგროელმა და სერბიელმა ჩვენ რა უნდა გვასწავლოს, როცა იუგოსლაველთა საკმაოდ მაღალი ინტელექტუალური დონის მიუხედავად, სამეცნიერო ხარისხის ჩერნოგორიელ და სერბიელ მაძიებლებს მუდამ ჩვენს სპეციალისტებთან აგზავნიდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ნუთუ ახლა ისე დაგვიჩლუნგდა გონება, რომ ვერ ვხედებით ბავშვთა ოლიმპიადებზე რატომ აფინანსებენ ყველა საგანს, გარდა ეროვნული დისციპლინებისა, კონკურსებსა და ტენდერებზე რატომ ითხოვენ პირველ რიგში უცხო ენისა და კომპიუტერის ცოდნას?! გიყვარდეთ, კარგია ერთიც იცოდე და მეორეც, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ენა ხომ ქართულია და რომელიც გნებავთ იმ სპეციალობაზე პროფესიული ოსტატობაა მთავარი და არა იმდენად სხვა რამ.

როგორ არ შეგაშფოთებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ეს გამაყრუებელი რეკლამა, წარამარა რომ გადმოსცემენ ინფორმაციის ყველა საშუალებით და თავხედურად დასძენენ, – ვიზრუნოთ ერთმანეთზეო. რატომ არ ვუფიქრდებით, როგორი ზრუნვაა, როცა სურსათ-სანოვაგეს ცეცხლის ფასად გვიგზავნიან, ხოლო კონტრაცეპტივებს სრულიად უფასოდ გვირიგებენ?! ერთ დროს კომუნისტურმა რეჟიმმა სასტიკად აკრძალა აბორტი მთელ საბჭოთა სივრცეში. ხოლო ჩვენ, ეს მცირერიცხოვანი ერი, რომელსაც ძლივს გვეღირსა დემოკრატიული ხელისუფლება, თავგამოდებით ვიბრძვით იმისათვის, რომ გამრავლებას შევუმალოთ ხელი. როგორ ჟღერს ამ ორი უტყუარი ფაქტის შეჯერება? ახლაც მეტყვის ვინმე, ეჭვი და შიში რატომ გაგიჩნდაო?

სასკოლო სახელმძღვანელოების კონკურსის წესით შერჩევა და მათი აპრობირების შედეგად გრიფირება უთუოდ პროგრესული ნაბიჯია, მაგრამ არ შეიძლება წამდაუწუმ გამონაკლისების დაშვება. წესს ერთხელაც რომ დაარღვევ, ის უკვე აღარ არის წესი და ყოველგვარ იდეასაც ეს უტეხს სახელს. გამოდის, რომ ვიბრძვით სამართლიანობისათვის, ვიღებთ – უსამართლობას, რაც თავისით არასოდეს არ აღმოცენდება ხოლმე, მას სთესენ.

აქვე ექსპერტების შერჩევის უცხოურ მოდელზეც მინდა ვთქვა, ნაცნობ-კოლეგების გამოკითხვას რომ ეყრდნობა. ჯერ ერთი, აშკარად ჩანს, რომ ეს ერთობ პრიმიტიული მექანიზმია და ის ჩვენი მენტალიტეტის მქონე ხალხში ვერ იმუშავებს. მეორეც, ეს უთუოდ ნდობის ფაქტორის დეფიციტითაა ნაკარნახევი და რაოდენ საწყენია, რომ ეს იმ ხალხში ხდება, ერთი ღერი ულვაშის ფასად მამულს რომ ანდობდა მავანს. ისედაც, ყველას პატიოსნებაში ხომ ვერ შეიტან ეჭვს? უნდობლობის გარემოში კი მტერმა იცხოვრა. ასეთ დროს ხომ შეიძლება კონტრმექანიზმიც ამუშავდეს და მორწმუნე ერისკაცად მოინათლოს, ერისკაცი კი – ბერად.

სიმართლე რომ ვთქვა, მასწავლებლის კორუმპირებულობაზე ლაპარაკი ჩვენს დროში, როცა ირგვლივ მილიონების დატაცების ფაქტებს ვაწყდებით, მკრეხელობად მიმაჩნია. ერთი სული მაქვს, ყველას გასაგონად ვიყვირო – ხალხო, მასწავლებელს ქრთამის აღების ყველაზე ნაკლები შანსი აქვს და მოდით, ნურავის გავხვევთ დემაგოგიის ბურუსში, ნურავინ ეცდება სხვას მოსცხოს ჩირქი, როცა თავად მოუჩანს მამლის ბოლო ახალუხის კალთიდან!

განათლებასთან დაკავშირებულმა რიგითმა მუშაკმაც იცის, რომ ცოდნის შეფასების სისტემაში ტესტირების მეთოდი ახალი არ არის, მაგრამ მას გადამწყვეტ ფუნქციას არ ანიჭებენ, რადგანაც იგი ალბათობის მაღალი პროცენტის შემცველია და უმეტესად ლატარიასა და შოუ-პროგრამებშია გამოყენებული. უცხოელი მეგობრები კი ძალას გვატანენ, ტესტების მომზადებაზე ვხარჯოთ მილიონები. ამასთან, იმასაც ამბობენ, მომავალში მთლიანად უნდა გადავერთოთ მოსწავლეთა ცოდნა-უნარების ამგვარ შემოწმებაზეო. ტესტირების მეთოდით შეფასების მცდარობა რომ ბავშვის ცოდნა-განათლებაზე არასწორ წარმოდგენას შეგვიქმნის, ეს ერთი ცოდვაა, მეორე და მთავარი ის არის, რომ შეფასების რეალური სურათის გარეშე ვერც სასწავლო შინაარსს ავაგებთ და ვერც მისი მიწოდების მეთოდიკას. რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენ კარგად იცით, საგანმანათლებლო პოლიტიკა ჰაერზე არ იქმნება, ის ყველა საწყისი მონაცემების საფუძველზე იგეგმება და თუ ტესტირების მიახლოებით მონაცემებს ვენდეთ, ჩვენს მიერ რეფორმირებული სკოლაც სასურველთან მიახლოებული იქნება და მეტი არაფერი.

როგორც გადმომცეს, ოკეანისგაღმელები ახლა კიდევ ახალ „ინოვაციებს" გვთავაზობენ: აქაოდა, თქვენთან ბავშვის უფლებები ირღვევა, კორუფცია მძვინვარებს, პატარებს აქედანვე უნდა ასწავლოთ მათგან თავის დაღწევის გზებიო. თურმე ნუ იტყვით, მეოთხეკლასელი კარგად თუ დაიზუთხავს ბავშვის უფლებათა დაცვის დეკლარაციას, უფროსები არამც და არამც არ დაარღვევენ კონვენციით გათვალისწინებულ ნორმებს, ხოლო მეცხრე კლასის სასწავლო გეგმაში ანტიკორუფციული ბრძოლის მეთოდების შესახებ სპეციალური საგნის შემოღებით, მთავრობის წევრებს უსათუოდ გადავაჩვევთ სახელმწიფო ქონების მითვისებასა და ბიუჯეტის ხელყოფას. ნათქვამია, კარს ნაჯახით ვერ გააღებ, შეშას გასაღებით ვერ დააპობო. სხვა უფრო მწვავე ანდაზაც მოერგებოდა ზემოაღნიშნულ ფაქტებს, მაგრამ ხისა და ცულისა არ იყოს, აქ მარტო უცხოელის ინიციატივასთან როდი გვაქვს საქმე, როგორც ჩანს, ჩვენმა ხელისუფლებამაც კარგად იაქტიურა, რომ დამკვეთებისთვის დაემტკიცებინა, როგორი თავდადებით იბრძვის ამ ორ ფრონტზე. მე თქვენ გითხრათ და ჯერ არასდროს ქცეულა განათლება განტევების ვაცად!

რა შეიძლება მოჰყვეს ამგვარ გადაწყვეტილებებს!? მოზარდის ფსიქოლოგია ისეთია, ათას რამეს უნდა ველოდეთ მისგან. არ არის გამორიცხული, ჩვენმა ბავშვებმა პავლიკ მოროზოვის „გმირობა" უკან მოიტოვონ. კაცმა რომ თქვას, რა დააკავებთ – ეროვნება და ტრადიცია არავითარ პასუხისმგებლობას არ აკისრებთ, მამების სახელები კარგა ხანია ამოღებულია „ხმარებიდან", დედებს თავად აგინებენ. მოდგებიან და ჩაუკაკლავენ პოლიციას, ბიძამ სად გადამალა ოქროულობა, დეიდას ვინ „აჩუქა" სრასახლი, ძმამ საიდან შეიძინა „ჯიპ-ჩეროკი" და წავიდაა. ეს მცირეწლოვანი არამზადა ორდენებით დაიმშვენებს მკერდს...

თანაც, როგორ გვემუქრებიან: ჩვენში ერთ მასწავლებელზე საშუალოდ 20 ბავშვი მოდის, თქვენთან კი – მხოლოდ 10, ეს მიუტევებელი ფუფუნებაა, კეთილი ინებეთ და შტატები შეამცირეთ, თორემ კრედიტს არ გამოგიყოფთო. სასწავლო დაწესებულება ფერმა არ არის, 5 მწველავი მოწველის ძროხებს ერთ საათში თუ ერთი ამ საქმეს 5 საათს მოანდომებს, ეს დიდ პრობლემებს არ ქმნის, მაგრამ სასწავლო დაწესებულებებში ყველაფერი საგანმანათლებლო პოლიტიკის საქმეა და ის ვერც დაფინანსების მოტივებს დაექვემდებარება და ვერც უცხოელის დიქტატს. დამლაგებლებისა და ყარაულების შტატები, იცოცხლეთ, მინიმუმამდე დაიყვანეთ, ზოგან ეს ფუნქციები დირექტორს შეავუთავსეთ, მაგრამ მაღალმთიან სოფლებში, სადაც სკოლის დახურვა სოფლის მოშლას ნიშნავს, ვერაფერს გახდით. ორ და სამ მოსწავლეზე კლასი რომ არ უნდა გაიხსნას, ეს განათლების ყველა მუშაკმა იცის, მაგრამ მათ ის საქვეყნო პრობლემაც კარგად იციან, რომელიც ჩვენში ყველა კაპიტალზე მეტად ფასობს. გადამთიელს კი ჩვენი სატკივარის გამო არც სცივა და არც სცხელა. მას ვერც სოფლის ბედზე დააფიქრებ და ვერც იმას მოსთხოვ, წარმოიდგინოს რა დღეში ჩავარდება კაცი, როცა მას იმ ნახევარ ლუკმასაც წაართმევ, რომლითაც სიცოცხლეს ინარჩუნებს. დიახ, ვერ მოსთხოვთ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ სანტიმენტალურმა მოტივმა ცოცხალ ადამიანთან ერთად ქვეყანაც შეიძლება შეიწიროს.

მაღალ ეშელონებში ხშირად გაიგონებთ, – მათ მითითებებს თუ გადავუხვევთ, კრედიტებს არ გამოგვიყოფენო. მე რომ ერთი კაცი ვარ, საკითხს ასე რომ დამიყენებს, იმისი არც ფული მინდა და არც მისი რეკლამების ფეიერვერკი, წყურვილის გრძნობას დაემორჩილეო, რომ მარიგებს და „ლაღიძის" პატრონს ქიმიით გაჯერებულ „კოკა-კოლას" მაძალებს. ეგრეთ წოდებულმა ახალმა ქართველებმა არ იციან: უწინ მას, ვინც ფულის პროცენტებში გასესხებით მდიდრდებოდა, მევახშეს ეძახდნენ და საზოგადოებაში საკმაოდ ცუდი იმიჯით სარგებლობდა. ჩვენ კი მასეთებს ძმობას ვეფიცებით და არ ვიცით როგორ ჩავეხუტოთ. თანაც, ყოველი თითის დაქნევისთანავე თავქუდმოგლეჯით გავრბივართ, რომ ყველა სურვილი ზღაპარივით ავუსრულოთ.

კუდის ამდენ ქიცინს არ ჯობდა ჩვენი საქმე გვეკეთებინა, ჩვენი მიწა მოგვეხნა და ჩვენი ნედლეული დაგვემუშავებინა?! ქართული წარმოების ლუდს რომ გვასმევს თოფაძე, ვითომ რით არის ბავარიულზე ნაკლები? რით ვერ მოიწევს სიმინდის მაღალ მოსავალს ჩვენი იმერელი, მეგრელი თუ გურული გლეხი, ვიზე ნაკლებ ღვინოს დააყენებს კახელი ან ქართლელი, ვინ აჯობებს დმანისელ მამედას კარტოფილის მოყვანაში? მაგრამ არ დაგვედგა სამველი, ვერც ერთი დარგი ვერ ავაწყვეთ და გვგონია, რომ განათლება არაფერ შუაშია. არ არის ასე; ბატონებო, გაუნათლებელი კაცი ვერც ერთ საქმეს ვერ გამართავს, თავს ვერაფერს ვერ მოაბამს.

ისე მეჩვენება, მართალი თქვა ერთმა დაკვირვებულმა კაცმა, – იმ კრედიტებზე გამოკიდებამ დაღუპა ეს ქვეყანაო. მე და განათლების მინისტრს ამ დარგში ბევრი არაფერი გვეკითხება და ვერაფერს შევცვლით, მაგრამ სწორედ ის კრედიტებია თურმე ეკონომიკასაც რომ ანგრევს და სახელსაც გვიტეხს. გაზეთებში ვკითხულობთ ხოლმე ადრინდელი გრანტების განკარგვის კურიოზულ მაგალითებს. საოცარი არ არის, ისეთი უაზრო კომპონენტის დაფინანსება, როგორიცაა (ტექსტი უცვლელად მომაქვს მსოფლიო ბანკის ოფიციალური დოკუმენტიდან): „მოსწ. სტუდენტთა ასპირანტთა, მეცნ. მუშაკთა და განათლების სისტემის სპეციალისტთა პროფესიული ორიენტაციის ცენტრი"? როგორც ამბობენ, ამ „ცენტრის" მიერ გაკეთებული საქმე ჯერ არავის უნახავს. თუმცა 200 ათას ლარამდე უკვე გადაუხდიათ. ან რა საქმე უნდა ეკეთებინათ? მასწავლებელს, სტუდენტს, მით უფრო, მეცნიერ მუშაკსა და განათლების სისტემის სპეციალისტს რა პროფესიული ორიენტაცია სჭირდება? ან რა სახით უნდა განხორციელებულიყო ის? იმავე დოკუმენტის მიხედვით ერთ-ერთ სარეფორმო პროგრამაზე იხარჯება 300 ათასი ლარი, ხოლო მის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე – 350 ათასი!!! კიდევ ერთი კურიოზი: უშუქობითა და უსახსრობით დაქცეულ ქვეყანაში, სადაც სასკოლო შენობები ლამის თავზე დაგვემხოს, მართვის სტრუქტურების კომპიუტერიზაციასა და ავტომატიზაციას ასეული ათასები ხმარდება. ეს დახმარება არ არის, ეს დაცინვაა. ვალებს ვიღებთ ფუფუნებისთვის და არ ვფიქრობთ ადამიანის სიცოცხლეზე. კარგად უთქვამს პოეტ როჟდესტვენსკის, – „ყველა პროგრესი რეაქციულია, თუკი ინგრევა ადამიანიო". დახეთ როგორი წინდახედულები ვართ: წელებზე ფეხს ვიდგამთ, რომ გრძელვადიანი კრედიტები გამოვაყოფინოთ, რათა ჩვენ არ მოგვიხდეს მისი გადახდა (რა ვუთხარი იმ მამას, შვილს რომ ვალებს დაუტოვებს).

ასე განკარგავდნენ განათლების ასაღორძინებლად განკუთვნილ მილიონებს „კეთილი მისიონერები" და ასე „დასაბუთებულად" ურიგებდნენ მას გამოგონილი კომპონენტის ავტორებს. გულსატკენია, რომ ამ ბინძურ მაქინაციებში რამდენიმე ნიჭიერი ხელმძღვანელი კადრიც აღმოჩნდა ჩათრეული, მაგრამ რას იზამ, თავის ნაბოძებ განძს აბატი ფარია თურმე თვითონ ანაწილებს და გრაფს არაფერს ეკითხება.

ასეთი გამოცდილებით „გამდიდრებული" ჩვენი მასწავლებლობა მომავალი კრედიტის ბედსაც ეჭვის თვალით რომ უყურებდეს, არ უნდა გაგვიკვირდეს. ან კიდევ, რა არის იმაში მიუღებელი, რომ თავისი საყვარელი დარგის აღორძინების საქმეს თვითონ უძღვებოდეს და არა ის, ვისაც არაც არაფერი გაეგება და არც გული შესტკივა მასზე. აქ პატარა პრაგმატული, ყოფითი მომენტიც არის გასათვალისწინებელი – ქვეყანას თუ რაიმე სახსარი გაუჩნდა იმისათვის, რომ მშიერ-მწყურვალი პედაგოგი დაასაქმოს, სხვას რატომ უნდა ეძებდეს? როგორც ჩანს, ჩამოსულთათვის უცხოა ამ ეთიკური ნორმების დაცვა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ისინი დაიხურავენ ქუდს და წავლენ, ჩვენ კი აქ ვრჩებით.

ამას წინათ საბერძნეთში, კუნძულ პატმოსზე მართლმადიდებლობის ევროპის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის დიდი ფორუმი ჩატარებულა, რომელსაც თურმე ამერიკანიზაციის მასირებული შემოტევის დამანგრეველი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით ჩაუვლია. ფორუმზე, რომელსაც კონფერენციასაც უწოდებენ, პრინციპულად აღუმაღლებიათ ხმა თანამედროვე გლობალიზაციის დამღუპველ პერსპექტივებზე. არაერთი მაგალითის მოხმობით უმხილებიათ ის მასონური ძალები, რომლებიც „საფუძველს ურყევენ ნაციონალურ რანგში აყვანილ რელიგიებს, მიზანმიმართულად ნერგავენ ძალადობას, პროსტიტუციის, ჰომოსექსუალიზმის კულტს, ნარკოტიკების საშუალებით სპობენ ახალგაზრდულ ძალებს. ასეთი „პოლიტიკის" გატარებისთვის ისინი ძალზე მოხერხებულად იყენებენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, „დემოკრატიისა" და „თავისუფლების" სახელით შექმნილ დალესის დოქტრინის გამტარებელ ინსტიტუტებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან ყოველგვარი გადასახადებისაგან და ფინანსდებიან დაუბრკოლებლად. ამ პროცესების დამღუპველი და შეუქცევადი ხასიათი განსაკუთრებით გამოკვეთილია ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში და თუ ევროპის დიდი სახელმწიფოები უკვე ხმას იმაღლებენ და მყარ პოზიციას იჭერენ ასეთი ფართო ექსპანსიის მიმართ, პატარა ღარიბ სახელმწიფოებში მისი მასშტაბები არნახულად ფართოა". ახლა, დღესავით ნათელი ხდება ჩვენში აღმოცენებული ე. წ. „თავისუფალი ინსტიტუტების" დანიშნულება, ასე ხელაღებით რომ შეურაცხყოფენ ჩვენს სულიერ მამებს, ასე თავგამოდებით რომ ქომაგობენ უკანა კარიდან შემოპარულ სექტებს და ეს ხდება დღისით, მზისით, ყველას დასანახად, ყველას გასაგონად...

ყველას, ვისაც წაკითხული აქვს ზემოაღნიშნული ფორუმის ანგარიში, დარწმუნებული ვარ, საგონებელს მიეცემოდა. რამდენი რამ მიგვანიშნებს ჩვენს ქვეყანაში მოახლოებულ საფრთხეზე, არა?! კუნძულ პატმოსზე ატეხილი განგაში ამ წერილში იმიტომ მოვიტანე, რომ ის მთლიანად ეხმიანება ჩემს მიერ ზემოთ დასმულ საკითხებს და არ შეიძლება განათლების მინისტრმა მას ყურადღება არ მიაქციოს. ხედავთ, როგორ ახასიათებენ ამ მოვლენას: „ამერიკანიზაცია ესაა ტროას ცხენი, რომელშიც ჩამალული სატევარმომარჯვებული მოძალადეები ჯიქურ მოიწევენ ნაციონალური კულტურების თავის მოსაკვეთად".

მე და საქართველოს განათლების მინისტრი ალეკო კარტოზია ოპტიმისტები ვართ და შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს ყველაფერი მეტად მუქ ფერებშია გადმოცემული. მე იმასაც არ გამოვერიცხავ, რომ ჩემს მსჯელობაშიც იყოს გაზვიადებული ზოგი რამ, მაგრამ... ასე რომ არ იყოს? ყველაფერი რეალურად რომ იყოს დანახული?

ბატონო ალეკო, თქვენ იმ დარგს უდგეხართ სათავეში, რომელიც აქედანვე განსაზღვრავს ქვეყნის მომავლის ბედს, ის კაცი ხართ, რომელსაც სხვისგან არ ესწავლება მამულიშვილური ვალის ფასი, თქვენ არა ხართ ჩემთვის უცხო პიროვნება და ამიტომ გაგიმეტეთ ასე მძიმე საუბრისთვის!..

ლევან ჩიქვანაია.

წარდგინება

„ვისაც რომ ქვეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია..."

(პირველი გვერდიდან)

– ტუშური და მე ერთად ვმუშაობდით გურჯაანის რაიონში. მე გამგებელი გახლდით, ის კი პროკურორი. ყოველთვის მიკვირდა და მეამაყებოდა მისი სამართლიანობა. ამიტომაც ვთხოვე, ახლაც გვერდში ამომდგომოდა. პირველად თავი შეიკავა, შემდეგ დამთანხმდა. ჯერ სამხარეო ადმინისტრაციის მართლწესრიგის, თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი იყო. მისი თაოსნობით ბევრი რამ გაკეთდა, თავისებურად გულიანად მოეკიდა საქმეს, ამან კი ბევრი რამ შემიმსუბუქა. ისე საინტერესოდ, შინაარსიანად აანალიზებდა რეგიონში მიმდინარე პროცესებს, ისე ასაბუთებდა ავსა და კარგს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ასეთი სრულყოფილი და საქმიანი ანალიზით ბევრი ვერ დაიკვეხნიდა.

მოგეხსენებათ კახეთის სამხარეო პოლიციას კარგი ვაჟკაცი და პროფესიონალი თამაზ თამაზაშვილი ედგა სათავეში. იმ ავბედით დროს ბატონმა თამაზმა არა ერთი და ორი სასიკეთო საქმე გააკეთა ქვეყნისათვის, როცა მისი აქედან წასვლის საკითხი დადგა, ბევრი კანდიდატურა განვიხილეთ, ზურაბს ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. თქვენ წარმოგიდგენიათ, როდესაც ეს ამბავი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ყველა გულწრფელად გვიხდიდა მადლობას ამ გადაწყვეტილებისთვის.

თუმცა დიდი დრო არ გასულა, მაგრამ სასიკეთო ძვრები უკვე შეიმჩნევა. ნარკოტიკების მოხმარება-რეალიზაციამაც იკლო, ხეტყის გატანა თითქმის 90 პროცენტამდე შემცირდა. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ფერადი ლითონების დატაცებასთან ბრძოლაში. საქონლის ქურდობაც ნაკლებად ხდება. მოსახლეობას უკვე რწმენა აქვს, რომ საძოვარზე გაშვებული ძროხა შინ მშვიდობით დაბრუნდება. ძალიან ბევრია გასაკეთებელი პანკისში.

– მე უკეთესობის იმედი მაქვს, – ბრძანა დასასრულს ბატონმა ბიძინამ.

აგაშენოთ ღმერთმა, ჩვენც ეს გვინდა, – გავიფიქრე გულში, დავემშვიდობე და ზურაბ ტუშურთან შესახვედრად გავეშურე. მეამაყებოდა, გუბერნატორი ასე რომ საუბრობდა იმ ადამიანზე, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ და რომელიც ყვარლელების სანიმუშო სიძეა.

თიანეთის სოფელ ტუშურებში გაიზარდა ზურაბ ტუშური, – ჩემს გვარს XVI საუკუნემდე ჩავყევიო, – აკი ამაყობს კიდეც. ივრის ხეობის ფშაველები ვართ ტუშურები, ფიზიკურად და სულიერადაც ლამაზი გვარიაო.

მეგონა, მასზე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ სასიამოვნოდ გავოცდი, როდესაც მითხრა დედაჩემი მეგრელიაო. მამამისი ალექსანდრე ომის დროს ჰოსპიტალში მოხვედრილა. ნორას იქ ფერშლად უმუშავია. შეჰყვარებია მეგრელი ასული ალექსანდრეს, ჭრილობა მოშუშებულს ფანჯრიდან გადმოუყვანია ფარცვანიების ქალი და სულ ციმციმ ამოუყვანია ტუშურებში.

ისე შეთვისებია იქაურობას, დედულეთში წასვლაც უჭირდა ხოლმეო. ისეთ ხინკალს აკეთებს, ბევრ ფშაველს შეშურდება. ახლა თითქმის ყველა წამოვიდით სოფლიდან, მაგრამ ჩემი საყვარელი დედიკო არ ტოვებს იქაურობას, – ქმრისა და შვილის საფლავი აქა მაქვს და მანამ თვალში შუქი მიდგას, კერაზე ცეცხლი არ უნდა ჩავაქროო. სამი ძმანი ვიყავით და ერთი დაგვეღუპა – ხმაში სევდა შეეპარა ზურაბს.

ბალღობაში ხიდების მშენებლობაზე ოცნებობდა, მაგრამ თოფ-იარაღის სიყვარულმა მაინც სძლია, ბოლოს იურისტობა არჩია. პირველი კლასიდან მოყოლებული ოთოხიანი არ მიუღია. ცოლიც ასეთი შეხედა, ბალღებიც ამ ტრადიციას აგრძელებენო.

ტყე-ღრე და ნადირობა ბალღობიდან უყვარდა, დღემდე სათუთად ინახავს მამის ნაჩუქარ თოფს, ჯერ კიდევ 7 წლისას რომ აჩუქა.

ვაჟა-ფშაველაზე შეყვარებულმა ერთი საიდუმლო გამიმხილა – „პახმელიაზე" გამოსვლა ლექსებით მიყვარს, ამაში კი ჩემი ქალიშვილი რუსუდანი მეხმარებაო, ერთმანეთს რომ გავეჯიბრებით, მერე უკვე ახალი ძალით ვივსები და ასე დღეც კარგად იწყებაო.

სიყვარულით საუბრობს ოჯახზე.

– ჩემს შვილებს რაც კი კარგი აქვთ, ყველაფერი ჩემი მეუღლის დამსახურებაა, – მეუბნება ზურაბი. ნუნუმ ბევრი რამ გააკეთა ბავშვები რომ კარგები აღზრდილიყვნენ. ალეკომ შვიდი სკოლა გამოიცვალა, მაგრამ დღეს სასახელო ბიჭია. აი, ეს „მობილურიც" მან მაჩუქა და სიამაყით გადმომხედა. მაგას რომ ხელფასი აქვს, მე ოცნებაც კი არ შემეძლო იმდენზე. ალეკო ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხები ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის დირექტორის მოადგილეა. პარალელურად ასპირანტურა დაამთავრა – საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია. რუსუდანიც მის კვალს გაჰყვა – იოანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სპეციალობის მე-5 კურსის წარჩინებული სტუდენტია, – ჩვენ ორივეს გვჯობნის – ეღიმება ზურაბს; და-ძმა წიგნს ამზადებს გამოსაცემად. ექიმიც გამოგვერია ოჯახში, მარიამი ოკულისტია. მთელ ზაფხულს ფეხი არ ჩაუხრიათ, დედას გვერდში ედგნენ და ზამთრისთვის სარჩო-საბადებელს ამზადებდნენ. მართლაც გამორჩეული ადგილი უჭირავს მის ცხოვრებაში შრომას. ასე გაზარდეს შვილებიც, მისი სათაყვანებელი მეუღლეც ასე ფიქრობს, ნუნუ ხომ საუკეთესო დედა და საუკეთესო მასწავლებელია. სკოლიდან მოსულს მუხლჩაზრილს ვერასდროს ნახავთ.

ამ უზარმაზარ მეურნეობას გაძღოლა ხომ უნდა, მათი შემხედვარე ხშირად მიფიქრია: ეტყობა შრომა ამკვიდრებს ადამიანის სულში ჰარმონიას, სიმშვიდეს, იმედს.

ისეთი მშვიდები, გაწონასწორებულები არიან ტუშურების ოჯახის წევრები, ნუნუ კი ისეთი მშვიდია, ისეთი სათნო ღიმება იცის, აუცილებლად გაიფიქრებ, ეს ხალხი მართლაც სიყვარულში ცხოვრობს და დღენიადაგ სიყვარულზე ლაპარაკობენო, რადგან სიყვარული ახდენს სასწაულებს, სწორედ ამ გრძნობამ გადაარჩინა მათი ოჯახი. როგორც ყველას, მათაც ხომ ჰქონდათ დიდი გაჭირვება. ხუმრობა საქმე იყო, 30 წლის სტაჟის მქონე პოლკოვნიკი სამსახურიდან გადადგა, თავი დაანება გურჯაანის რაიონის პროკურორობას. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო საქართველოს უახლოეს ისტორიაში.

მახსოვს, მაშინ რას არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერავის ვერ ახსნა ზურას საქციელი, ასეთი პროფესიონალი, უმწიკვლო, უპატიოსნესი პიროვნება, დიდსა და პატარას თვალში რომ ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა, სადაც კი უმუშავია, ყველა მის გზას მისტიროდა. თანამდებობა კი იცოცხლე, არც რაიკომის პირველი მდივნობა, ალმასკომის თავმჯდომარეობა და არც პროკურორობა არ დაკლებია, მაშ რა მოხდა, რამდენი კითხვა და საფიქრებელი დატოვა ადამიანებს თავისი ნებით სამსახურიდან წასულმა ზურაბ ტუშურმა.

ჯერაც „ბალღი" ვიყავი, საპატიო ნიშნის ორდენი რომ მომცეს. წასვლის წინ კი ბრძანებით მადლობა გამომიცხადეს, ორი თვის ხელფასით დამაჯილდოვეს. მაგრამ არავის უკითხავს, რატომ მივდიოდი.

რატომ?

იმიტომ, რომ არსებულ სისტემას გამოუცხადა პროტესტი.

– ყველა კაცი გამარჯვებულია, ვისაც სკამიდან ადგომის არ ეშინია.

დღესაც რომ მსგავი გადაწყვეტილება მივიღო, მიზეზი ისევ ის იქნება – შეუთავსებლობა, მე ჩემს პრინციპს ვერ ვუღალატებ.

ხელფასი მაშინ 25 ლარი მქონდა. ხშირად საქმის გამოძიებისთვის გაცილებით მეტი დამიხარჯავს, დღესაც ვეკითხები ჩემს თავს, როგორ ვახერხებდი იმ პირობებში მუშაობას.

ამ სამ წელიწადს შრომამ გამაძლებინა, ბაღნარად ვაქციე ჩემი ეზო-გარემო. ახლა ცხვრისა და ძროხის ფარები მყავს, თევზის ტბორები მაქვს, ხორბალი და სიმინდი მომყავს, ვაზს ვუვლი, სხვადასხვა ჯიშის ფრინველიც არ გვაკლია. თუ ასე გავაგრძელებთ, უკვე აღარ უნდა გაუჭირდეთ ჩემს შვილებს.

მობილურის ზარმა საუბარი შეგვაწყვეტინა.

– მწყემსი მირეკავს – ფული აღარა მაქვსო, – გაეღიმა ზურაბს.

– მობილურით? – გავიკვირვე. თითქოს მობილურით მარტო რუსთაველზე შეიძლება „იმარიაჟონ" ახალგაზრდებმა.

– აბა, რა ვქნა, დაილოცა მაგის მომგონი, ამხელა მეურნეობას სხვაგვარად ვერ გავუძღვები, ჩემს ყველა მწყემსთან მაქვს კავშირი. აბა, ჩემს ნაჯაფარს ქარს ხომ არ გავატან?

ყველგან, სადაც კი ზურაბ ტუშურს უმუშავია, ყველა უზომო მოკრძალებითა და პატივისცემით იყო მისდამი განმსჭვალული, ასეა თელავშიც.

– რა დაძაბულ დროს მოგიწია აქ მუშაობა-მეთქი, რომ ვუთხარი, ვაჟა გამახსენა: „ვისაც რომ ქვეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია".

– პოლიციაში არასოდეს მიმუშავია, – მეუბნება ზურაბი. ახლა სასიამოვნოდ გაოცებული ვარ შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონ კახა თარგამაძის საქციელით. განსაკუთრებით კადრების შერჩევის მისეული პრინციპი მომწონს ძალიან. გვითხრა გახსენით პოლიციის კარები, ნუ ხართ ჩაკეტილები, გააგებინეთ საზოგადოებას, რომ საქმიან ადამიანებს ეძებთ, ნუ შეიზღუდებით, ახალი ხალხი თამამად მიიღეთ პოლიციაში. თვითონ შეარჩიეთ ის ადამიანები, ვინც ჩვენი სამსახურის იმიჯის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ამისათვის ყველანაირ დახმარებას გპირდება, შტატების დამატებასაც კი. მეტი რა გვინდა, ისეთმა ახალგაზრდებმა ითხოვეს ჩვენთან სამსახური, რომ შეხედოთ, გაგიხარდებათ. იმ დღეს პოლიციის უფროსის მისაღებში მეც ვნახე შეკრებილი დარჩეული ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან ქვეყნის სამსახურად.

იმედია პანკისშიც დამყარდება ნანატრი სიმშვიდე. ისევ ისე იცხოვრებენ ერთმანეთის გვერდით ქისტები, ოსები, ფშაველები.

ჯერჯერობით კი კახეთის სამართალდამცავ ორგანოებში პირველი საკადრო ცვლილებები განხორციელდა. შეიცვალა პოლიციის რეგიონული სამმართველოს და ყველა რაიონის პოლიციის უფროსი, თავიანთი მოადგილეებითა და სამძებრო ქვეგანყოფილებების უფროსებითურთ.

კადრების გადანაწილების ეფექტიანობაზე, ცხადია, ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, თუმცა პანკისის ხეობის ახლომახლო მდებარე სოფლების მოსახლეობას თუ დავუჯერებთ, სიტუაცია აშკარად სტაბილურობის სასარგებლოდ იცვლება. ყოველ შემთხვევაში, საგრძნობლად იკლო საქონლის ქურდობისა და ყაჩაღობის შემთხვევებმა, ჯერჯერობით ადამიანთა გამტაცებლებიც „ისვენებენ". შესამჩნევია პოლიციის აქტიურობაც ნარკობიზნესით გატაცებულთა მიმართ, დააკავეს ნარკოტიკებით მოვაჭრე რამდენიმე ადამიანი.

– მე ისე საქმეს ხელს არ მოვკიდებ, თუ წარმატების იმედი არა მაქვს. იმედს კი ისიც მისახავს, რომ ისეთი ადამიანები დამიდგნენ გვერდში, როგორებიც ბრძანდებიან: გურამ ჯანიაშვილი, მენზერ ბერუკაშვილი, თეიმურაზ ანჯაფარიძე, იოსებ ბერიკაშვილი, გოჩა ნაზღაიძე, ნუკრი ალავიძე. ეს ის ადამიანები არიან, ვისაც პატიოსანი შრომა და ქვეყნის ერთგულება გამოარჩევს, – ამბობს პოლიციის უფროსი.

არავის ეგონოს, თითქოს ვფიქრობდეთ, რომ ზურაბ ტუშურის მოსვლით კახეთში ერთბაშად ყველაფერი გამოსწორდება და საათივით აეწყობა. არა, მაგრამ ერთში ნამდვილად დარწმუნებული ვართ. მისი გზა სიმართლის გზა იყო ყოველთვის, მისი საქმე – „დაბეჩავებული სიმართლის" პატრონობა. გვჯერა, ახლაც ასე იქნება.

მარადი ანასაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 222. შაბათი, 8 სექტემბერი, 2001 წელი.
ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვისი თვალით

ნიკოლოზ რუბინი

ვინ იყო ლავრენტი ბერია?

მითი და სინამდვილე

ბოლოს სცენაზე გამოჩნდნენ პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები. ისინი პრეზიდიუმის მაგიდას მიუსხდნენ. დარბაზში შეკრებილნი გააოცა იმ გარემოებამ, რომ ისინი იყვნენ არა ოცდახუთნი (სწორედ ამდენი კაცი იყო არჩეული ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში XIX ყრილობაზე), არამედ, მხოლოდ ათნი, თანაც, მათ შორის უეცრად აღმოჩნდნენ მოლოტოვი და მიქოიანი, რომლებიც სტალინმა იქამდე გაყარა პრეზიდიუმიდან. სიმონოვი შენიშნავს, რომ იმ დროს განსჯის თავი არ ჰქონდა, და ყველა ეს უცნაურობა გაიცნობიერა გაცილებით უფრო გვიან, ძველი რიცხვით, რადგან ამით საქმის არსი არ იცვლება: სტალინური გადაწყვეტილების, სტალინის ნების რევიზია დაიწყო ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის უკანასკნელ საათებში.

პირველი გამოვიდა მალენკოვი და ამან ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, მისი, როგორც სტალინის **მთავარი** მემკვიდრის როლს. მან განაცხადა (სიმონოვის ნაამბობით), „რომ ამხანაგი სტალინი კვლავ ებრძვის სიკვდილს, მაგრამ მისი მდგომარეობა იმდენად მძიმეა, მაშინაც კი, თუ სიკვდილს დაამარცხებს, იგი ძალიან დიდხანს ვერ შეძლებს მუშაობას. ამდენი ხნით კი არ შეიძლება, დატოვო ქვეყანა სრულუფლებიანი ხელმძღვანელობის გარეშე, არ შეიძლება, იყო გაურკვეველ მდგომარეობაში, ამის ნებას არ გვაძლევს საერთაშორისო ვითარება, ამიტომ საჭიროა ახლავე, დაუყოვნებლივ ჩამოვაყალიბოთ მთავრობა და განვახორციელოთ ამასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დანიშვნა".

მალენკოვის შემდეგ თავისი სკამიდან ადგა ბერია: მაშასადამე, იგი ხდებოდა მეორე პირი სახელმწიფოში (ან ერთ-ერთი **ორ მთავართაგან**). მაგრამ იგი ტრიბუნასთან მივიდა მხოლოდ იმისათვის, რომ წამოეყენებინა წინადადება, დანიშნონ მალენკოვი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, და მაშინვე გაეშურა უკან თავისი ადგილისაკენ. სიმონოვი იხსენებს თავშესაქცევ და ამასთანავე, სიმბოლურ სცენას: ბერია „პრეზიდიუმის მაგიდისაკენ ადიოდა, ხოლო მალენკოვი კათედრისაკენ ჩადიოდა. როდესაც ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, გაჭირვებით გაეტიენ ვიწრო სივრცეში მუცლებით", მაგრამ გავა სამ თვეზე ცოტა მეტი და გატევას ველარ შეძლებენ: ერთი მეორეს გადააგდებს გზიდან.

მალენკოვმა წინადადება წამოაყენა, დაენიშნათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (ანუ თავისი) ოთხი პირველი მოადგილე: ბერია, მოლოტოვი, ბულგანინი და კაგანოვიჩი. ასეთი არაანბანური თანამიმდევრობა ნიშნავდა, რომ ბერია იქნება, ასე ვთქვათ, პირველი პირველთა შორის. მართალია, მხოლოდ პირველ მოადგილეებს შორის... თუ ასეთი როლი ხელს აძლევდა ბერიას ახალ სიტუაციაში, ალბათ, მხოლოდ ცოტა ხნით. თუმცა ერთი საფეხურით ზევით მაინც აიწია: ახლა მათ ზემოთ აღარ იყო სტალინი. ფიზიკურად, მართალია, კიდევ იყო... მაგრამ სრულიად ცხადია, რომ ასეთი სხდომა საერთოდ ვერ გაიმართებოდა, ექიმებს რომ არ ეთქვათ ბერიასა და სხვა ხელმძღვანელებისათვის, ბელადის მდგომარეობა უიმედოაო.

მაშინ, ამ რეორგანიზაციების ყველა მონაწილეს სტალინის გამოჯანმრთელების შემთხვევაში შავი დღე დაადგებოდა.

ამავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, შეემცირებინათ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა და წევრობის კანდიდატთა შემადგენლობა ორნახევარჯერ (ანუ ზუსტად იმის შესაბამისად, როგორც გამოცხადდნენ ისინი სხდომაზე: 10-ნი 25-ის ნაცვლად). ყოველივე ამის მიღმა აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია — გადაეტანათ ძალაუფლების ძირითადი სიმძიმე ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმიდან მინისტრთა საბჭოზე. რა თქმა უნდა, მეტნაკლებად ახალგაზრდა მკითხველებისათვის მთელი ეს ტექნიკური დეტალები ნაკლებად საინტერესოა და შეიძლება მეორეხარისხოვან წვრილმანადაც კი მოეჩვენოთ. მაგრამ უფროსი თაობის ხალხს უდავოდ ახსომება, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამგვარ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზიზილ-პიპილოებს: გვარების თანამიმდევრობა, ნეკროლოგების ქვეშ ხელმოწერათა შემადგენლობა, ამა თუ იმ პრეზიდიუმში დასაჯდომი ადგილების განლაგება და გაზეთში გამოსაქვეყნებელი ფოტოსურათების ზომებიც კი. და ამ წვრილმანებთან შედარებით, ის, რომ ძალაუფლება პარტიული ორგანოებიდან სახელმწიფო ორგანოების ხელში გადადიოდა, თავისებურ რევოლუციად გამოიყურებოდა. ვინმეს რომ მოენდომებინა, სავსებით შეეძლო, ეს „პარტიის ხელმძღვანელი როლის ძირგამოთხრად" გაესაღებინა!

სიმონოვი ამასთან დაკავშირებით წერს: „შესაძლოა, ეს ინიციატივა მომდინარეობდა ბერიასაგან, ყოველ შემთხვევაში იგი შემდეგაც აქტიურად მოქმედებდა სწორედ ამ მიმართულებით, ცდილობდა, რესპუბლიკებშიც მთავარი, პირველი პირები დაეყენებინა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ხოლო ცენტრალური კომიტეტის მდივნებად გაეყვანა მეორეხარისხოვანი პირები". კი მაგრამ, რა განსხვავებაა? — კვლავ გაიკვირვებს საქმეში ჩაუხედავი მკითხველი. ამასთან დაკავშირებით განვმარტავ: ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ იმის მომასწავებელი, რომ ბერიას უფრო საიმედო დასაყრდენს შეადგენდნენ სწორედ სახელმწიფო, და არა პარტიული წრეები. მაგრამ საეჭვოა, იმ დროს, სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ საათებში, ბერიას მარტოს შესძლებოდა ამგვარი რეორგანიზაციის განხორციელება: ამისათვის საჭირო იყო თუ არა უმრავლესობის, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე გავლენიანი ფიგურის თანხმობა.

არ არის ძნელი, გამოითვალო, რომ ასეთი ფიგურები იყვნენ მალენკოვი და ხრუშჩოვი (როგორც მინიმუმი). რით შეეძლო ბერიას, მიემხრო ისინი? მოდით, თავი ვანებოთ ჰიპოთეზურ მსჯელობას და ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ფაქტებით. მალენკოვს შესთავაზეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, რომელიც მან მიიღო. რაც შეეხება ხრუშჩოვს, ეტყობა, მას აღუთქვეს წამყვანი მდგომარეობა პარტიულ სტრუქტურებში (რაც ასევე შესრულდა), მართალია, უკანასკნელი ცვლილებების შუქზე ეს მდგომარეობა ისევე, როგორც მთელი პარტიული პირამიდა, წონას ჰკარგავდა.

ჩავიხედოთ კიდევ ერთხელ სიმონოვის მოგონებებში. შეიძლება, ჩვენ მეტისმეტად ხშირად მივმართავთ მას. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სიმონოვი როგორც ფრიად გამჭრიახი მწერალი, იყო უაღრესად დაკვირვებული კაცი და ხშირად ხედავდა დეტალებს, რომლებიც უმრავლესობის თვალისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა. სწორედ ამიტომ, არ არის მეორეხარისხოვანი გრძნობა, რომელიც მას დაეუფლა ამ სხდომის დროს და რომელმაც შეძრა: „მინდოდა დამეძლია, მაგრამ ვერ ვძლევდი შეგრძნებას, რომელიც ამეკვიატა: იქიდან, უკანა ოთახიდან პრეზიდიუმში ძველი პოლიტბიუროს წევრები გამოვიდნენ რაღაც იდუმალი, გარეგნულად გაუმჟღავნებელი, მაგრამ მაინც დაუფარავი შვების გრძნობით. ეს ყველას ეტყობოდა. სახეზე — ალბათ, მხოლოდ მოლოტოვის გარდა, რომელიც გაქვავებული იჯდა. რაც შეეხებათ მალენკოვსა და ბერიას, რომლებიც ტრიბუნიდან გამოდიოდნენ, ორივენი ლაპარაკობდნენ ცოცხლად, ენერგიულად, საქმიანად. მათს ხმაში, მათს ქცევაში იყო რაღაც ისეთი, რაც არ შეეფერებოდა პრეამბულებს, წინ რომ უძღოდა მათი გამოსვლების ტექსტს სტალინის ავადმყოფობასთან დაკავშირებით, იყო ისეთი შეგრძნება, რომ იქ, პრეზიდიუმში, ადამიანებმა მოიცილეს რაღაც ისეთი, რაც მათ ლოდად აწვა და ხელფეხს უბორკავდა. გეგონებოდა, კანი გამოიცვალეს, ძველი პერანგიდან ამოძვრნენო.

შესანიშნავი ნათქვამია! სწორედ ეს „კანი გამოიცვალეს" ყველაზე უკეთ გამოხატავს არა მარტო სტალინის „თანამოსაგრეების", არამედ მეტი წილი საბჭოთა ადამიანების იმდროინდელ მდგომარეობას, განიცდიდნენ ეს ადამიანები სტალინის სიკვდილს თუ გულში უხაროდათ (ეს უკანასკნელნი, რასაკვირველია, აბსოლუტურ უმცირესობას შეადგენდნენ), მაგრამ ისინი ყველანი — თუნდაც ქვეცნობიერად — მაინც გრძნობდნენ, როგორ მოსცილდათ გულიდან და ცნობიერებიდან უხილავი ბორკილები, უჩინარი შიშის და გაუბედაობის საბურველი. სხვათა შორის, ამით შეიძლება აიხსნას ბერიას თავშეუკავებელი რეაქციაც სტალინის ინსულტზე, რომელმაც ასე აღაშფოთა ს. ალილუევა. დიქტატორის გულისწყრომის წინაშე კრემლის მოხელენიც კი ისევე უმწეონი იყვნენ, როგორც უბრალო მოკვდავნი, და, რაღა თქმა უნდა, მისი გარდაცვალება აძლევდა საშუალებას „ამომძვრალიყვნენ ძველი პერანგიდან", მოეცილებინათ მუდმივი, აუტანელი ტვირთი. სხდომა მაშინ დამთავრდა, როდესაც სტალინს აგონია დაეწყო. აქ უკვე მთელი „ნადები" გაექანა კუნცევოში (სადაც ბულგანინი ჰყავდათ სამორიგეოდ დატოვებული), და იქ მივიდნენ — არ ვიცი — ბელადის სიკვდილის წინ, არ ვიცი — გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ. შვებისა და შინაგანი განთავისუფლების გრძნობა აერთიანებდა ყველას, მაგრამ ადამიანები ამას ჯერ კიდევ ვერ იცნობიერებდნენ. სვეტლანა ალილუევა წერს: „ისინი ყველანი (მე არ ვლაპარაკობ ბერიაზე, რომელიც ერთადერთი იშვიათი ნაძირალა იყო) ფაცაფუცობდნენ აქ ამ დღეებში, ცდილობდნენ, დაგვხმარებოდნენ, და ამასთანავე ვერ მალავდნენ შიშს — რით დამთავრდება ყველაფერი? მაგრამ გულწრფელი ცრემლი მაშინ ბევრს მოერია — მე დავუნახე ცრემლები კ. ე. ვოროშილოვს, ლ.მ. კაგანოვიჩს, გ.მ. მალენკოვს, ნ.ა. ბულგანინს, ნ.ს. ხრუშჩოვს..."

თუმცა, აქვე ვაწყდებით ალილუევას რეპლიკასაც, რომელიც კონსტანტინე სიმონოვის გაკვირვებას ეხმიანება: სტალინის სიკვდილიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, რომლებმაც სამგლოვიარო დუმილით ჩაიარა, „მთავრობის წევრებმა გასასვლელს მიაშურეს, — ყველას მიეჩქარებოდა მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტში, სადაც დანარჩენები ისხდნენ და ამბავს ელოდნენ. ისინი წავიდნენ იმ ამბის წასაღებად, რომელსაც ფარულად ყველას მოელოდა. ნუ დავაბრალებთ ერთმანეთს ათას ცოდვას — მათ გულს ეღრღნიდა ისეთივე წინააღმდეგობრივი გრძნობები, რაც მე, — წუხილი და შვება..."

თარგმნა **არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №135-152, 198-199, 201-207, 209-214, 216, 219, 221.

არაბულმა ქვეყნებმა კომპრომისული დეკლარაციის წინააღმდეგ გაილაშქრეს

რასიზმის წინააღმდეგ მსოფლიო კონფერენციის დელეგატებმა — არაბული ქვეყნების წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ახლო აღმოსავლეთის თაობაზე მიღებულ კომპრომისული დეკლარაციის ტექსტის წინააღმდეგ, რომელიც იმ მიზნით შეადგინეს, რომ კონფერენცია არ დაეტოვებინათ ეროკავშირის წევრებს.

შეთანხმება ითვალისწინებდა მოწოდებას, ეღიარებინათ პალესტინელი ხალხის [illegible] უფლება, მაგრამ ტექსტი არ შეიცავდა დებულებას, რომლის შესაბამისად ისრაელი რასისტულ სახელმწიფოდ იქნებოდა აღიარებული. გარდა ამისა, დოკუმენტის ავტორები შეეცადნენ მხედველობაში მიეღოთ ევროპის დელეგატთა განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი უფლებას არ მისცემენ ფორუმს, მიემხროს კონფლიქტის ამა თუ იმ მონაწილეს.

დურბანის კონფერენციის დროს ეს უკვე მეორე წინადადებაა, რომელიც უარყვეს არაბულმა სახელმწიფოებმა.

„ეს ტექსტი სრულიად მიუღებელია", — განაცხადა პალესტინის ავტონომიის წარგზავნილმა სალმან ელ-ჰერფიმ.

ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კი ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ გადასინჯული ვარიანტი მნიშ[illegible]ლი ნაბიჯია, თუმცა ევროპის დელეგატები მან სრულიად ვერ დააკმაყოფილა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შემოთავაზებული დოკუმენტი არ ითვალისწინებს შემდგომ განხილვას. და ეს მათი საბოლოო სიტყვაა.

დურბანიდან მიღებული ცნობებით, გადასინჯული ტექსტი, კერძოდ, გვაუწყებს: „ჩვენ გვაშფოთებს პალესტინელი ხალხის ბედი და მოვითხოვთ სამართლიან და ყოვლისმომცველ ხანგრძლივ მშვიდობას რეგიონში, რომელშიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა ხალხის თანაარსებობა თანასწორობის, სამართლიანობისა და ადამიანის უფლებებისა და უშიშროების პირობებში.

დოკუმენტი ცნობს პალესტინელთა უფლებას, შექმნას დამოუკიდებელი სა[illegible] უსვამს, რომ ნაცისტური ჰოლოკოსტი არასდროს არ უნდა მიეცეს დავიწყებას.

ორშაბათს კონფერენცია დატოვეს შეერთებული შტატებისა და ისრაელის დელეგაციებმა, რომლებმაც ამგვარად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება დეკლარაციის პირვანდელი ტექსტისადმი, რომელშიც დაგმობილი იყო სიონიზმი. ამის შედეგად ფორუმზე დარჩნენ მხოლოდ არაბეთის, აფრიკისა და ევროპის ქვეყნები.

თუმცა, ეს უკანასკნელნი დაიმუქრნენ, რომ დატოვებდნენ კონფერენციას, თუ ტექსტიდან არ ამოიღებდნენ ისრაელის დამადანაშაულებელ გამონათქვამებს. ევროკავშირის წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია ტრანსატლანტიკური მონათვაჭრობისათვის რეპარაციის მოთხოვნამაც.

სეული მზად არის მოლაპარაკებისათვის

სამხრეთ კორეამ მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოულოდნელი წინადადება, განაახლონ მოლაპარაკება და თავის მხრივ შესთავაზა, მინისტრთა დონის შეხვედრა 15-18 სექტემბრისათვის დანიშნონ.

ფხენიანმა კონტაქტების განახლების წინადადება წამოაყენა გასულ კვირას, მათი შეწყვეტიდან ნახევარი წლის შემდეგ. ხუთშაბათს სამხრეთ კორეის გაერთიანების საქმეთა სამინისტრო ტელეფონით დაუკავშირდა ფხენიანს და თანხმობა მისცა.

მაგრამ სამხრეთ კორეის პრეზიდენტს კიმ ტე ჯუნს გაუჭირდება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაახლოების პოლიტიკის განხორციელება მას შემდეგ, რაც გაერთიანების საქმეთა მინისტრს ლიმ დონ ვონს გასულ ორშაბათს უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადეს პარლამენტში. ამის შედეგად გადადგა არა მარტო თავად მინისტრი, არამედ მთელი კაბინეტი.

ლიმ დონ ვონი ძირითადი ფიგურაა „მზის სხივის პოლიტიკაში", რომლის განხორციელებასაც აპირებდა სეულის ახლანდელი ხელისუფლება ჩრდილოეთის მიმართ. მაგრამ იგი მკაცრად გააკრიტიკეს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამხრეთ კორეის სამასი მოქალაქის აგვისტოს ვიზიტის შემდეგ, რომელიც ბევრმა ფხენიანის პროპაგანდისტულ წარმატებად მიიჩნია.

ამჟამად კიმ ტე ჯუნის პარტია, რომელსაც არ ჰყავს უმრავლესობა პარლამენტში, ცდილობს მართოს ქვეყანა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ განაგრძობს დიალოგს ჩრდილოეთთან, რადგან ოპოზიციას არავითარი ალტერნატივა არ წამოუყენებია.

ორი კორეის მოლაპარაკება, რომელიც ცხრა თვეს გრძელდებოდა, ფხენიანმა შეწყვიტა მარტში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ შეერთებული შტატების პოზიციის გამკაცრების ფონზე.

2000 წლის ივნისში პრეზიდენტებმა კიმ ტე ჯუნმა და კიმ ჩენ ირმა მოაწყვეს ისტორიული სამიტი, რომლის დროსაც მოილაპარაკეს, ერთობლივი ძალებით გამოენახათ მშვიდობის დამყარების გზები კორეის ნახევარკუნძულზე.

ამის შემდეგ ორ კორეას შორის [illegible] კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა, ერთმანეთს ხვდებოდნენ კორეის კონფლიქტის გამო გაყოფილი ასობით ოჯახი.

მაგრამ, როდესაც ბუშის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ გადასინჯავს შეერთებული შტატების პოლიტიკას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, კონტაქტები შეწყდა: ფხენიანმა განაცხადა, რომ ახალი სამიტი არ მოეწყობა, სანამ გადასინჯვა არ დამთავრდება.

გარდა ამისა, ფხენიანი შეუძლებლად მიიჩნევდა მოლაპარაკებას სეულთან, თუ შეერთებული შტატები რაიმე პირობებს წამოაყენებდა. საქმე ეხება ვაშინგტონის მოთხოვნას, რომ ჩრდილოეთ კორეამ მორატორიუმი დაუწესოს რაკეტების გაშვებას.

ორი კორეა უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ომის მდგომარეობაში იმყოფება: 1950-53 წლების კონფლიქტის დამთავრების შემდეგ, საზავო ხელშეკრულება მათ დღემდე არ დაუდიათ.

პერესი შეხვდა არაფატს

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა განაცხადა, რომ მომავალ კვირას შეხვდება პალესტინის ლიდერს იასირ არაფატს. სად და როდის მოხდება სახელდობრ ეს შეხვედრა, ჯერჯერობით გარკვეული არ არის. იტალიაში ყოფნისას ჟურნალისტებთან საუბრის დროს პერესმა თქვა, რომ პირველ შეხვედრას, რომელიც გაიმართება სადღაც ახლო აღმოსავლეთში, უნდა მოჰყვეს შემდეგი სამი შეხვედრა.

ეს განცხადება გაკეთდა დღის ბოლოს, რომელიც აღინიშნა საახლოაღმოსავლეთო კონფლიქტის ახალი მსხვერპლით: ისრაელის და პალესტინის ტერიტორიაზე მოკლეს სამი და დაჭრეს ორი ადამიანი.

ამას წინათ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა მიიღო პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ არაფატთან განიხილონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება.

ფაქტობრივად, საქმე შეეხება იმ გეგმის განხორციელებას, რომელიც ივნისში შეიმუშავეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეთაურის ჯორჯ ტენეტის შუამავლობით და რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

პალესტინის წარმომადგენლებმა არც დაადასტურეს და არც უარყვეს პერესის ინფორმაცია. ავტონომიის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა ნაბილ შაათმა განაცხადა მხოლოდ, რომ საერთაშორისო ძალისხმევა პერესისა და არაფატის შეხვედრის ორგანიზაციისადმი გრძელდება, მაგრამ დრო და ადგილი განსაზღვრული არ არის.

უფრო ადრე, პალესტინის სხვა წარმომადგენელმა თქვა, რომ შეხვედრა მოეწყობა ან ეგვიპტის ქალაქ ტაბაში, ან ისრაელისა და ღაზის სექტორის საზღვარზე მდებარე გამტარ პუნქტში.



შიდსის ვაქცინა

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამეცნიერო კონფერენციაზე მთელი რიგი მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის ვაქცინა უკვე უახლოეს რამდენიმე წელიწადში გაჩნდება. ფილადელფიაში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც მოაწყო შიდსის ვაქცინის გამოკვლევებისა და შემუშავების ფონდმა, თავი მოიყარა ათასზე მეტმა დელეგატმა. კონფერენცია ოთხ დღეს გასტანს, და ამ ხნის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება 360 მეცნიერული შრომა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის წინააღმდეგ პრეპარატის შექმნის თემაზე.

ეს ვირუსი ოცი წლის წინათ აღმოაჩინეს, მაგრამ აქამდე მის წინააღმდეგ ვერ მიაგნეს ეფექტიან ვაქცინას, მაგრამ ახლა მეცნიერები ამბობენ, რომ ისინი სწორ გზას ადგანან, და მალე შეიძლება ასეთი ვაქცინა შეიქმნას.

ჯერჯერობით მკვლევარებს არ უთქვამთ, რამდენი დრო დასჭირდება ვაქცინის შემუშავებას, მაგრამ არის აზრი, რომ ახლა ლაპარაკია უკვე წლებზე, და არა ათწლეულებზე.

„ახლა მე ოპტიმიზმით ვარ აღსავსე ვაქცინის შექმნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, — თქვა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დევიდ ბალტიმორმა, — სულ რამდენიმე წლის წინათ, ამ დარგში პერსპექტივები ნდობას არ მისახავდა. ვფიქრობ, რომ ამჟამად განხორციელებული ტესტების შედეგად, შევძლებთ, უზრუნველვყოთ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსისადმი იმუნიტეტის გამომუშავების ისეთი დონე, რომელიც შეცვლის სიტუაციას არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში".

მაგრამ ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ამ ვაქცინების ეფექტიანობისა და უსაფრთხოების შემოწმებას ძალზე დიდი დრო სჭირდება.

20 წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში იმუნოდეფიციტის ვირუსი შეეყარა 58 მილიონ კაცს, 22 მილიონი გარდაიცვალა შიდსით. გაეროს ყველაზე ბოლო მონაცემებით, მარტო შარშან გამოვლინდა აივ-ინფექციის მატარებელი ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი, რომელთა უმრავლესობა განვითარებადს ქვეყნებში ცხოვრობს.

ანტარქტიკის გამოცანა

ბრიტანელმა მეცნიერებმა, რომლებიც სწავლობენ ანტარქტიკის კლიმატს, დაადგინეს, რომ მეექვსე კონტინენტის ზოგიერთ რაიონში დათბობა გაურკვეველი მიზეზებით გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე, საშუალოდ, პლანეტაზე.

ასეთი დაჩქარებული დათბობა, რომელსაც მოჰყვება მყინვარების დნობა, არა მარტო ზემოქმედებას ახდენს ადგილობრივ მცენარეებსა და ფრინველებზე, არამედ იმასაც ცხადყოფს, თუ რამდენად ძნელია იმის განჭვრეტა, კლიმატის გლობალური შეცვლა როგორ ზეგავლენას მოახდენს მსოფლიოს ადამიანებით დასახლებულ რეგიონებზე.

ანტარქტიკის ნახევარკუნძული ვიწრო ზოლად არის გადაჭიმული ათასხუთას კილომეტრზე სამხრეთ ამერიკის მიმართულებით. აქ, პოლარული წრის გარეთ მიმდინარეობს ყველაზე სწრაფი და გამოუცნობი დათბობა. იმ დროს, როდესაც დედამიწაზე 100 წლის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ 0,6 გრადუსით გათბა, ანტარქტიკის ნახევარკუნძულზე ტემპერატურამ 6 გრადუსით აიწია.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაქრა შვიდი შელფის მყინვარი, მათ შორის ისეთები, რომლებიც თითქმის 2000 წლის განმავლობაში არსებობდნენ. ამავე დროს, აქ მობინადრე ერთი სახეობის პინგვინებისათვის ასეთი დათბობა არასასურველია, რადგან მათ სჭირდებათ პაკის ყინულები. სხვა სახეობისათვის კი დათბობა სასარგებლოა, რადგან ისინი ღია წყლებს ამჯობინებენ.

გამოცანად რჩება, თუ რატომ მიმდინარეობს ასე ძლიერ კლიმატის დათბობა ანტარქტიკის ნახევარკუნძულზე. კომპიუტერული მოდელები, რომლებმაც უნდა გაიანგარიშონ კლიმატის გლობალური შეცვლა, ამ ლოკალურ ეფექტს ვერ ხსნიან.

ბრიტანელი მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ ანტარქტიკას, განიხილავენ სამ ჰიპოთეზას, რომლებითაც შეიძლება აიხსნას ანტარქტიკის ნახევარკუნძულზე მიმდინარე პროცესის მიზეზები — ოკეანის წყლების ცირკულაცია, ჰაერის ცირკულაცია ატმოსფეროში და ზღვის ყინულის გაციების ეფექტის შემცირება. მაგრამ მეცნიერები ვერ ამბობენ, ამ სამი ფაქტორიდან, რომელია ჭეშმარიტი მიზეზი.

როგორც მკვლევარებმა აღნიშნეს, ნახევარკუნძული იმის კარგ მაგალითს იძლევა, თუ რამდენად ძნელია ზუსტად განჭვრიტო კონკრეტულ ქალაქზე ან ქვეყანაზე გლობალური დათბობის ზემოქმედება.

გამორიცხული არ არის, მაგალითად, რომ ჩრდილოეთ ევროპას გლობალური დათბობა სიცივით ემუქრება. ეს მოხდება, თუ მყინვარების დნობა „დაძრავს" გოლფსტრიმს, და იგი შეწყვეტს ევროპის ნაპირებისაკენ თბილი წყლების გადატანას მექსიკის ნაპირებიდან.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვება **ლია ბოგირჩაიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 222. შაბათი, 8 სექტემბერი, 2001 წელი

სულიერება

დაბრუნებული ვალი

მარტყოფში გაიხსნა მარი ბროსეს სახელობის მუზეუმი

ამას წინათ მადლიერ ქართველთა სულიერი ამაღლების კიდევ ერთი ფაქტის მოწმე გავხდით. საზოგადოდ ჩვენს ხალხს უანგარო მეგობართა მიმართ პატივისცემის მიგება ყოველთვის ხელეწიფებოდა, მაგრამ დღეს, როცა მატერიალურმა სიდუხჭირემ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, თითქოს ადამიანს ლუკმაპურზე ფიქრის მეტი საზრუნავი აღარაფერი უნდა ჰქონდეს. სწორედ ასეთ დროს დგება ხოლმე სიავის აღზევების ჟამი. ჩვენდა საბედნიეროდ, ქართველი კაცის ტრადიციულმა სიკეთემ აქაც გაიმარჯვა.



თბილისიდან არც ისე შორს მდებარეობს ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სოფელი მარტყოფი, რომლის არსებობის მთელი ისტორია სამშობლოს ერთგული მსახურების შესანიშნავი ნიმუშია. ამ სოფელს ათას რვაას ორმოციან წლებში პლატონ იოსელიანთან ერთად ეწვია ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი, პეტერბურგის აკადემიის წევრი მარი ფელისიტე ბროსე. მან უაღრესად დიდი როლი შეასრულა ევროპაში ქართული კულტურის გასატანად. წლების მანძილზე თარგმნიდა და აქვეყნებდა ქართული ისტორიული ძეგლების საუკეთესო ნიმუშებს. მაგალითისთვის თუნდაც ის კმარა, რომ მარი ბროსემ ფრანგულად თარგმნა და გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ შვიდი ტომი.

უსაზღვრო იყო მარი ბროსეს სიყვარული საქართველოს მიმართ. შორეულ პარიზში დაბადებულმა მეცნიერმა მთელი არსებით შეისისხლხორცა ქართველი კაცის სულიერი სიმდიდრე. „ბუნებამ ქართულ სულს ისევე დაასვა ვაჟკაცობისა და პატიოსნების დაღი, როგორც მის სახის ნაკვთებსა და მის გარეგნობას სილამაზისა და კეთილშობილების პროპორციების ბეჭედი“, — წერდა დიდი მეცნიერი. „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს „ილიადაა“ — აღიარებდა იგი და ლასტურად ფრანგულადაც თარგმნა.

აკი ვთქვი, ქართველ კაცს მოკეთის დაფასება არასოდეს ავიწყდებოდა-მეთქი. ასე მოხდა ამჯერადაც: მარტყოფელმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ სალომე ყველაშვილმა, რომელსაც მხურვალედ უჭერდა მხარს მთელი ოჯახი, კარდაკარ დაიარა მარტყოფი, შემოიკრიბა ენთუზიასტები იოსებ ახალკაციშვილი, ნინო ბერიძიშვილი, ხათუნა და ნინო შპეტაშვილები, თეა კანდელაკი, თამარ შომიაშვილი, ეთერ რაზმაძე, ლია გოგნიაშვილი, ნაირა სტეფანიშვილი, ხათუნა მარუშაშვილი, ნანა და თამარ იორდანიშვილები, მიხეილ სახლთხუციშვილი და შეაგროვა მდიდარი ისტორიულ-ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული მასალა. დიდი ბრძოლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში რამდენიმე ოთახი „მოიპოვეს“, დაასუფთავეს და გახსნეს მუზეუმი, რომელსაც ქართველი ხალხის დიდი და უანგარო მეგობრის მარი ფელისიტე ბროსეს სახელი მიანიჭეს.

— უნდა გენახათ, როგორი ხალისით გამოგვეხმაურნენ უბრალო, რიგითი მარტყოფელები, როგორ გვთავაზობდნენ ოჯახებში შემორჩენილ ნივთებს, რათა სოფელს კულტურის კიდევ ერთი კერა შემატებოდა. ბედნიერი ვარ, რომ ჩანაფიქრი ბოლომდე მივიყვანე, თუმცა ბევრი წინააღმდეგობაც შეგვხვდა, — მითხრა სალომე ყველაშვილმა.

— ეს შენობა წლების მანძილზე მიტოვებული იყო, სახურავიდან წყალი ჟონავდა. დავასუფთავეთ და რატო ათი მანქანა ნაგავი ხელით არ გავიტანეთ, — დაამატა მეუღლის ნათქვამს რეზო კახაბრიშვილმა.

აი, ასე შეიქმნა მარი ბროსეს სახელობის მუზეუმი, რომელიც ოფიციალურად 5 სექტემბერს გაიხსნა. ლონისძიებას მეტი ელფერი შემატა ფრანგულმა დელეგაციამ, რომელიც გარდაბნის რაიონის გამგებელმა ნუგზარ ფერიაშვილმა მოიყვანა. საფრანგეთის ლიმუზინის პროვინციის დეპუტატმა ალისა ბერშენმა, სოფელ ლე სალ ლავოგლიონის გამგებელმა ფრანსუა ბომ, დელეგაციის სხვა წევრებმა ინტერესით დაათვალიერეს მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი იყო მარტყოფელ მწერალთა და მხატვართა — უშანგ სახლთხუციშვილის, ბუჭა ზაზუნიშვილის, ნინო ტაბლიაშვილის, ნათია სტეფანიშვილის, თეა კანდელაკის, ხათუნა გეთიაშვილის ტილოები, მიხეილ სახლთხუციშვილის ფოტონამუშევრები. საგანგებო კუთხე ჰქონდა დათმობილი მარი ფელისიტე ბროსეს ნინო ტაბლიაშვილისეულ პორტრეტს, ამონარიდებს მეცნიერის ცალკეული ნაწარმოებებიდან. სტუმრებს უჩვენეს ხბოს ტყავზე შესრულებული მარტყოფის ისტორიის ამსახველი ქართულ-ინგლისურენოვანი წიგნი. ჭიქა ღვინით სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს დიდი თანამემამულის ხსოვნის ესოდენი დაფასებისათვის.

სახელდახელო მიტინგზე შეკრებილთ მიმართეს გარდაბნის გამგებელმა ნუგზარ ფერიაშვილმა, მარი ბროსეს შთამომავალმა, პროფესორმა ედმერ ხოშტარია-ბროსემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა უშანგ სახლთხუციშვილმა, მუზეუმის შემქმნელმა და სულისჩამდგმელმა სალომე ყველაშვილმა. სტუმართაგან სიტყვები წარმოთქვეს ალისა ბერშენმა და ფრანსუა ბომ. სტუმრებმა გულთბილი ჩანაწერები გააკეთეს მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში, შემდეგ კი მოწვევით მიიახლნენ მარტყოფის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარს, ესაუბრნენ წინამძღვარს მამა ზაზას.

მარტყოფელებმა სტუმრებს თავისი შემოქმედებაც აჩვენეს — ანსამბლმა „შომიამ“ (ხელმძღვანელი გია შომიაშვილი), რომელიც არაერთი ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო დიპლომების მფლობელია, იქვე, ღია ცის ქვეშ შესანიშნავი კონცერტი მოაწყო და სტუმართა აღტაცება დაიმსახურა. ლონისძიებას მესანიშნავად წარუძღვა თამარ შომიაშვილი.

იმ დღეს სტუმარიც და მასპინძელიც ნამდვილად უზომოდ ბედნიერი იყო. ერთნი იმიტომ, რომ თანამემამულის ღვაწლი დაუფასეს, მეორენი იმიტომ, რომ უცხოელის სიკეთეს სიკეთით უპასუხეს და ამით კიდევ ერთხელ განადიდეს ქართული სულის მადლიერება.

მაგრამ მარტოოდენ ეს როდი იყო შეხვედრის გვირგვინი: სოფლის საკრებულოში შედგა საქმიანი ბაასი. როგორ გაგრძელდეს შემდგომში ორი სოფლის — მარტყოფისა და ლე სალ ლავოგლიონის ურთიერთობა. გადაწყდა: თანამშრომლობა მოიცავს კულტურისა და სოფლის მეურნეობის სფეროებს. თქვენს ეს და სათანადო მემორანდუმითაც დაადასტურეს.

დიახ, ლამაზი იყო 5 სექტემბერი მარტყოფელთათვის. ამ დღეს კიდევ ერთხელ ამაღლდა ქართული სახელი, კიდევ ერთხელ დადასტურდა ოდინდელი ცნება, რომ სიკეთის ქმნა და დანახვა ზეგარდმო ნიჭია და ის ყოველ [illegible] ამბებს, თუნდაც — მატერიალურ სიდუხჭირეს.

ელგუჯა ლებანიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

სოფელი

დავალებები კი მიიღეს, მაგრამ არავინ არაფერი გააკეთა...

საქართველოს პრეზიდენტთან შესახვედრად გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერას 630-კომლიანი სოფლის სახელით 50-კაციანი დელეგაცია 1998 წელს თბილისში ჩამოვიდა. ძირითადი მოთხოვნა სოფლის სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფა იყო, ითქვა ისიც, რომ საჭირო იყო კომპეტენტური კომისიის გამოყოფა, რომელიც ძირფესვიანად შეისწავლიდა, თუ რა მოხდა ლემშვენიერაში, რატომ დაინგრა საკავშირო მასშტაბით უდიდესი მსხვილფეხა საქონლის სასუქებელი კომპლექსი, რომლის პირუტყვის რაოდენობა 250 ათასიდან 350 ათას შორის მერყეობდა და ყოველწლიურად სოლიდური მოგებაც მოჰქონდა.

მართალია, ბატონ შევარდნაძესთან უშუალოდ შეხვედრა არ მოხერხდა, მაგრამ რეგიონული სამსახურის უფროსის ბადრი ხატიძის მიერ შესაბამისი დავალებები მიეცა სახელმწიფო სტრუქტურებს, რათა სოფელ ლემშვენიერას მოსახლეობის თხოვნა სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე ორ დღეში, ხოლო სარწყავი წყლის პრობლემა ორ თვეში მოეგვარებინათ.

ახლა ირკვევა, დავალებები კი მიიღეს, მაგრამ ამ მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად არავის არაფერი არ გაუკეთებია.

მაშინ ამ სტრიქონების ავტორმა გაზეთ „სამხრეთის“ ერთ-ერთ ნომერში მთელი გვერდი მიუძღვნა ამ საკითხს.

თუმცა მას შემდეგ მესამე წელი თავდება, სამწუხაროდ, დღემდე ყველა დაპირება დაპირებად დარჩა. მხოლოდ ესაა, თვით სოფლის ახალგაზრდობის ინიციატივით სოფლის მცირე ნაწილისათვის მოხერხდა საკარმიდამო ნაკვეთებზე სარწყავი წყლის სისტემის მოგვარება. სხვა მხრივ კი, სოფელი კატასტროფამდე მივიდა, სოფლის წარმომადგენლებმა გამგეობასაც მიმართეს, გუბერნატორსაც, პარლამენტის თავმჯდომარესაც და, ასე განსაჯეთ, პრეზიდენტსაც, მაგრამ მათ სატკივარს მაინც არაფერი ეშველა.

გავლენიანი პირების ჩარევამ, დაპირებებმა, დაყვავებებმა, ზოგ შემთხვევაში კი თითის დაქნევამაც საქმეს ვერ უშველა, ბოლო დროს ელექტროენერგიაც გამოირთო, რის გამოც, სასმელი წყლის ის ორი წვეთიც დაუშრათ ზოგიერთ უბნის მცხოვრებთ, თვეში ორჯერ თითო საათით რომ იღებდა, ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ელექტროენერგიის საფასური გაეზარდათ და მუქთა ლარებით საკუთარი ჯიბეები გაევსოთ როგორც სხვანური, ისე აზერბაიჯანული დასახლებიდან, თითო კომლიდან 5-5 ლარის მომატება ყოველთვიურად, ვფიქრობ, არცთუ ცოტა თანხაა.

სწორედ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა სოფელმა, თავისსავე ინიციატივით, წლეულს, 6 მაისს ახალაშენებული წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში მოიყარა თავი, რათა მათი რწმენით, უძლეველი ძალა ერთობისა აღედგინათ „ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის“.

მას შემდეგ, რაც წარგზავნილებმა დაპირება ვერ მიიღეს, თუ როდის ჩაურთავდნენ დენს; 16 ივლისს სოფლის მცხოვრებლებმა 600 კაცმა ბაქო-თბილისის სარკინიგზო ხაზი გადაკეტა. იქ იყვნენ გამგეობის წარმომადგენლები, პარლამენტის დეპუტატები, თვით გუბერნატორი ლევან მამალაძე, რომელიც ბევრს ეცადა, დაეშალა ხალხი, მაგრამ უშედეგოდ. ღამის პირველ საათზე ჩართეს დენი, რის შემდეგ ხალხი დაიშალა და შინ წავიდა, რომ არ ჩაერთოთ, ბაქოს მიმართულებით ლიანდაგის აყრას აპირებდნენ, ისე იყვნენ გამწარებულნი. აქციის შემდეგ გარდაბნის ელქსელებმა ახალი დამატებითი ხაზებიც გაიყვანა, წყალსაც ღებულობენ, მართალია, არა იმ რაოდენობით, როგორც საჭიროა, მაგრამ ნათქვამია, ხალხი უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრობსო, მაგრამ როდემდე? აქვე ვთხოვთ ყველას, ვისაც ხალხისთვის გათვალისწინებული სახსრები აბარია, სრულყოფილად მოახმაროს ეს სახსრები მასვე.

მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს კომისია, რათა ადგილზე გაეცნოს ჩვენი სოფლის მდგომარეობას.

პირიბე გვარლიანი,
„სრ“ კორ.

უკვე მერამდენედ იწერება ჩვენს გაზეთში გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერას შესახებ, შედეგი კი არა და არ ჩანს, ნუთუ ისეთი ელემენტარული ცხოვრებისეული პრობლემების მოსაგვარებლად, როგორც სასმელი და სარწყავი წყალია, აუცილებელია ადამიანთა ერთმა ჯგუფმა გზა გადაკეტოს, ლიანდაგი აჰყაროს?

დარწმუნებული ვართ, ყველა ხელმძღვანელი თავის საქმეს პატიოსნად და კეთილსინდისიერად რომ ასრულებდეს, სოფლად არც ამდენი პრობლემა დაგროვდებოდა და ხალხიც მის მოსაგვარებლად არაორდინარულ გზას არ აირჩევდა.

გამოიცა

სამაგიდო წიგნი პოლიტიკოსებისთვის

კარგი საჩუქარი მოუმზადა პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის ახლადშექმნილმა საერთაშორისო ასოციაციამ ქართველ პოლიტოლოგებს, პოლიტიკოსებსა და პოლიტიკით დაინტერესებულ ყველა პიროვნებას — გამოვიდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, პოლიტოლოგ **ვაჟა შუბითიძის** მონოგრაფია **„რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს“**, ანუ როგორ გავიმარჯვოთ არჩევნებში. ნაშრომში, პირველად ქართულ პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია: იმიჯის ტიპები, მისი აგების ტექნოლოგია, ვინ და როგორ აკეთებს იმიჯს, პოლიტიკური ლიდერის იმიჯი, პოლიტიკოსი როგორც სიმბოლო და მსახიობი, ლიდერის გარეგნობა, ლიდერი პოლიტიკის მიღმა, ხელისუფლების იმიჯი, წინასაარჩევნო ტექნოლოგია, მითები და რეალობა, რჩევები პარტიებისა და პოლიტიკოსთათვის საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად, უცხოური პოლიტიკური პარტიის (ბრიტანეთის კონსერვატორული პარტიის) გამოცდილება, საქართველოს 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოკლე ანალიზი და სხვ.

ნაშრომი სამაგიდო წიგნია ქართველი პოლიტიკოსებისთვის.

განსჯა

ღვთიურ მცნებებზე ღირებული კაცობრიობას არაფერი შეუქმნია

წამალდამოკიდებულების გლობალიზების მიზეზთა ანალიზის მცდელობა

ადამიანები და ღმერთები

არცთუ ძალიან დიდი ხნის წინათ ადამიანთა სამყარო იმ ტერიტორიით შემოიფარგლებოდა, რომლის გავლა, დანახვა ან მოაზრება მას შეეძლო. სამყაროს დასასრული არცთუ შორს იყო მისი საცხოვრებლისაგან. ბიბლიაში აღწერილი წარღვნაც ხომ მხოლოდ პალესტინის არეალს შეეხებოდა, თუმცა, ავტორი მას მსოფლიოს მასშტაბის მოვლენად სახავს. მზე და მთვარეც დედამიწის ირგვლივ ტრიალებდნენ და ღმერთის მიერ იყვნენ შექმნილნი, რათა დღისით და ღამით გაენათებინათ ადამიანებისათვის.

თვითონ ღმერთებიც იქვე მახლობლად ცხოვრობდნენ, მაგალითად, ოლიმპოს მთაზე. ისინი, ფაქტობრივად, ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობდნენ — ირთავდნენ ცოლებს, ღალატობდნენ მათ, ზრდიდნენ შვილებს, ჩხუბობდნენ და რიგდებოდნენ. უფრო მეტიც, ისინი არც ადამიანებთან უშუალო ურთიერთობას ერიდებოდნენ, ზოგჯერ სასიყვარულოსაც. არცთუ იშვიათად, ამის შედეგად ქვეყანას ღმერთკაცები ევლინებოდნენ — ღმერთებისა და მიწიერი ქალების ნაშიერნი.

ადამიანი ღვთიური არსებებით (თუ უმცროსი ღმერთებით) იყო გარემოცული — ტყე, მდინარე, კლდე მათ მატერიალიზებულ სახეს ქმნიდა, თვით ადამიანის სადგომი თუ სახლი ამ ღვთიურ არსებათა მფარველობაში იმყოფებოდა. საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩა აუცილებელი სადღეგრძელო, რომელიც მასპინძლის სახლის მფარველი სულის თუ ანგელოზის საპატივცემულოდ ისმება ლხინის დამთავრებისას.

„ბჰაგავად-გიტა“, „მაჰაბჰარატას“ ინდური ეპოსის ფილოსოფიურ-რელიგიური ნაწილი, შექმნილია უფალ კრიშნასა და მისი მეგობრის და ერთგულ მსახურს შორის საუბრების სახით, ღვთაება კრიშნა მოკვდავთ ევლინება ადამიანის სახით, რათა კვლავ დაამკვიდროს ცხოვრების ჭეშმარიტი წესი, რადგან ადამიანებმა ის დაივიწყეს. ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ არსებობს ღმერთი და ა. შ. და ა. შ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 221.

კრიშნას ამ ქვეყნად მოვლენის მიზანია, გამოსტაცოს ადამიანი მატერიალური არსებობის უმეცრებისაგან. ადამიანი, ისევე, როგორც დანარჩენი სამყარო, ღვთის ენერგიის ნაყოფია, მისი ნაწილია, მაგრამ ადამიანს აქვს ცნობიერება, დანარჩენ მატერიას კი — არა.

კრიშნა სამყაროს მოევლინა დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინათ, ქრისტე კი — ორი ათასი წლის წინათ. ისიც უბრალო მოკვდავივით ცხოვრობდა ადამიანებს შორის, მათთან ერთად მგზავრობდა, იკვებებოდა, მისი მიზანიც იყო ადამიანებისათვის მამა ღმერთის ნების შეხსენება, მათი დახსნა მატერიალური, ნივთიერი სამყაროს გაფეტიშებისაგან, მათში სულიერების აღზევება.

ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბება ხდებოდა ღმერთების გარემოცვაში. ადამიანი თუმც განუზომლად მცირე, მაგრამ ღმერთის მსგავსი არსება იყო. მას ჰქონდა ურთიერთობა ღმერთებთან და დროდადრო მათ წინააღმდეგ ამბოხებასაც ბედავდა — გაიხსენეთ პრომეთე თუ ამირანი.

იმის მიუხედავად, თუ რამდენად რეალურია და როგორ უნდა იქნას აღქმული, ვთქვათ, ბიბლიასა თუ „ბჰაგავად-გიტაში“ აღწერილი მოვლენები და ღვთიური განცხადებები, ანუ რა არის მათში ჭეშმარიტად ღვთიურის ასახვა და რა ეკუთვნის კაცობრიობის ილუზიათა ნაყოფს, უდავო ჭეშმარიტებაა ის, რომ ადამიანი თავს ღმერთების, ბუნების, იდუმალი ძალების ნაწილად აღიქვამდა.

ადამიანი მუდმივ კონტაქტში იყო ღმერთებთან ან, უფრო სწორედ, მათი ნების გამოხატულებასთან — ორსულობა, ბავშვის დაბადება, ავადმყოფობა, კარგი მოსავალი, ხელმოცარული ნადირობა და სხვა ხომ ღმერთის ადამიანისადმი დამოკიდებულების გამოხატულება იყო.

მოკლედ, ადამიანი სამყაროს (თუნდაც რამდენიმე ასეული კილომეტრით შემოსაზღვრული სამყაროს) ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო. მართალია, ღმერთებთან შედარებით ძალიან სუსტი, უმწეო, მაგრამ ღმერთების სახის მატარებელი და მათი ნების აღმსრულებელი — პატარა ბავშვი, რომელსაც ბევრი რამ არ ესმის, მაგრამ იძულებულია, შეასრულოს თავისი მრავალრიცხოვანი მრისხანე მშობლების ნება.

ადამიანის ცოდნის არეალის გაფართოება, ადამიანის ინტელექტის მატერიალიზება, ხელოვნური სამყაროს შექმნის პირველი ნაბიჯები, იმავდროულად, ბუნების წიაღისაგან გამოყოფის პირველი ნაბიჯებიც იყო. რომელიღაც ეტაპზე ფართოვდება სამყაროს საზღვრები, დგინდება მრავალი მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რაც სულ ნაკლებ სამოქმედო სივრცეს უტოვებს გარემომცველ იდუმალ ძალებს. ისინი ადგილს ინაცვლებენ ზეცაში ან ქვესკნელში და იწყებენ ადამიანური თვისებების დაკარგვას. ღმერთები უფრო მიუწვდომელი ხდებიან ადამიანებისათვის.

თუმცა ღმერთებმა ბევრი ადამიანური თვისება დაკარგეს და მიუწვდომელი გახდნენ ნებისმიერი განსაზღვრისათვის, მაგრამ ადამიანი ჯერ არ იყო მზად ღმერთების გარეშე ცხოვრებისათვის და იქნება თუ არა ამისათვის მზად ოდესმე, არავინ იცის. კონკრეტულ მახასიათებლებსა და კონკრეტულ ადგილსამყოფელს მიღმა დარჩენილი ღვთაების ძირითად საზრუნავად კვლავ ადამიანი დარჩა. ადამიანის ცხოვრების გზა ღვთის განგებით იყო ნაკარნახევი. თითოეული ადამიანი ღმერთისთვის საყვარელ არსებად წარმოადგენდა. ღმერთი მფარველობდა მას, ეხმარებოდა სირთულეების დაძლევაში, მიუტევებდა ცოდვებს, ხოლო ღვთის ცნებათა მიმდევართ ჰპირდებოდა სამოთხეს — მარადიულ უზრუნველ არსებობას. მართალია, კეთილ ღმერთს შეეძლო სასტიკი სასჯელის გამოტანაც, მაგალითად სოდომისა და გომორის დანგრევა ან სულაც თითქმის მთელი კაცობრიობის მოსპობა წარღვნით, მაგრამ ეს იყო სასჯელი დაუმორჩილებლობისათვის, ისევე, როგორც ჯოჯოხეთი. მოკლედ, ადამიანი კვლავ ღვთის ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა. ამასთანავე, რაც უფრო გაჭირვებული, დამცირებული, დაბეჩავებული იყო ადამიანი ამ ქვეყნად, სამოთხეში მოხვედრის მით უფრო მეტი შანსი ეძლეოდა: რაც მთავარია, ადამიანმა იცოდა, რომ ის ღმერთს სჭირდება და ღმერთი მას არასოდეს მიატოვებს.

ამჟამად, თუმც ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობის მოდუსი შეიცვალა — ღმერთი განუზომლად დაშორდა ადამიანს და მიწიდან ცაში გადაინაცვლა, კაცის და ღმერთის ურთიერთობა შენარჩუნდა. ადამიანი იმყოფებოდა ღმერთის მფარველობის ქვეშ. მაგრამ, რაც უფრო ფართოვდებოდა ადამიანის ინტელექტუალური ჰორიზონტი, მით უფრო მეტი კითხვა იბადებოდა ღმერთის რაობის მიმართ.

რენესანსის ძირითადი მამოძრავებელი ძალა გონის ძლევამოსილების ხელახალი აღმოჩენა (ანტიკური პერიოდის ახლებური გააზრება) და მისი რწმენასთან დაპირისპირება გადაიქცა სულიერი, კულტურული, მეცნიერული აზროვნების აღზევების ეპოქად, ხოლო სუბიექტი და მისი გონი — ადამიანის არსებობის საყრდენად და უმაღლეს მსაჯულად.

ადამიანის გონის აღიარება უმაღლეს მსაჯულად ადამიანისაგან უდიდესი პასუხისმგებლობის აღება იყო თავის თავზე. ემანუელ კანტმა განმანათლებლობის ეპოქას გონების მამაცობის აღზრდის ეპოქა უწოდა. ამ ეპოქის შვილმა ბენედიქტ სპინოზამ ღმერთის შესახებ ცოდნის ძირითად წყაროდ ძველი აღქმა მიიჩნია და მისი კრიტიკული განხილვის შემდეგ გააკეთა ასეთი დასკვნა — ყოველივე არსებული არის ღმერთი, ანუ სამყარო მატერიალიზებული ღმერთია და სხვა ღმერთი არ არსებობს. „ვამბობთ რა, რომ ყოველივე ემორჩილება ბუნების კანონებს და რომ ყველაფერი მოქმედებს ღვთის მართვის შესაბამისად — ჩვენ ვამბობთ ერთსა და იგივეს“. მაგრამ იგივე სპინოზა წერდა: „ღმერთის სიყვარული არის უმაღლესი ბედნიერება და უმაღლესი განცხრომა ადამიანისათვის, მისი მოქმედების საბოლოო მიზანი“ და კიდევ: „ღმერთი და სიყვარული მისდამი, არის საბოლოო მიზანი, რომლისკენაც უნდა იყოს მიმართული ყველა ჩვენი მოქმედება. მაგრამ ხორციელ ადამიანს არ შეუძლია ამის გაგება — მას არ მიაჩნია, რომ ეს არ არის ღირებული, იმიტომ, რომ მას ძალიან მწირი ცოდნა აქვს ღმერთის შესახებ და იმიტომაც, რომ ის ამ უმაღლეს განცხრომაში ვერაფერს პოულობს ისეთს, რისგანაც ხორციელი სიამოვნების მიღება შეეძლოს, იმიტომ, რომ ეს განცხრომა შედგება მხოლოდ განსჯისაგან, წმინდა აზრისაგან“.

სპინოზას ასეთი ვრცელი ციტატა იმიტომ მოვიყვანე, რომ სპინოზამ ადამიანს და ღმერთს ახალი ადგილები სამყაროში მიუჩინა. დეკარტეს, ლაიბნიცის, გალილეის, ნიუტონის, რემბრანდტის, მიქელანჯელოს, კეპლერის, ბეკონის მიერ ახლად დანახულ თუ ახლად შექმნილ სამყაროში ახლებურად განისაზღვრა ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობები.

კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა სამყარო. სამყაროში ამოქმედდა ახალი კანონები და კანონზომიერებები, რომლებიც ღმერთის ნებაზე აღარ არის დამოკიდებული. ღმერთმა შექმნა სამყარო და, ნიუტონის აზრით, აამუშავა ის, მისცა პირველი ბიძგი, შემდეგ კი პლანეტები მათი თვისებებისა და კანონზომიერებების მიხედვით მოქმედებენ. ღმერთის სიძლიერე გაიზარდა იმიტომ, რომ გაიზარდა სამყარო, მაგრამ მისი მოქმედების არეალი შევიწროვდა. ადამიანი? ადამიანის ძლიერებაც გაიზარდა იმიტომ, რომ ის ჩაწვდა მანამდე მისთვის ფარულ ბუნების საიდუმლოებებს, მაგრამ ღმერთისა არ იყოს, მისი სიძლიერეც დაკნინდა, მას აღარ აქვს ჭექა-ქუხილის გამოწვევის იმედი, არც მზის დაბნელებას მიიჩნევს მისთვის განკუთვნილ ღვთიურ გამოცხადებად. მაგრამ ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებელია ადამიანის არსებობის ღვთისაგან ნაბოძები ზნეობის კანონები. ადამიანი განაგრძობს ცხოვრებას ღვთისაგან ნაბოძები ცნებებით. სული ჯერ კიდევ ღვთიურია.

არ შეიძლება ერთდროულად არსებობდეს ორი ღმერთი. რაც უფრო მეტ ძალას იკრებს ადამიანის ინტელექტი, რაც უფრო მეტ მეტოქეობას უწევს ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური გარემო ბუნებრივს, მით უფრო მეტ მეტოქეობას უწევს ადამიანი ღმერთს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მოგზაურობის საშუალებათა გაიოლებამ ადამიანებს დაანახა, რომ ღმერთის მრავალგვარი სახე არსებობს და რომ ისინი, ვინც ბუდას ან კრიშნას მზეს ფიცულობენ, ისევე კარგად თუ ცუდად ცხოვრობენ, როგორც ქრისტეს და მაჰმადის მიმდევარნი. ცუდად იმიტომ, რომ არც ერთი რელიგია კეთილდღეობის არავითარ ობიექტურ გარანტიას არ აძლევს მის მიმდევართ ამქვეყნად. მამასადამე, ერთის მხრივ ადამიანის მატერიალიზებული ინტელექტი ქმნის ხელოვნურ სამყაროს ღმერთის გაცხადებული ჩარევის გარეშე, მეორეს მხრივ, აღმოჩნდა, რომ ყველა ხალხს საკუთარი ღმერთი ჰყავს.

მე საშუალება მომეცა სტუმრის სტატუსით დავსწრებოდი მოსკოვში მსოფლიოს ყოველთა ეკლესიათა მოძღვართა შეკრებას. გარწმუნებთ, რომ ეს შეკრება ისევე მშვიდობიანად მიმდინარეობდა, როგორც ნებისმიერი სამეცნიერო კონფერენცია და ისევე, როგორც ნებისმიერი მეცნიერული დისპუტის დროს, ვერავინ ვერ დაარწმუნა მოწინააღმდეგე, რომ მისი ღმერთი არის ერთადერთი და ყოვლისშემძლე. მაგრამ ამის გამო არავის მიუმართავს ძალადობისათვის. იქ მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ყველა უმაღლესმა ღმერთმსახურმა იცის, რომ ნებისმიერი რელიგიის დოგმატების გარკვეული ნაწილი, ადეკვატურად ვერ ასახავს ჭეშმარიტებას.

დღევანდელ ადამიანს გაუჩნდა არჩევანის საშუალება, თუ რომელი ღმერთი იწამოს და რელიგიის რა მოთხოვნები თუ დებულებები ჩათვალოს თავისთვის სავალდებულოდ.

ღმერთისა და რელიგიისადმი ახალი დამოკიდებულება, თუ შეიძლება ასე ითქვას, იდეოლოგიურად გაფორმდა. არსებობს რამდენიმე ფილოსოფიური მიმდინარეობა და უამრავი ფილოსოფოსი, ვინც ასეთ მიდგომას ასაბუთებს. რელიგიაში კი კაც-ღმერთის ახლებური ურთიერთობები თუნდაც იმით გამოიხატა, რომ დღეს მარტო ქრისტიანული რელიგიის აღიარებული 2000 მიმართულება არსებობს.

ამის შედეგად ადამიანი მარტოდმარტო დარჩა სამყაროს პირისპირ — დაკარგა ერთადერთი უპირობო მანუგეშებელი, მფარველი, თანამდგომი, მიმტევებელი, მოსიყვარულე არსება. დაკარგა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი დამრიგებელი, დაკარგა ცოდვა-მადლის განმკითხავი, დაკარგა ცხოვრების მიზანი, დაკარგა იმედი, რომ ღირსეულად გადატანილი ბედის უსამართლობა სამოთხის კარს გაუღებს და იქ მაინც შეხვდება ამა ქვეყნის ჭრილობების მოშუშებას, ბოროტება კი აუცილებლად დაისჯება.

გელა ლეჟავა.

(გაგრძელება იქნება).

სურათზე: ფსიქიკურად დაავადებულის ნახატი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციუმი

ვაჟები „გვიტევენ“

ახალი დემოგრაფიული საფრთხის წინაშე

ქაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში უმეტესწილად გავრცელებული იყო შეხედულება ვაჟის უპირატესობის შესახებ. ოჯახში დიდ ბედნიერებად ითვლებოდა ვაჟის დაბადება. ადამიანთა ეს სურვილი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უპირატესად მაინც ოჯახის შექმნისა და არსებობის, ხალხის ტრადიციებთან, წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობებით იყო განსაზღვრული. ვაჟების დაბადება მრავალმუშახელიან და, მაშასადამე, ეკონომიკურად ძლიერ ოჯახსაც გულისხმობდა. ამავე დროს ისინი მთელი ქონების მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. ყოველივე ეს საკმაოდ ძლიერი ცხოვრებისეული არგუმენტები იყო იმისათვის, რომ, ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „ქალი სხვათა სახლის ყორედ“ მიეჩნიათ, ხოლო ვაჟი – ოჯახის ბურჯად და გამგრძელებლად. მიუხედავად აღნიშნული სურვილისა, ბუნებამ მკაცრად დააპროგრამა სქესთა თანაფარდობა. ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში ყოველ 100 დაბადებულ ქალზე 104-106 ვაჟი მოდიოდა. ამ მხრივ არც ჩვენი ქვეყანა იყო გამონაკლისი. უკანასკნელ წლებში კი საგრძნობლად დაირღვა ახალშობილთა შორის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა. 1995 წლიდან მოყოლებული, ამ თანაფარდობამ მკვეთრად გამოხატული ანომალიური ხასიათი მიიღო: ყოველ 100 დაბადებულ ქალზე 118-120 ვაჟი იბადება.

ნაყოფისმომცემ ასაკში სქესთა თანაფარდობა, ჩვეულებრივ, იდენტური უნდა იყოს, რადგან ერთ წლამდე ასაკში ვაჟები ქალიშვილებით მეტი იღუპებიან, ვიდრე გოგონები. დედაბუნებამ დააპროგრამა თავისი ჰარმონიული განვითარების კიდევ ერთი საფუძველი – სქესთა შორის თანაფარდობა. მართალია, ერთ წლამდე ასაკში მეტი ვაჟი იღუპება, ვიდრე გოგონა, მაგრამ, სამაგიეროდ, ვაჟი მეტიც იბადება. სამწუხაროდ, ადამიანი ბუნების მიერ ნაბოძებ ამ ჰარმონიული განვითარების პროცესშიც უხეშად ჩაერია. საშუალო და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში რისკ-ფაქტორების (ტრავმები, ავარიები, ალკოჰოლი, თამბაქოს წევა, კრიმინოგენური აქტივობა) გავლენით მამაკაცი მეტი იღუპება, ვიდრე ქალი, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, ამცირებს შობადობის დონეს.

ახალშობილთა შორის სქესთა თანაფარდობის დარღვევას, რომელმაც ასე მწვავედ იჩინა თავი საქართველოში, მოჰყვება უაღრესად არასასურველი შედეგები, რომელთა მოწესრიგების გარეშე კიდევ უფრო დამძიმდება ისედაც რთული დემოგრაფიული ვითარება. სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევა ქორწინებათა რიცხვის კლების შედეგად მნიშვნელოვნად შეამცირებს შობადობას. საკმარისია, აღინიშნოს, რომ მხოლოდ უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ამ მიზეზის გამო 7408 ქალით ნაკლები დაიბადა, მაშინ, როდესაც მოსახლეობის გამრავლება უპირატესად ქალების რაოდენობით განისაზღვრება. თუ რამდენად მასშტაბურია პრობლემა, ეს იქედანაც ჩანს, რომ 2000 წელს საქართველოში მხოლოდ 18522 ქალი დაიბადა. ამრიგად, ისედაც შემცირებული შობადობის პირობებში, როდესაც გაჩენილი ბავშვების რაოდენობა მარტივი კვლავწარმოებისთვისაც არ არის საკმარისი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაბადებისას სქესთა თანაფარდობის საკითხი, რათა ხელოვნურად არ დავარღვიოთ ბუნებრივი კანონზომიერება. ამასთან, სქესთა მეორეული ბუნებრივი თანაფარდობისას, ქორწინების, მოკვდაობისა და უნაყოფობის დღევანდელ დონეთა გათვალისწინებით, მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების, ანუ ერთი და იგივე რაოდენობით გამრავლებისათვის, საჭიროა ყოველმა 100 დაქორწინებულმა ქალმა 262 ბავშვი, ანუ ერთმა ქალმა ორზე მეტი ბავშვი გააჩინოს. ახალშობილთა სქესობრივი თანაფარდობის დარღვევის პირობებში მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოება რომ შევინარჩუნოთ, ერთმა ქალმა გაცილებით მეტი ბავშვი უნდა დაბადოს, რაც შობადობის თანამედროვე დაბალი დონის პირობებში თაობათა ერთი და იგივე რაოდენობით გამრავლების საკითხსაც კი კიდევ უფრო პრობლემურს ხდის.

სქესთა მეორეული თანაფარდობის მკვეთრ დარღვევას, მოსახლეობის გამრავლებაში მეტად არასასურველ შედეგებთან ერთად, მოჰყვება სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმირება, საცოლეების დიდი დეფიციტი, სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო პრობლემების გამწვავება, საზოგადოება უფრო აგრესიული გახდება და სხვ.

ახალშობილთა სქესის თანაფარდობის კანონზომიერებათა ახსნას ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში მიაქციეს ყურადღება. კერძოდ, დაინტერესდნენ იმით, თუ გარკვეულ ვითარებაში რატომ ირღვევა სქესთა მეორეული თანაფარდობა და რატომ იბადება ვაჟი მეტი, ვიდრე გოგონა. მაგალითად, დაქორწინებული ქალები პირველი მშობიარობის დროს მეტ ვაჟებს აჩენენ, ვიდრე დაუქორწინებელი ქალები; ომების დროს და შემდგომ პერიოდში ვაჟი მეტი იბადება, ვიდრე გოგონა; დაბალ, განსაკუთრებით 20 წლამდე ასაკში დედებს მეტი ვაჟი უჩნდებათ, ვიდრე მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში და, რაც უფრო მაღალია დაბადების რიგითობა (მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეტი მშობიარობა), მით უფრო ნაკლები ვაჟი იბადება.

თანამედროვე გამოკვლევების შედეგად მიღებული უფრო საიმედო მონაცემების საფუძველზე მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სქესთა მეორეული თანაფარდობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა დედის ასაკი, დაბადებათა რიგითობა, სქესთა პირველადი თანაფარდობა და სხვ. მაგალითად, 18-20 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებისათვის სქესთა მეორეულმა თანაფარდობამ შეადგინა 120, ხოლო 38-42 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის – 90 ვაჟი 100 გოგონაზე.

დემოგრაფიული და სამედიცინო სტატისტიკის მონაცემების თანახმად, დიდი კლიმატური და სოციალური ძვრების დროს (ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებები, გვალვები, შიმშილობა, ომები), როდესაც იზრდება მოკვდაობის მაჩვენებელი, ახალშობილთა შორის ვაჟების მატების ტენდენცია შეიმჩნევა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპის მეომარ ქვეყნებში 1-2,5 პროცენტით მეტი ვაჟი იბადებოდა მშვიდობიან წლებთან შედარებით. მაქსიმალურ მატებას ადგილი ჰქონდა გერმანიაში, სადაც ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე 108 ახალშობილი ვაჟი მოდიოდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, კერძოდ, 1943 წელს ინგლისსა და საფრანგეთში ეს თანაფარდობა, მშვიდობიან პერიოდთან შედარებით, 1,5-2 პროცენტით გაიზარდა. ამ მოვლენის ასახსნელად, რომელიც ცნობილია „ომიანობის წლების ფენომენად“, მრავალ ფაქტორს ასახელებენ. მათ შორის მთავარია ის, რომ ომების დროს უფრო ახალგაზრდა ადამიანები ქორწინდებიან, რაც ამაღლებს სქესთა მეორეული თანაფარდობის მაჩვენებელს, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა ქალები უფრო მეტ ვაჟებს აჩენენ. ამავე დროს, ომების დროს იზრდება პირველადმშობიარე ქალთა რიცხვი, რომელთა მიერ დაბადებული ვაჟების წილი დაბადებათა საერთო რაოდენობაში მაღალია. ამასთან, ომების პერიოდში ოჯახური კავშირების დიდი ხნით გაწყვეტა ამცირებს ორსულობათა რიცხვს და იზრდება ინტერვალი დაბადებათა შორის, რაც, ასევე, ამაღლებს სქესთა მეორეულ თანაფარდობას. ამავე მიმართულებით მოქმედებს ეკონომიკური პირობების გაუარესება, როდესაც მცირდება ხორცისა და სხვა ცილების მოხმარება.

სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევის სხვა მიზეზებსაც ასახელებენ. არსებობს მჭიდრო კავშირი სქესობრივ ჰორმონებსა და ახალშობილთა სქესის თანაფარდობას შორის. არსებული მონაცემების თანახმად, იმ ადამიანების შთამომავლობაში, რომლებსაც ენდოკრინული დარღვევები აწუხებს, მაგალითად, ნერვიის ქარი, გოგონები ჭარბობს, მელოტი მამაკაცების შთამომავლობაში (თმის ცვენაში გარკვეულ როლს ასრულებს სქესობრივი ჰორმონები) ერთნახევარჯერ მეტია ვაჟების რიცხვი, გოგონებთან შედარებით.

ამჟამად საქართველოში სქესთა მეორეული თანაფარდობა ვაჟების სასარგებლოდ რომ იზრდება, ჩვენი აზრით, ამის ძირითადი მიზეზი ბავშვების დიაგნოსტირებაა. თუ ადრეულმა დიაგნოსტიკამ აჩვენა, რომ ჩასახული ნაყოფი არასასურველი სქესისაა, ორსულობას ხელოვნური აბორტით წყვეტენ. სხვა ცნობილი მიზეზები ჩვენთან ნაკლებ გავლენას ახდენს სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევაზე.

როგორც წესი, პირველი შვილის გაჩენისას, გოგონაც რომ იყოს, მეუღლეს არ იმედიან, რადგან პირველი შვილი, რომელი სქესისაც არ უნდა იყოს, „მაინც შვილია“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პირველი ორსულობის შეწყვეტა მეტად საშიშია – შეიძლება ქალს მომავალში შვილი საერთოდ აღარ ეყოლოს. ამიტომ მომდევნო ორსულობის დროს, ქალი თუ ასაკშია შესული და ისევ გოგონას გაჩენაა მოსალოდნელი, წყვეტს ორსულობას, მით უმეტეს, თუ მეუღლეები ორ ან სამ შვილზე მეტის ყოლას აღარ აპირებენ.

სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევის მიზეზი შეიძლება სტატისტიკური აღრიცხვის მოუწესრიგებლობაც იყოს, მაგრამ ძნელია მხოლოდ ამით აეხსნათ აღნიშნული მოვლენა, თუმცა, გარკვეულწილად, ამ ფაქტორის არსებობაც დასაშვებია. უფრო სწორი მაინც ის აზრია, რომ სქესის რეგულირების მიზნით, ორსულობის ადრეულ ეტაპზე ხდება ბავშვის დიაგნოსტირება და არასასურველი სქესის შემთხვევაში მუცლის მოშლა.

ვაჟიშვილის დაბადებისადმი ამკარა უპირატესობის მინიჭება ბევრი ხალხის შეხედულებაში აისახა. მაგალითად, ინდოელები ამბობენ: „არ არსებობს ისეთი ვაჟიშვილი, რომელიც არ ჯობდეს მრავალ ქალიშვილს“. ეს აზრი კიდევ უფრო მკაფიოდაა გამოხატული სომხურ ანდაზაში: „ერთი ბრმა ვაჟიშვილი შვიდ ჯანმრთელ ქალიშვილზე უკეთესია“. ძველ საბერძნეთში დიდად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ოჯახში ორი ვაჟიშვილი ჰყოლოდათ. თუ როგორი შეუბრალებელნი იყვნენ მაშინ ქალიშვილების მიმართ, ამას ადასტურებს ცოლისადმი გაგზავნილი ვინმე ბერძენი ილარიონის წერილი (ძვ. წ. I საუკუნე): „თუ ვაჟიშვილი შეგეძინა, დატოვე ცოცხალი, ხოლო თუ ქალიშვილი დაიბადა – გადააგდე“. ბევრ ხალხში, მათ შორის, ქართველებშიც, დამკვიდრებულია ასეთი გამოთქმაც: „ქალია თუ ვაჟი?“ ასე მაშინ კითხულობენ, როდესაც სურთ, გაიგონ ცუდად არის საქმე თუ კარგად.

საქართველოში ოდითგანვე ვაჟის კულტია გავრცელებული. რამდენიმე წლის წინათ ჩვენს მიერ თბილისში ქორწინების სასახლეში ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ახალდაქორწინებულთა 80 პროცენტს სურდა სამი შვილიდან ორი ვაჟი და ერთი ქალი ჰყოლოდა, ხოლო 6 პროცენტს – სამივე ვაჟი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, უფრო მისაღებად გვეჩვენება ის აზრი, რომ საქართველოში ახალშობილებში ვაჟების რაოდენობის არნახულ ზრდას სქესის დიაგნოსტირების შესაძლებლობა განაპირობებს, რასაც მეტად უარყოფითი შედეგები მოჰყვება მოსახლეობის გამრავლებასა და, საერთოდ, საზოგადოების განვითარებაში. ბევრმა ქვეყანამ სწორედ ამის გამო აკრძალა ადრეულ ეტაპზე მუცლადმყოფი ნაყოფის ტესტირება მისი სქესის დასადგენად; რადგან ქალები ხშირად მიმართავენ აბორტს, თუ მათ სურთ ეყოლოთ ვაჟი და, ტესტირების თანახმად, მოსალოდნელია გოგოს გაჩენა.

სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევის პრობლემა განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის, მით უმეტეს, როდესაც ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული სიტუაციაა. აუცილებელია ახალშობილებში სქესთა თანაფარდობის დარღვევის მიზეზების შესწავლა და სათანადო ღონისძიებების დასახვა. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ პრობლემა საერთოდ შეუსწავლელია. პირველად ამ პრობლემის მნიშვნელობას ყურადღება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიაქცია, რომელიც ამ მიმართულებით შესაბამისი მუშაობის ჩატარებას აპირებს.

ანზორ თოთაძე,
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

მოვლენის კვალდაკვალ

THE 21ST UNIVERSIADE 2001
BEIJING CHINA

„შვიდკაცა“ – პეკინში

საქართველოს უნივერსიადის ჩემპიონი მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა

პეკინში 22 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე გაიმართა სტუდენტთა 21-ე საზაფხულო უნივერსიადა. ამ დიდ ფორუმში 166 ქვეყნის სტუდენტ-სპორტსმენებთან ერთად ასპარეზობდა 7-კაციანი სპორტული დელეგაცია საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის გენერალური მდივნის გივი მძელურის თავკაცობით. ჩვენი „ნაკრების“ შემადგენლობაში იყო 5 ძიუდოისტი და მხატვრული ტანმოვარჯიშე – ბათუმელი ვანდა კერესელიძე.

ახლახან ჩვენი „პეკინელები“ თბილისში დაბრუნდნენ და მათი ჩინური „ვოიაჟის“ თაობაზე გივი მძელურმა გვიამბო:

– პეკინში ჩვენი გამგზავრება შესაძლებელი გახდა საქართველოს რიგი უმაღლესი სასწავლებლის რექტორთა, აგრეთვე, თბილისის მერიის სპორტის, ტურიზმისა და სკოლისგარეშე მუშაობის სამსახურის (უფროსი – დავით ჭელიძე) ფინანსური დახმარებით, თუმცა მწირი დაფინანსების გამო სპორტსმენებს თან არ ახლდნენ მწვრთნელები და მსაჯები, რაც თანამედროვე სპორტში წარმოუდგენელია. მოგეხსენებათ, უმწვრთნელო სპორტსმენი დიდ შეჯიბრებაზე თავისი შესაძლებლობის ნახევარსაც ვერ ავლენს. ამის მიუხედავად, ქართველმა სპორტსმენებმა შეძლეს ერთი ვერცხლის, თითო V და VII ადგილების დაკავება. არცთუ ურიგო შედეგით დაამთავრა 35 მეტოქესთან ჭიდილი ჩვენმა ვანდა კერესელიძემ (საერთო მე-13 ადგილი), რადგან იგი იბრძოდა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ჩინეთის, ბულგარეთის და სხვათა უძლიერესი ტანმოვარჯიშეების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების წინააღმდეგ. ბათუმელი ქალიშვილი ადგილობრივი პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა: მისი პორტრეტები ძალიან ხშირად ქვეყნდებოდა ჩინურ ჟურნალ-გაზეთებსა თუ ბიულეტენებში...

– ჩვენი ვერცხლის პრიზიორის – ვახტანგ ხოსიტაშვილის შესახებ რას გვეტყვით?

– ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ვახტანგ ხოსიტაშვილი შედარებით გამოუცდელი სპორტსმენია და, თუმცა ახლახან საქართველოს უნივერსიადაში ჩემპიონი გახდა, არც ვვემაედით მისთვის საპრიზო ადგილს პეკინში, მაგრამ ამ ჭაბუკმა პირდაპირ განაცვიფრა ძიუდოს სპეციალისტები. 60 კგ წონაში მან პირველ წრეში „იპონით“ დაამარცხა ძლიერი ჰონკონგელი ძიუდოისტი, II-ში მოუგო წინა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს ბრაზილიელ დერლი ჟოაოს, ასევე, სუფთა გლებით, ნახევარფინალში ვახტანგმა წმინდად დაამარცხა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი პრიზიორი, ესპანელი მეტოქე და ფინალში გავიდა, სადაც დამარცხდა გამოცდილ იაპონელ ძიუდოისტთან. გარკვეულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს 66 კგ წონაში მოასპარეზე თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტის, ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის დავით მარგოშვილის გამოსვლა. მან, ასევე, ოთხჯერ დაამარცხა საკმაოდ ძლიერი მეტოქეები, სულ კი 36 – ყველაზე მეტი ძიუდოისტი იბრძოდა ამ წონაში. დავითმა პირველი ორთაბრძოლის სუფთად მოგების შემდეგ ხელი მოეცარა უზბეკ ძიუდოისტთან, დამამშვიდებელ ტურნირში 3 შეხვედრა მოიგო, გადასასვლელ ორთაბრძოლაში კი წააგო იუგოსლავიის ჩემპიონთან, რომელიც ადრე არაერთხელ დაუმარცხებია, თანაც აქ თავი იჩინა მსაჯების აშკარა მიკერძოებამ. საბოლოოდ იგი V ადგილს დასჯერდა და სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

100 კგ წონაში პეკინის ტატამზე გამოდიოდა 2001 წლის (აგვისტოს) მსოფლიო ჩემპიონატის მე-2 პრიზიორი, სპორტის აკადემიის სტუდენტი ზურაბ ზვიადაური. ზურაბმა პირველ წრეში წმინდად მოუგო ძლიერ მეტოქეს მონღოლეთიდან, მეორე შეხვედრა, სამწუხაროდ, ქულებით დათმო კუბელ უძლიერეს სპორტსმენთან, რომელიც პეკინის უნივერსიადის ჩემპიონი გახდა.

საბოლოოდ ჩვენმა ყველაზე მცირერიცხოვანმა დელეგაციამ 28-ე ადგილი დაიკავა და 130-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებს გაუსწრო. თანაც მათ შორის იყვნენ 300-კაციანი გუნდები მთელი თავიანთი „ატრიბუტიკით“ – მწვრთნელებით, მასაჟისტებით, მსაჯებით და ა. შ.

– იმ ერთადერთ „ვერცხლს“ „ოქროც“ რომ დამატებოდა, ალბათ, ათეულშიც მოხვდებოდით...

– მართალია, საქართველოს წარმომადგენელს ოქროს მედალი არ შეხვედრია პეკინში, მაგრამ ქართველმა კაცმა – ბრაზილიის ქალთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გოჩა ალადაშვილმა თავის აღსაზრდელებთან ერთად „ოქრო“ მაინც წაიღო პეკინიდან. საქმე იმაშია, რომ ბატონი გოჩა უკვე 7 წელიწადია ბრაზილიაში ერთ-ერთ იქაურ უნივერსიტეტში მოღვაწეობს და ქალთა ნაკრების მწვრთნელიც გახლავთ. მისმა აღსაზრდელებმა ძალიან ძნელ ფინალურ ორთაბრძოლაში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს პოლანდიის ნაკრები...

***

პეკინის 21-ე საზაფხულო უნივერსიადა ისტორიის კუთვნილება გახდა. სტუდენტ-სპორტსმენთა მორიგი მსოფლიო ფორუმი უკვე 2003 წლის აგვისტოში სამხრეთ კორეაში გაიმართება. იმედია, ჩვენი სპორტის მესვეურები, სხვა ორგანიზაციები მხარში ამოუდგებიან ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, რომლებმაც შესაძლებლობათა მაქსიმუმი გააკეთეს თუნდაც იმ 7-კაციანი დელეგაციის პეკინში წარსაგზავნად. მან კი, როგორც დავინახეთ, საპატიო შედეგს მიაღწია და ეს სამომავლოდ უკეთესის იმედის საფუძველს გვაძლევს.

ანზორ ბასილაია.

სურათებზე: საქართველოს სპორტული დელეგაცია უნივერსიადის გახსნის ცერემონიალზე; ვანდა კერესელიძე (მარჯვნივ) ერთ-ერთი ჩინური გაზეთის გვერდზე...

ჭადრაკი

ერთპიროვნული ლიდერები

საბერძნეთის ქალაქ კალითეაში გრძელდება სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი. უკვე გათამაშდა 6 ტური.

18-წლიანთა შეჯიბრებაში ინგა ქარხალაშვილმა (ქუთაისი) და ზვიად იზორიამ (თბილისი) მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს და 5,5-5,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობენ ჩემპიონატში.

10-წლიანთა შორის წარმატებით თამაშობს ქუთაისელმა დათო ბერაძემ, რომელსაც მორიგი გამარჯვების შემდეგ 5 ქულა აქვს. 4,5-4,5 ქულა დაუგროვდათ სამტრედიელ დათო ჯოჯუას (12-წლიანებში), ბათუმელ სალომე მელიას (14 წლის გოგონებში) და აფხაზეთიდან ლტოლვილ ალექსანდრა ვახანიას (16 წლის გოგონებში).

მოჭადრაკეებს სათამაშო დარჩათ 3 ტური.

ანდრო ბარძაია.

ჩვენი ვეტერანები

რაჭველი ფალავანი,

რომელმაც ჭიდაობა კახეთში ისწავლა და ქართლის სახელს იცავდა

XX საუკუნის მეორე ნახევარში, 1962-2000 წლებში, 17-მა ქართველმა ფალავანმა 29 ოქროს მედალი მოიპოვა. ქართველებიდან კონტინენტის ჩემპიონის მეხუთე ოქროს მედლის მფლობელი გახდა **რონ მაღალთაძე**. ეს მოხდა 33 წლის წინათ, შვეიცარიის ულამაზეს ქალაქ ლოზანაში. 1968 წელს ორმა ქართველმა ძიუდოისტმა დაიმშვენა მკერდი ოქროს მედლით. ესენი იყვნენ: რონ მაღალთაძე (70 კგ) და ანზორ მარტყოფლიშვილი (63 კგ); ვერცხლის მედლის მფლობელნი გახდნენ ჯემალ ნათელაშვილი (70 კგ) და ანზორ კიკნაძე (აბსოლუტური წონა).

ჩვენი ფალავნებიდან ევროპის მეხუთე ჩემპიონი რონ მაღალთაძე, ისე როგორც ბევრი სახელოვანი მოჭიდავე, ქართული ჭიდაობის ნახერხმოყრილი საბჭიდან მოვიდა დიდ ჭიდაობაში.

მაღალთაძეები წარმოშობით რაჭიდან არიან, რონის კი ერთობ საინტერესო ბიოგრაფია აქვს. დაიბადა კასპის რაიონის სოფელ დოესში, ქართული ჭიდაობის ფანდები ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში შეისწავლა, შემდეგ კი გორის რაიონის სპორტულ ღირსებას იცავდა სხვადასხვა რანგის ტურნირში.

ბატონ რონს, ამჯერად უკვე თმაშევერცხლილ, 60 წლის მერიქ ფალავანს, ყველაზე დიდი გამარჯვება 33 წლის წინათ აქვს მოპოვებული.

ამ გამარჯვებას წინ უსწრებდა ახალსოფლის საჭიდაო „კრუგი“ – არავითარი მწვრთნელი და დამრიგებელი, სოფლის ბიჭები ერთმანეთისაგან სწავლობდნენ ჭიდაობას. რონიი, სანამ საჭიდაოდ გადასვლას გაბედავდა, დიდხანს უცქერდა სხვების ფანდებს და ასე სწავლობდა, მალე კი სოფლის ბეჭდაუდებელი მოჭიდავის სახელი გაითქვა.

დიდხანს არ ჰყავდა ნამდვილი მწვრთნელი რონ მაღალთაძეს, რომელიც ქართულს, სამბოს, თავისუფალს, კლასიკურს და ძიუდოს, ე. ი. ჭიდაობის ყველა სახეობაში ცდიდა ძალღონეს. ერთხანს თბილისის თეატრალურ ტექნიკუმში სწავლობდა, მერე ბელორუსიაში სამხედრო სამსახურში აღიარებული მოჭიდავე გახდა (ძირითადად სამბოში), ბოლოს თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტიდან გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადავიდა. გორში რონის დაოსტატებას ხელი მოჰკიდა გურამ პაპიტაშვილმა – მწვრთნელმა, რომლის ნიჭსა და მიღწევებზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება.

მრავალმხრივი მოჭიდავე რონ მაღალთაძე, კარგი სამბისტი, გამოცდილ მწვრთნელ გურამ პაპიტაშვილთან ერთ-ერთ საუკეთესო ძიუდოისტად ჩამოყალიბდა, თუმცა მას სამბოსთვის არასდროს უღალატია.



ევროპის ჩემპიონობამდე რონინმა იტალიის ღია ჩემპიონატი მოიგო (1967), გაიმარჯვა სოჭის (1967 წლის) საერთაშორისო ტურნირში, იაპონიის პროფკავშირთა ღია პირველობაზე (1967), გახდა მსოფლიოს უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1966), მოიგო ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის ღია პირველობები სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში (1962), გაიმარჯვა საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირში (1968).

1968 წელს ევროპის ჩემპიონატზე, ლოზანაში რონინმა რვა ორთაბრძოლა გამართა და ყველა მოიგო. მომდევნო 1969 წელს წარმატებით იჭიდავა ევროპის გუნდურ პირველობაზეც. 1971 წელს მოიგო სსრკ სპარტაკიადის პარალელური პირველობა სამბოში.

1972 წელს კი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა რონ მაღალთაძემ აქტიურ სპორტულ შეჯიბრებებში გამოსვლა შეწყვიტა. შემდგომში მუშაობდა პასუხისმგებელ თანამდებობებზე, მათ შორის ყვარლის გამგებლის მოადგილედ და სხვ. ჭიდაობისათვის კი დროს მაინც პოულობდა, უფრო ზუსტად, ისევ ჭიდაობასთან იყო. 20 წლის წინათ ახალსოფელში სამბო-ძიუდოს კლუბი გახსნა. უამრავი ბიჭი აზიარა ხალიჩის „მტვერს“. მაგალითად, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული გიორგი შარიაშვილი, დავით ქეჩხოშვილი, ნუკრი კოჭლამაზაშვილი, ილია მჭედლიშვილი და სხვები.

რონ მაღალთაძემ ახალსოფლის ჭიდაობის კლუბისათვის ტატამი შეიძინა და მეზობელი დაღესტნელი მოჭიდავეებიც, მალიმალ რომ გადმოდიოდნენ საჭიდაოდ მეზობლებთან, მალე „მოათვინიერეს“ ჩვენებურებმა.

60 წლის რონ მაღალთაძე პირნათელია ქართული სპორტის წინაშე. ევროპის ექს-ჩემპიონს, მრავალი კარგი მოჭიდავის აღმზრდელსა და მწვრთნელს, ყვარლის რაიონში ბევრი სხვა კარგი საქმეების მკეთებელს, ოჯახიც კარგი ჰყავს და მეტი რაღა უნდა კაცს! თუმცა, წინ კიდევ დიდი და საინტერესო გზაა...

გაბრიელ ბარჯაძე.

ყოველი მხრიდან

ნახევარფინალისტებიც გამოვლინდნენ

ალბათ, მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი, ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, დიდი ხანია ასე აღარ დამარცხებულა: როგორც გუშინწინ – გვიანღამით (ჩვენი დროით) საათსა და 32 წუთში რუსეთელ ევგენი კაფელნიკოვთან დამარცხდა – 4:6, 0:6, 3:6, რითაც მას გზა გაუხსნა ამერიკის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალისაკენ.

როგორც თავად სამპრასმა უწოდა, ძალზე კლასიკური გამოდგა მისი ორთაბრძოლა აგასისთან – 6:7 (7:9), 7:6 (7:2), 7:6 (7:2) 7:6 (7:3), ოთხი სეტი, ოთხი ტაიბრეიკი, მართალია, ბოლოს აგასი დამარცხდა, მაგრამ დღეს მას დიდი ზეიმი აქვს – ის ხომ ჯვარს იწერს მტეფი გრაფზე, რომელთან ერთად დეკემბერში ვაჟიშვილს ელის. ნახევარფინალში პიტ სამპრასის მეტოქე მარატ საფინი იქნება.

სურათზე: რუსეთელი ევგენი კაფელნიკოვი ნახევარფინალშია.

ვინ გაიმარჯვებს არგენტინაში?

ბუენოს-აირესში სტარტი აიღო **ფიდეს** მე-14 კატეგორიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირმა – დიდი არგენტინელი დიდოსტატის მიგელ ნაიდორფის მე-12 მემორიალმა. ახლა გულშემატკივრებს ერთი რამ აინტერესებთ: ვინ გაიმარჯვებს? ყოველი მესამე უპირატესობას ანატოლი კარპოვს ანიჭებს, ყოველი მეოთხე კი – უნგრელ იუდით პოლგარს. ჭადრაკის ვეტერანმა ვიქტორ კორჩნოიმ (შვეიცარია) ხმების მხოლოდ 7 პროცენტი მიიღო – 2 პროცენტით ნაკლები, ვიდრე ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა და 70-იან წლებში ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ენრიკო მეკინგმა.

პირველმა ტურმა პროგნოზები გაამართლა – კარპოვმა შავებით დაამარცხა ბრაზილიელი ჟილბერტო მილოში. დანარჩენი 4 პარტია კი – შორტი – კორჩნოი, რიკარდი (არგენტინა) – პოლგარი, ფელგაერი (არგენტინა) – მეკინგი და რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) – სუ ჟუნი (ჩინეთი) – ყაიმით დამთავრდა.

უფრო აგრესიული გამოდგა მეორე ტური – კორჩნოიმ დაამარცხა ფელგაერი, პოლგარმა – მილოში, რაჯაბოვმა – რიკარდი, მშვიდობიანად დაზავდნენ კარპოვი-შორტი და სუ ჟუნი-მეკინგი.

ისე რომ, 2 ტურის შემდეგ ქულანახევრით ლიდერობენ ანატოლი კარპოვი, 70 წლის ვიქტორ კორჩნოი, ქალბატონი იუდით პოლგარი და ჩვენი აზერბაიჯანელი მეზობელი თემურ რაჯაბოვი.

ოლიმპიადას ეპატიჟებიან

შვეიცარიის დედაქალაქი ბერნი ოფიციალურად იწვევს თავისთან 2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ოთხშაბათს ამ წინადადებას 24 ხმის უპირატესობით მხარი დაუჭირეს პარლამენტის დეპუტატებმა.

2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლის არჩევნები 2003 წელს გაიმართება. ბერნის გარდა, საოლიმპიადო ბრძოლაში ებმებიან ავსტრიის ზალცბურგი და კიტცბიუელი, აგრეთვე, კანადის ვანკუვერი.

ცინცხალი ამბები



იტალიის ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა ედგარ დავიდსს აკრძალული პრეპარატის მიღების გამო 4 თვით აუკრძალა ფეხბურთის თამაში.

მარსელის „ოლიმპიკის“ ცენტრალური მცველი ბრუნო მიმდინარე საფეხბურთო სეზონს ინგლისის კლუბ „ბოლტონში“ იასპარეზებს. იგი „ოლიმპიკში“ იტალიის „მილანიდან“ გადავიდა.

სპორტის რედაქცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე

8 სექტემბერი 2001 წ.

რუსთავის მიმართულებით სატრანსპორტო მაგისტრალის კეთილმოწყობა

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში რუსთავის მიმართულებით სატრანსპორტო მაგისტრალის (სიგრძით 500 მ.) კეთილმოწყობის სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს საფუძვლისა და გზის საფარის მოწყობას, თვალამრიდის რ/ბ ბორდიურების, რ/ბ გადახურვის ფილების და ბეტონის კიუვეტების მოწყობას (კონტრაქტის №TBILISI/NCB-033/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41, ტელ: 94-32-40; 94-29-47. ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

თბილუნივერსალბანკი
თბილისი, კოსტავას 70
ანგარიში №3608000763
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 7.000 ლარის ოდენობით. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 8 ოქტომბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

სატრანსპორტო მაგისტრალის კეთილმოწყობა №7 პურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიიდან ბენზინგასამართ სადგურამდე

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში, №7 პურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიიდან ბენზინგასამართ სადგურამდე სატრანსპორტო მაგისტრალის (სიგრძით 1000 მ.) კეთილმოწყობის სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს საფუძვლისა და გზის საფარის მოწყობას (კონტრაქტის №TBILISI/NCB-032/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41, ტელ: 94-32-40; 94-29-47, ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

თბილუნივერსალბანკი
თბილისი, კოსტავას 70
ანგარიში №3608000763
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 7.000 ლარის ოდენობით. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 8 ოქტომბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

რუსთავის მიმართულებით სატრანსპორტო მაგისტრალის საინჟინრო კომუნიკაციების აღდგენა

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში რუსთავის მიმართულებით სატრანსპორტო მაგისტრალის (სიგრძით 1500 მ.) საინჟინრო კომუნიკაციების აღდგენითი სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს გრუნტის სამუშაოებს, ნიაღვარგამტარის მოწყობის სამუშაოებს, წყალსადენის გადალაგების სამუშაოებს, გარე განათების მოწყობის სამუშაოებს და სხვა (კონტრაქტის №TBILISI/NCB-034/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41, ტელ: 94-32-40; 94-29-47, ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

თბილუნივერსალბანკი
თბილისი, კოსტავას 70
ანგარიში №3608000763
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 7.000 ლარის ოდენობით. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 8 ოქტომბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

ქ. თბილისში პეტრე ბაგრატიონის ქუჩის კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქ. თბილისში, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის (სიგრძით 772 მ.) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს დეფორმირებული ბორდიურებისა და დაზიანებული ა/ბ საფარის მოხსნას, გრუნტის დამუშავებას, სათვალთვალო ჭების მოსწორებას, ახალი ბორდიურების მოწყობას, საფუძვლის მოწყობას, გზის საფარის, როგორც ა/ბეტონით, ისე რიყის ქვის ფენილით მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის №TBILISI/NCB-029/01).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. №41, ტელ: 94-32-40; 94-29-47, ფაქსი: 94-04-39, თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:

თბილუნივერსალბანკი
თბილისი, კოსტავას 70
ანგარიში №3608000763
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 90 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 4.500 ლარის ოდენობით (ან ეკვივალენტურ თანხაზე კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2001 წლის 8 ოქტომბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

გახსენება

გურამ ჩხაიძე

ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ცოდვილ დედამიწას განშორდი და მუდმივ სასუფეველში დაემკვიდრე. ეს თითოეული სულიერის ხვედრია, მაგრამ შენი წასვლით ყველას გული გვატკინე და დაგვამწუხრე, რადგან არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებების მქონე კაცი იყავი. ყველასადმი ყურადღებიანი, თბილი და კეთილმოსურნე. ნებისმიერი ახლობლის ოჯახში შენი სტუმრობა ზეიმი იყო, რადგან ყველასთან მიგქონდა დიდი სიხარული და ჭეშმარიტი სიყვარული.

ცხოვრების საინტერესო გზა განვლე – სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ბრწყინვალედ დაამთავრე და მშობლიურ რაიონში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში დაბრუნდი პედაგოგად. ყველა მოსწავლე შენს მაღალ პედაგოგიურ ალღოსა და ცოდნაზე საუბრობდა, მათთან იყავი – როგორც მშობელი მამა, მეგობარი, ამასთან მასწავლებელი. მერე დაგაწინაურეს და სოფელ მამათის საშუალო სკოლის დირექტორად წლების განმაელობაში იმუშავე, ხოლო 1983 წელს, როცა შენი უახლოესი ადამიანი, ქვისლი მოთა ქინქლაძე გარდაიცვალა, მის ადგილზე სოფელ აცანის საშუალო სკოლის დირექტორად გადაგიყვანეს. მერე ცხოვრებამ ისე მოიტანა, ცოტა ხანში თბილისში გადმოხვედი საცხოვრებლად და თბილისის მეოთხე საშუალო სკოლაში პედაგოგად გააგრძელე მუშაობა. აქაც მალე გაგიცნეს და შეგიყვარეს, სათანადოდ გაფასებდნენ და მეგობრებს დიდად ეიმედებოდი, მაგრამ მუხთალმა სიკვდილმა შენს ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, უახლოეს ნათესავებს წაართვა შენი თავი. ხუთი დის საფიცარი ერთადერთი ძმა იყავი, ისინი შენით ამაყობდნენ და როცა დაგინახავდნენ, სახეზე მზე გადაეფინებოდათ, უსაზღვრო იყო მათი შენდამი სიყვარული, ახლა ძლიერ აკლიხარ მათ. ნამდვილად ვერავინ ვეგუებით შენს სიკვდილს.

70 წელი სულაც არ ყოფილა ბევრი, ჯერ კიდევ დიდხანს შეიძლებოდა გეცოცხლა და ბევრი სიხარული მოგვეტანა ყველასათვის. ძვირფასო ადამიანო, არასოდეს დაგვავიწყდები.

ოჯახი, უახლოესი ნათესავები.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ხსოვნა

ვალერიან კვეკვესქირი, ციალა ჩხოლარია

ტრაგიკულად დაიღუპნენ (ავაზაკთა ტყვიებს ემსხვერპლნენ) აფხაზეთის საზოგადოებაში ცნობილი ადამიანები – საქართველოს ჩაის მრეწველობის დამსახურებული მუშაკი, ღვაწლმოსილი სამეურნეო ხელმძღვანელი, ღირსეული მოქალაქე და კოლორიტული პიროვნება **ვალერიან სევერიანეს ძე კვეკვესქირი** და მისი მეუღლე, პედაგოგი უკეთილშობილესი ქალბატონი **ციალა ჩხოლარია.**

„ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი", – თითქოს მათზე ყოფილა ნათქვამი. ისინი ხომ ოთხ ათეულ წელზე მეტი ერთად და ღირსეულად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს. მათი ღვაწლი, მათი ოჯახი სამაგალითო იყო მთელს რაიონში. ოთხი კარგი შვილი აღუზარდეს სამშობლოს. საუბედუროდ, ერთი მათგანის – უსაყვარლესი ქალიშვილის ადრე წასვლამ ჩაუმწარათ ტკბილად განვლილი ცხოვრება.

ვალერიან კვეკვესქირი დაიბადა 1933 წელს ქ. გალში. დაამთავრა ქ. გალის №1 საშუალო სკოლა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სულ ორი წელი იმუშავა რიგით თანამდებობაზე – ქ. გალის ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგად. შემდეგ, როგორც ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტი მალე დაწინაურდა წარმოების ხელმძღვანელად. 1963 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა ნაბაკევის, ბარღების, აჩიგვარის, ოქუმის, გალის №2, ჭუბურხინჯის ჩაის ფაბრიკების დირექტორად, ბოლო სამი წელი აფხაზეთიდან გამოდევნამდე მუშაობდა რაიონის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დირექტორად.

დიდია ტკივილი და სინანული ვ. კვეკვესქირისა და მისი მეუღლის უდროოდ დაღუპვის გამო. დიდხანს, დიდხანს იცოცხლებს მათი ნათელი სახეები გალის საზოგადოების ხსოვნაში.

გალის რაიონის გამგეობა, მეგობრები.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ქ. თბილისის პროკურორის უფროს თანაშემწეს ავთანდილ კერესელიძეს გარდაეცვალა დედა
ნათელა კერესელიძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მამა გიორგი კერესელიძე თანაუგრძნობს ბიძაშვილს ავთო კერესელიძეს დედის
ნათელა მაქარაშვილი-კერესელიძის
გარდაცვალების გამო.

ჯერის მამის მოძღვარს მამა გიორგი კერესელიძეს თანაუგრძნობს მრევლი ბიცოლას
ნათელა მაქარაშვილი-კერესელიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს კონტროლის პალატა თანაუგრძნობს აპარატის უფროსის მოადგილეს როინ გორგაძეს ძმის
მამუკა ხატიაშვილის
გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ელისო ძიგრაშვილი

წლეულს პირველად დაიწყო სასწავლო წელი უშენოდ. ახლა სიაში ოცდაოთხის ნაცვლად ოცდასამი ვიქნებით. მასწავლებლები აღარ ამოიკითხავენ შენს სახელსა და გვარს – **ელისო ძიგრაშვილი** და შენც ვეღარ წამოიძახებ ჩვეული ხალისით „ვარ, მას...".

ჩვენ ძალიან, ძალიან მოგვენატრები. უკვე ვიხსენებთ შენს ყოველ სიტყვას, მოქმედებას, სიხარულს, წყენას. შვიდი წელი აქამდე ბევრი გვეგონა; თურმე, რა ცოტა ყოფილა. ახლა ძალიან დაბნეულები ვართ, ჯერ თითქოს ვერც ვხვდებით ბოლომდე, რა რისხვა დაგვატყდა თავს. მხოლოდ ეს კია, რომ ვიგრძენით, როგორ დასრულდა ბავშვობა და ერთბაშად გავიზარდეთ...

თანაკლასელები.

მეუღლე მაღლენა, შვილები თინიკო, კახა, ილია, და მერი, სიძე გია სამანიშვილი, რძალი ლია, შვილიშვილები თაკო, ოთარ, ანა სამანიშვილები, ბექა ჯვარშეიშვილი, ცოლისძმა ანზორ ჯუღელი, დისწული, ძმისწულები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ომარ ილიას ძე ჯვარშეიშვილი
პანაშვიდი 9, 10 IX 4 სთ. გამოსვენება 11 IX 2 სთ. ნუცუბიძის IV პლატო, I0ა კორპუსი, III სადარბაზო.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის კოლექტივი დიდი მწუხარებით იუწყება სამმართველოს უფროსის
გივი მეტრეველის
დედის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ხობის რაიონული განყოფილების უფროსი
იური ჰითაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იუწყება, რომ სასამართლოს წევრს ბატონ ავთანდილ აბაშიძეს გარდაეცვალა მამა
პლატონ აბაშიძე
და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

თამარ ღემეტრაშვილი და ბესიკ ლაჩაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ბატონ ავთანდილ აბაშიძეს მამის
პლატონ აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

ღრმესი მწუხარებით ვუთანაგრძნობთ ბატონ რეზო ამაშუკელს დედის
ლილი ალექსანდრეს ასულ
მგალობლიშვილი-ამაშუკელის
გარდაცვალებას.
საქართველოს მოქალაქეთა კავშირი.

მელანო ტორონჯაძე და ნიკო ლეკიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ რეზო ამაშუკელს დედის
ლილი ამაშუკელის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი ედვარდ სურმანიძე დიდ მწუხარებას გამოთქვამს ბატონი რეზო ამაშუკელის საყვარელი დედის ქალბატონ
ლილი ალექსანდრეს ასულ
მგალობლიშვილი-ამაშუკელის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს გადამხდელთა კავშირი თანაგრძნობას უცხადებს გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ რეზო ამაშუკელს დედის
ლილი ამაშუკელის
გარდაცვალების გამო.

საზოგადოება „თბილისელის" პრეზიდიუმი და გამგეობა თანაგრძნობას უცხადებენ ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ რეზო ამაშუკელს დედის
ლილი მგალობლიშვილი-ამაშუკელის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს პოეტ რევაზ ამაშუკელს დედის
ლილი მგალობლიშვილი-ამაშუკელის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს კონტროლის პალატა თანაუგრძნობს საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილეს რეზო ამაშუკელს დედის
ლილი მგალობლიშვილის
გარდაცვალების გამო.

სულხან მოლაშვილი ოჯახთან ერთად თანაუგრძნობს ბატონ რეზო ამაშუკელს დედის
ლილი მგალობლიშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი მწუხარებით იუწყება, რომ აფხაზეთის დასაქმების ფონდის დირექტორს ბატონ ბორის ბენდელიანს გარდაეცვალა მამა
კაპიტონ ბენდელიანი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სს აკად. გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
მაკა ზანცხავა-ღოლიძე
და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ ბოჭიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ვალიკო სიმონიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში. ხომარაულის 29.